


მედია



12x12=144



მედია



№11 2016 წ.

კავკასიის მსოფლიო კულტურის ცენტრი
ასტროლოგიის ინსტიტუტი, ცეცხლოვან ცენტრთა
ცეცხლოვანი მოვლენების შემსწავლელი ინსტიტუტი
“ გ უ ლ ი ”

ღამაზად შეილის გამზრდელი დედა მიცენია ღმერთადა!

ვაჟა-ფშაველა

სარჩევნი

1. შესავალი	3	17. მადლობის წერილი	32
2. მადლობის წერილი	4	18. სადღეგრძელო	33
3. საღაღობო ალქიმია	6	19. ნონ მახანაის წერილი ქართველ მემართა შესახებ	34
4. მადლობის წერილი	11	20. აწმყო შობილი წარსულისაგან, მშობელია მომავლისა!	35
5. ქუჩა	13	21. მადლობის წერილი	41
6. სამოთხის გზა	15	22. სიტყვის „გა-კვეთილი“	42
7. მადლობის წერილი	19	23. მადლობის წერილი	43
8. ბოლო სიტყვა	21	24. კუთხუმი	45
9. მადლობის წერილი	23	25. სიყვარული	48
10. „არ დანებდე უბედურებას, არამედ გაბედულად შეუტიე მას!“	25	26. თამარ დედოფალი - გურჯი ხათუნი ..	49
11. მადლობის წერილი	27	27. სუფისტური მოძღვრება	51
12. დედა ტერეზას გამონათქვამები	29	28. აგნი იოგა, ცისქვეშეთი	51
13. მადლობის წერილი	29	29. ინდიგოს თაობა	52
14. სიმონ ათონელის ბრძნული პასუხები ..	30	30. საიდუმლოება მეხუთე - შეხების ძალა ..	55
15. მადლობის წერილი	31	31. სულის ძახილი	60
16. ბელა ლექაური	31		

მთავარი რედაქტორი: თამაზ თავაძე
სარედაქციო კოლეგია:
თ. დევდარიანი, ნ. თავაძე დ. ფარადაშვილი,
ზ. ტატიანაშვილი

მის: თბილისი, ანა კალანდაძის (ყოფილი
ბულაჩაურის) 7

მობ: 599-96-99-11; www.agniyoga-geo.com

Email: tpt3839@mail.ru

გამომცემლობა
„გეორგიკა“



მკითხველმა ალბათ უკვე იცის, რომ UNESCO - მ 2016 წელი შოთა რუსთაველის წელიწადად, ხოლო ქართული ანბანის სამი სახეობა კაცობრიობის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად გამოაცხადა.

ჩვენ ვულოცავთ UNESCO - სა და მსოფლიოს ქართველი ერის ამ უდიდეს საგანძურთა აღმოჩენასა და ჯეროვნად დაფასებას, რაც მხოლოდ დასაწყისია ქართული ცივილიზაციის წიაღში მათი მოგზაურობისა!



ქართული ანბანი
Georgian Alphabet

ასომთავრული Asomtavruli	მხედრული Mkhedruli	სახელი Name			
1	ა	მთებატე	ანი	=1	a Ani - the moon deity
2	ბ		ბანი	=2	b
3	გ		განი	=3	g
4	დ	მზე	დონი	=4	d Doni - the sun deity
5	ე		ეჩი	=5	e
6	ვ	სთეარის კალენდარი	ვინი	=6	v Vin - the calendar of the moon
7	ზ		ზენი	=7	z
8	ძ		ძანი	=8	ch
9	თ	სინათლის ღმერთი	თანო	=9	t Tan - the God of Light
10	ი		ინი	=10	i
11	კ		კანი	=20	k
12	ლ	12 თვე, 360°	ლასი	=30	l
13	მ		მანი	=40	m
14	ნ		ნარი	=50	n
15	ო	(9) იოტა	ოე	=60	o
16	პ		პანი	=70	p The path of the Earth around the Sun with its own rotation
17	ჟ		ჟარი	=80	ph
18	რ		რანი	=90	rh
19	ს	მზეთა მზე	რაე	=100	r Ra - the God of the Sun - the calendar of the Sun
20	ტ		ტანი	=200	s
21	ც		ცარი	=300	t
22	ძ		ძნი	=400	u
23	ჭ		ჭარი	=500	p
24	ყ		ყანი	=600	q The Earth's rotation and its 24 hours
25	რ		რანი	=700	gh The Great God, the middle of galaxy
26	ს		სარი	=800	k**
27	შ		შანი	=900	sh
28	ჩ		ჩანი	=1000	ch
29	ც	ცის ღვედოუკალი	ცინი	=2000	ts The doors of the Sky
30	ძ		ძინი	=3000	dz
31	წ	3,14	წილი	=4000	ts Circle - year - part - 3,14
32	ჭ		ჭანი	=5000	ch*
33	ხ		ხანი	=6000	
34	ყ	(3) ღვედანიწა	ხარი	=7000	kh Khar - the Earth - bull
35	ჯ		ჯანი	=8000	j Completer of the alphabet

შესავალი

„...ჭეშმარიტება, მხოლოდ ჭეშმარიტება! თუნდაც ცა ჩამომემსოს თავზე მთელი თავისი სიმძიმით ჩემი ჭეშმარიტებისადმი სიყვარულის გამო; და არანაირი სიცრუე, თუნდაც ზეციურ ბედნიერებათა სავანე და იქ განცხრომა ვზღო ჩემი განდგომის წილ...”

თომას კარლეილი

ძვირფასო მკითხველებო, „მედეას“ ამ ნომერში თემატურად და თვისობრივად მრავალფეროვან სტატიებთან ერთად, თქვენ გაეცნობით მადლიერებისა და აღიარების წერილებს, რომელთა ავტორების გამოცდილება თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება უდარდელი ახალგაზრდობით, დაუდევარი ცხოვრების წესით, გენეტიკური მემკვიდრეობით ანდა ტრავმებით გამოწვეული ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევა. ისინი თავისი შექმნილი სიბრძნისა და კაცთმოყვარეობის სიმაღლეებიდან მოგმართავენ:

- ექვრის საწმისი და აქ მოპოვებული ახალგაზრდობა გაგათავისუფლებთ ჯანმრთელობის პრობლემებისაგან!

„ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია”, - და პირიქით, შეუძლებელია იზრუნო ადამიანის ფიზიკურ ჯანმრთელობაზე თუ მის სულსა და გონებას არ მიაწოდე საზრდო და არ შეუქმენი ხელსაყრელი გარემო. სწორედ, ამ იდეას ემსახურება მთელი ჩვენი საქმიანობა და ჟურნალის ეს ნომერიც, აღმოცენებული წინა ნომრებით დამუშავებულ ნიადაგზე, აგრძელებს რა ტრადიციას - განუმეორებელია თემატიკის მრავალფეროვნებით; წინა ხაზზე წამოწეულია ისეთი მარადიული ფასეულობანი, როგორც არიან სილამაზე და სიყვარული; ასევე მკითხველისთვის გასაგებ ენაზე გაშუქებულია ფილოსოფიის, მედიცინისა და მეცნიერების სხვა დარგე-

ბის სიახლეები და აღმოჩენები; ჩვენ არც პოლიტიკას ვუვლით გვერდს, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ჯანმრთელობისთვის აუცილებელი, კეთილშობილი გარემოს შესაქმნელად.

გავიხსენოთ პოლიტიკის არისტოტელესეული განმარტება:

- “უზენაესი და უკეთილშობილესი ხელოვნებათა შორის - პოლიტიკაა.”

დღევანდელი გადასახედიდან ეს სიტყვები სულ მცირე განცვიფრებას მაინც იწვევენ, ვინაიდან ჩვენ არა მხოლოდ მსოფლიო მასშტაბის კაცთმოძულე პოლიტიკოსთა (ჰიტლერი, მუსოლინი, პოლ პოტი, კიმ ჩენ ინი...) ეპოქაში ვცხოვრობთ, არამედ მრავალი წვრილფეხა პოლიტიკოსის „მოღვაწეობას” ვადევნებთ თვალს, რაც ძალიან შორსაა არისტოტელესეული განმარტებისგან. ჩვენი მიზანია ერს დავუბრუნოთ ის კეთილშობილება და სადი აზროვნება, რომელთა მეშვეობითაც მოვიდა დღემდე და მომავლის პოლიტიკოსი თუ რიგითი მოქალაქე ამ ფასეულობებზე დაყრდნობით მიიღებს საზოგადოებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს. მაშინ არისტოტელეს იდეა ფრთას შეისხამს და საქართველოს მაგალითზე კაცობრიობა ისწავლის სიცოცხლის დაფასებასა და სიყვარულს! ჩვენი მსოფლმხედველობისა და სტრატეგიის უტყუარობის დასტურია ის უსაზღვრო მადლიერება და სიხარული, რომელთაც ამოიკითხავთ აღიარების წერილებში ან მოისმენთ ჩვენს მიერ

დაარსებული „კავკასიის მსოფლიო კულტურის, ურუსვატის სახელობის ცენტრი“-ის წევრებისგან. უზენაესი სათნოებანი მათი ცხოვრების წესად არის ქცეული და ალბათ ამიტომაც, ჩვენი საზოგადოება დღითიდღე იზრდება და დღევანდელობის „ზნეობისაგან“ სრულიად განსხვავებულ ადამიანთა მოდგმის ულამაზესი კერა ხდება. ამ ურთიერთმიმართებას ჩვენ მხოლოდ ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენით კი არ ვაღწევთ, არამედ იმითაც, რომ მათ დღევანდელობისაგან სრულიად განსხვავებულ ფილოსოფიას ვთავაზობთ. იგი მკაცრად განსხვავდება სიძულვილსა და მატერიალიზმზე აგებული დღევანდელობის იდეოლოგიისაგან, რომელმაც ხალხი პირველყოფილ ადამიანებს დაამსგავსა. შეუძლებელია „ადამიანში“ ადამიანი გაგაღვიძოთ და უფსკრულის პირას გადასაჩეხად განწირული ისე გადავარჩინოთ, რომ მაშველი ხელი არ გავუწოდოთ!

კარგადაა ცნობილი ძველთა დარიგება:

- „თუ საბედისწერო ჟამს დახმარების ხელს გაუწვდით ადამიანს, თქვენი დახმარება განსაკუთრებით აამაღლებს დაცემულის სულს და მის მადლიერებით აღვსილ გულს ზეცასთან დააკავშირებს.“

ეს იდეა ჩვენი ხალხთან ურთიერთობის ქვაკუთხედიანია. ამიტომ, იმედი გვაქვს საქართველოდან მთელს კაცობრიობას გადავწვდებით და ტოტალურად დასნეულებულ მსოფლიოს ვაჩუქებთ იგივე ბედნიერებას, რასაც ჩვენთან განკურნებულ ადამიანთა წერილებიდან შეიტყობთ. შეუძლებელია მათი გულგრილად წაკითხვა და ავტორთა შორის სულიერი კავშირის არდანახვა. ასევე, უხილავი ძაფია გაბმული წერილებსა და სტატიებს შორისაც. შეუძლებელია არ იგრძნოთ სულიერი შემეცნებისთვის გაღვიძებული, მომავლის ადამიანის ერთიანი სიყვარულის, ბედნიერებისა და სიცოცხლის შინაარსის აპოთეოსი. შეუძლებელია ვერ ხედავდეთ, რომ დღეს საქართველოს თავისი თავიც

და არსიც დაკარგული აქვს და მან უნდა დაიბრუნოს იგი ფიზიკური, ზნეობრივი და სულიერი გაჯანსაღების იმ ცოდნით, რასაც ჩვენს „კავკასიის მსოფლიო კულტურის ცენტრ“-ში (კ.მ.კ.ც.) ვასწავლით!

* * *

მადლობის წერილი

მადლობელი ვიქნები, თუ ეს წერილი ერთ ადამიანს მაინც დაეხმარება...

2001 წელს, 33 წლის ასაკში, მეგობრის რეკომენდაციით გავიცანი აწ უკვე ჩემი მასწავლებელი - თამაზ თავაძე. მიუხედავად ჩემი უღრმესი პატივისცემისა, შეგნებულად არ მოვიხსენიებ მას ბატონობით ან მსგავსი წოდებით, რადგან ვფიქრობ, რომ მასწავლებელზე დიდი წოდება არ არსებობს.

მივედი, როგორც ბევრი ჩემნაირი მისულა - ჯანმრთელობის პრობლემებით, ასევე ეჭვებითა და შიშით უხვად დახუნძლული. იმდენად მაწუხებდა ხერხემალი, განსაკუთრებით გულმკერდის მალეები, რომ ხანგრძლივი დღომა ან ჯღომა ტკივილებს მგერიდა. მანამდე კი საქართველოში მოვიარე თითქმის ყველა სამკურნალო დაწესებულება (აქვე მადლობას ვუხდი ყველა ექიმს, ვინც შეეცადა დამხმარებოდა და გულისყურით მომეპყრო). ოპერაციის და შემდგომში 50%-ანი ინვალიდობის პერსპექტივით (ასეთი განაჩენი მქონდა გამოტანილი) და, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეჭვებით გაძეპგილმა („ამან როგორ უნდა მიშველოსო“, - და მისთანები), დავიწყე ვარჯიში აგნი იოგას მეთოდით.

2/3 თვეში შევბა ვიგრძენი, საკუთარი თავის რწმენა გამიძლიერდა და (ახლა კი ადვილია თქმა) მაშინვე მივხვდი, რომ საკუთარი ჯანმრთელობა მხოლოდ ჩემს ხელებში იყო. ხერხემლის და კიდევ უამრავი თანმდევო პრობლემის

აღმოჩენისა და მოწესრიგების შემდეგ, მზარავს იმაზე ფიქრი, თუ როგორ მდგომარეობაში შეიძლებოდა ვყოფილიყავი დღეს, რომ არ მეპოვა მასწავლებელი, რომელმაც მომაპოვებინა არამართო ჯანმრთელობა, რაც მხოლოდ მიზეზი იყო ჩვენი გაცნობისა, არამედ მასწავლა მთავარი, რომ ადამიანებს შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი თავი აზრისა და სიტყვის ძალისხმევით, შეცვალონ მთელი ცხოვრება, გარშემომყოფნი და მთელი სამყაროც კი! უკანასკნელი სიტყვები შესაძლოა გადაჭარბებულ მოგვიჩვენოთ, მაგრამ მე მაინც დაბეჯითებით გავიმეორებ:

აზრის, სიტყვის ძალისხმევით, ადამიანს შეუძლია შეცვალოს სამყარო!

ბევრის დაწერა შემიძლია საკუთარი ჯანმრთელობის თემაზე, თუმცა სხვისი (ამ შემთხვევაში ჩემი) გამოცდილება ნაკლებ ფასეულია და მხოლოდ ერთს კი ვიტყვი: ბედნიერებაა, როცა შეგიძლია ჯანმრთელობა დაიბრუნო, ბედნიერებაა, როცა შეგიძლია დაეხმარო სხვას, ბედნიერებაა როცა ეძებ სანუკვარს და პოულობ მას. წარმატებებს გისურვებთ...

ბადრი მოლაშხია
13 აგვისტო 2016წ.

* * *

ამ წერილის წაკითხვისას შეძენილი განცდისა და ემოციური მუხტის დახმარებით, მკითხველს არ გაუჭირდება ქვემოთ მოყვანილი ულამაზესი, ცხოვრებისეული ფილოსოფიის შინაარსის წვდომა, საკუთარი შეგრძნებებით გაცოცხლება და მასში ასე ცხადად გადმოცემული ალეგორიული დარიგების მიღებაცა და გათავისებაც...

მართლაც, რა კარგია, თუკი ურთიერთობაში პირველად შემავალ ადამიანთათვის, ასევე პირველი გრძნობა სიყვარული იქნება - ისეთი სიყვარული, რომელსაც ეს ულამაზესი სალაღობო ალქიმიას ასწავლის.

* * *



საღალღობო ალქიმია

ჯადოქარი თავის მოწაფესთან ერთად მიუახლოვდა მასიურ, მძიმედ მოჭედულ კარს.

– დღეს ჩვენ ცხრილის მიხედვით გვაქვს ქიმია, – უთხრა მან ბიჭუნას და დაიწყო გასაღებით ძველ ბოქლომში ჩხიკინი.

მოსწავლე უკმაყოფილებისაგან დაიდმეჭა, რომელსაც მოსწონდა იმის ცქერა, თუ როგორი მოხერხებულობით ურევდნენ ერთმანეთში სხვადასხვა სითხეებს მასწავლებლები და ამით ახალს დებულობდნენ, მაგრამ თავად ძალიან უჭირდა მათი ფორმულების დამახსოვრება. მოკლედ, ქიმია მას არ უყვარდა.

– მე ვატყობ, შენ არ გიხარია?! – მკაცრად იკითხა ჯადოქარმა, რომელიც შეუმჩნეველად აკვირდებოდა ბიჭუნას.

– განა რა განსხვავებაა? – მხრების აჩქრვით, მორჩილად ამოიხვნეშა მოსწავლემ, – თუ განრიგით ქიმიაა, – ესე იგი ქიმიაა... ვერაფერს გააწყო.

ბოქლომი, როგორც იქნა, გაიღო და მძიმე კარი ჭრიალით ამოძრავდა. ორი ადამიანი შევიდა ვრცელ სათავსოში. მთელი კედელი თაროებს ეჭირათ, რომლებზეც ელაგა სხვადასხვა ფერის სითხეებით სავსე უამრავი ბოთლი. შუაში დიდი მაგიდა იდგა.

– არ დაიდარდო, – გაუღიმა ბიჭუნას ჯადოქარმა, – დღეს უჩვეულო გაკვეთილი გგეგმება ალქიმიაში. შეგიძლია დაივიწყო ნიტრატებიცა და ნიტრიტებიც.

იგი მივიდა მაგიდასთან და მასზე მაღალი დოზირებისათვის საჭირო ჭურჭელი დადგა.

– ძალიან მალე გამოცდებია. მათი წარმატებით ჩაბარების შემდეგ, შენ ნამდვილი ჯადოქარი გახდები. რათა

გახდე ჯადოქარი, საკმარისი როდია ფლობდე ფიზიკის კანონებსა და მათი გადალახვის ხერხებს, შენ მარტო ის კი არ უნდა იცოდე, თუ როგორ გარდაქმნა ვერცხლისწყალი ოქროდ, არამედ ყველაზე მთავარია, ერკვეოდე ადამიანთა სულებში. აი, შეხედე!

და მან ჭიქაზე მიანიშნა, – სული ამ ჭურჭელს გაგს, რომელშიც ნებისმიერი გრძნობის ჩასხმა შეგიძლია. სული, ისევე როგორც ჭიქა, მასში მოთავსებული შემადგენლობის ხარისხს ატარებს და შესაბამისი ფასიც ედება. აი, ამიტომ ამბობენ ადამიანები: ნათელი სული, ან ბნელი სული.

– გამოდის რომ სულს მართლა აქვს ფერი? – იკითხა გაოცებულმა მოწაფემ.

– და არა მხოლოდ სულს. ყოველ გრძნობას თავისი ელფერი დაჰკრავს. შენ, როგორ გგონია, რომელია აქ სიყვარული? რა ფერისაა იგი? – ჯადოქარმა გაშლილი ხელი ვრცლად მიმოატარა ნაირფერი სითხეების თავზე და თაროსთან მიიყვანა მოწაფე.

– წითელი, – დაუფიქრებლად წამოიძახა ბიჭუნამ, – რა თქმა უნდა, იგი წითელია, ეს ხომ ყველამ იცის.

– სრულებითაც, არა. სიყვარული, აი, იმ დიდ ბოთლშია, – და უზარმაზარ ჭურჭელზე მიანიშნა, რომელიც ოთახის ბოლოში იდგა.

– მე კი მეგონა, რომ მაგაში წყალი იყო, – იმედგაცრუებულმა მოწაფემ დარცხვენით აღიარა შეცდომა.

– მასში კონცენტრირებული სიყვარულია. იგი წმინდა და გამჭვირვალეა, ვითარცა მთებში ნაძვნარის ჰაერი ჭექა-ქუხილის

შემდეგ. სხვათაშორის, იგი იმ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს, რომლის გარეშეც არცერთი გრძნობა არ იქმნება.

– ნებისმიერი გრძნობა? სიძულვილიც კი შეიცავს მას?!

– აუცილებლად! - დასძინა ჯადოქარმა და თავიც კი დაუქნია დასტურის ნიშნად, - რომელიმე იდეის ან ობიექტის სიძულვილი, მხოლოდ მისი საპირისპირო შინაარსის თუ ობიექტის მიმართ სიყვარულს წარმოადგენს, მაგრამ უფრო ხშირად იგი საკუთარ თავზე შეყვარების შედეგია. ჯადოქარმა ხელი ჩამოისვა ჭადარა წვერზე და ოდნავ ჩაფიქრდა.

დაავადებით. რაც უფრო მეტია საკუთარი თავის მიმართ გაუცნობიერებელი სიყვარული, მით მეტია გაცნობიერებული სიძულვილი კოლეების მიმართ.

– რა უნდა დაგუმატოთ სიყვარულს იმისათვის, რომ იგი სიძულვილში გადაიზარდოს?

– ამას ჩვენ ახლავე დავადგენთ. ჯადოქარმა გადმოინაცვლა მაგიდასთან და სხვადასხვა ფერის სითხით სავსე, პატარა ბოთლები დადო მასზე.

– დაიმახსოვრე ძირითადი წესი: როდესაც შენ გრძნობათა შემოქმედებას შეუდგები, ყოველთვის დაიწყე **სიყვარულით!**



– აი, მაგალითად: ადამიანს არ უყვარს კოლეები, უბრალოდ სძულს. საიდან უჩნდება მას ასეთი ძლიერი გრძნობა? ვინაიდან ძალიან უყვარს საკუთარი თავი, საკუთარი სხეული. მას არ სურს, რომ მწერები აწუხებდნენ და ამახინჯებდნენ ნაკბენებით, რასაც ქავილი და სხეულის დაზიანება მოყვება, ღმერთმა ნუ ქნას და შესაძლოა დაასწავლოს კიდევ რაიმე

იგი ყველაზე საუკეთესო გამსწვლია და ნებისმიერი სულის საფუძველს წარმოადგენს.

ამჯერად ჯადოქარმა თაროდან საშუალო ზომის ზარდახშა გადმოიღო, გახსნა და მაგიდაზე დადგა.

– ეს რაღა ფხენილია?! - ცნობისმოყვარედ იკითხა ბიჭუნამ.

– ეს წყენაა. ჩვეულებრივი გაბუტვა. ძალიან საშიში ნივთიერებაა.

– გაბუტვა?! ძალიან საშიშია?! - აკისკისდა ბიჭუნა. - მე ყოველთვის მეგონა, რომ არსებობენ გაცილებით საშიში გრძნობები, ვიდრე ბრყყვთათვის დამახასიათებელი ეს თვისება.

– ბუტილობა, თავისთავად საშიში როდია, მითუმეტეს არაა მომაკვდინებელი, მაგრამ... მაგრამ თუ პროპორცია ან გრძნობა შეგეშალა, უამრავ უბედურებას ჩაიდენ. ჯადოქარმა ჩაასხა ჭიქაში ბროლივით კამკამა სითხე და ერთი მწიკვი წყენა ჩაუმატა.

– ხედავ? - დაეკითხა ჯადოქრი ბიჭუნას, - მცირე ზომით იგი სრულიად უვნებელია და **მთლიანად უჩინარდება წმინდა სიყვარულში.**

– ეხლა ცოტაც დავუმატოთ, - სთქვა მან და უკვე ერთი მუჭა წყენა ჩაუშვა ცისარტყელას ფერებით მოელვარე ბროლის სითხეში - სიყვარულში. ციმციმი ერთბაშად ჩაქრა, სითხე აიძვვრია და ცემით დაღურჯებული კაცის ფერი მიიღო.

– ეს ძალიან არასტაბილური ხსნარია - მას იმედგაცრუება ჰქვია. ზემოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით, იმედგაცრუება კვლავ სიყვარულში, ანდა სრულ გულგრილობაში გადაიზრდება, როგორც სიყვარულისა და წყენის ნაზავი გრძნობა.

– თავად გულგრილობა რა ფერისაა? - დაინტერესდა მოსწავლე.

– არც ისე ძნელია ამის თავად მიხედვრა, - ჩაიციხა ჯადოქარმა, - რა თქმა უნდა, **ლილისფერია!** მაგრამ ამჟამად ჩვენ ის არ გვჭირდება და არ გამოვეყოფთ ცალკე სითხის სახით. მოდი, ბოლომდე გავარკვიოთ გაბუტვა ანუ წყენა.

მან ჭურჭელში სიყვარული ჩაამატა და დარჩენილი წყენის ანუ გაბუტვის ფხვნილიც მთლიანად ჩაყარა. სითხემ ბუებუყი დაიწყო და აქაფდა, თითქოს აღუდღაო და სწრაფად მიიღო **ღია მწვანე ფერი.**

– აი, ხედავ რა დაემართება სითხეს, თუკი წყენას გადაამეტებ მასში?

– არა, და რა მოხდა? - იკითხა მოწაფე ბიჭუნამ და ჰაერი შეიყნოსა, უნებლიედ დაიმანჭა და წამოიძახა: - რა სიმყრალეა!

– ეს ეჭვიანობაა, საშიში შხამია. ნუ შეისუნთქავ მის მომწამლავ სუნს. იგი აბრუებს ადამიანს, ართმევს აზროვნებას და ბურუსში მოაქცევს ტვინს, რასაც შეუძლია უსაშინელესი შედეგები მოიტანოს.

ბიჭუნამ ცხვირზე იტაცა ხელი და სწრაფად გამოწია თავი უკან.

– ეჭვიანობა უხვი სიყვარულით განიქარვება, - ჯადოქარმა ჭიქა ბოლომდე გაავსო წმინდა სიყვარულის სითხით.

– მოდი, ნულარ გემინია, - უთხრა მან ბიჭუნას.

მოწაფემ ეჭვით შეხედა სითხეს, მაგრამ მაინც მიუახლოვდა მას.

– როგორც ხედავ, ხსნარი ისევ წმინდაა, მაგრამ ფსკერზე დანალექი ჩაწვა. მკურნალობა სიყვარულით მოხდა, მაგრამ... მაგრამ რას იზამ, ახსოვთ ადამიანებს წარსული დანალექი - გულისტკენა და ვერ ივიწყებენ, წამოსძახებენ მას ერთმანეთს და შესაძლოა ისევ უბედურებას ან ეჭვიანობას დაუბრუნდნენ. ამიტომ, დალექილი ეჭვიანობა, იგივე გულისტკენა სიყვარულის სითხიდან სრულიად მოსაცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში გულგრილობის ფორმაში გადავა.

ჯადოქარი მოსცილდა მაგიდას, თაროდან მუქი **ღვინისფერი** სითხით სავსე პატარა ბოთლი აიღო და ჰკითხა მოწაფეს: - რა უნდა იყოს ეს, შენი აზრით?

– ჰმ!.. - დაფიქრდა მოწაფე და ცოტაოდენი ღუმილის შემდეგ გაუბედავად სთქვა: - იქნებ ეს ბოღმაა?

ჯადოქარმა გაუღიმა და თავზე ხელი გადაუსვა.

– ყოჩაღ, ეგრევე იჭერ ყველაფერს! ეს მართლაც ბოღმაა. ახლა ჩვენ მას ნალექიან ხსნარს დავუმატებთ, ავურევთ ერთმანეთში და ვნახავთ თუ რა მოხდება. მხოლოდ ცოტა **სიყვარულიც** დავაკლოთ, იგი ზედმეტად ბევრია ამ ხსნარში.

ჯადოქარმა ფრთხილად გადმოასხა გამჭირვალე სითხის ნაწილი ცარიელ ბოთლში და სანაცვლოდ ჩაამატა ღვინისფერი ბოღმა - ბრაზი. ხსნარი აშიშინდა და მყისვე მიიღო შავი ფერი.

- აი, ისიც, ისევ ის სიძულვილი, - სევდიანად წარმოსთქვა მან. - ეს ძალიან მღვრადი სითხეა და ამასთანავე, საშინლად ხრწნადიც. ერთხელ, შემთხვევით დამესხა ხალათზე და როგორ არ ვეცადე, მაინც ვერაფერი ვუშველე ლაქას... ახლის ყიდვა მომიწია. წარმოიდგინე, რომ კონცენტრირებული სიყვარულითაც კი ვერ მოვაცილე ლაქა. თუ ამ სიძულვილის სითხეს ცეცხლზე დავდგამთ, იგი სწრაფად დაიწვებს დუღილს და გახდება ძალიან საშიში ძლიერფეთქებადი ნივთიერება.

მოსწავლემ გადახედა მასწავლებლის ქათქათა თეთრ ხალათს და თანაგრძნობის ნიშნად გადაიქნია თავი.

- ნუთუ სიძულვილი ასეთი მძაფრია, რომ მას ვერაფრით გაანელებ?

- დიახ, იგი ძალიან ძნელად ექვემდებარება ტრანსფორმაციას. არსებობს მხოლოდ ერთი ხერხი: თუკი სასწრაფოდ დაგუმატებთ მას ძალიან ბევრ გამხსნელს - **სიყვარულს**; მაშინ შესაძლოა, დროთა განმავლობაში იგი გარდაიქმნას გაბრაზებად ანუ საწვავ ნივთიერებად, რომელიც სწრაფად დაიწვება და დატოვებს მშრალ ფხვნილს - სახელად განაწყენებას. როგორც ხედავ, ყველაფერი ძალიან მარტივია.

- არც ისე იოლია, - ჩაიბურტყუნა თავისთვის მოსწავლემ.

- საკმარისია იცოდე ამ პროცესთა საფუძვლები და შემდგომში, როგორც ვირტუოზი მხატვარი, შესძლებ მთიპოვო ნებისმიერი შეფერილობის გრძნობა ყოველ სულში ანუ ადამიანში. ყველაფერი გამოცდილებასთან ერთად მოდის, - დიმილით უთხრა მოსწავლეს ჯადოქარმა.

- აი, ეს რა მაღამოა? - ცნობისმოყვარედ იკითხა ბიჭუნამ.

- ეს შიშია. როგორც ხედავ, იგი ფისივით

(გუდრონივით) სქელია, იწელება და ძალიან ცხიმიანია, ამიტომ ძნელად გახსნადია სიყვარულში და თავისუფლად ეწეება სულს. ეს ნივთიერება არა თუ საშიში - საჭიროც კი არის, მაგრამ როგორც ყოველი წამალი, გადამეტების შემთხვევაში შესაძლოა გარდაიქმნება. შიში მხოლოდ სიყვარულის ან სიძულვილის ხსნარში იხსნება, ამასთან ამ უკანასკნელში - უფრო ადვილად, რადგან სიძულვილი სიყვარულზე იოლია და შიშით გაჯერებული უფრო ძლიერი ხდება.

- მასწავლებელო, მიჩვენეთ კიდევ ერთი რომელიმე ალქიმიური ცდა, ეს ძალიან საინტერესოა! - დიმილით მიმართა ჯადოქარს მოსწავლემ.

- რა გაეწყობა, მოდი ვცადოთ, - სთქვა მან და მაგიდაზე სუფთა ჭიქა დადო, - ჩვენ, ახლა, კიდევ ერთ მავნე ნივთიერებას შევქმნით. ჩავასხათ ჭიქაში რაც შეიძლება მეტი სიყვარული საკუთარი თავის მიმართ, დაგუმატოთ ორი მწიკვი გაბუტვა, ბევრი ბოღმა და რამდენიმე წვეთი სიძულვილი. როგორ ფიქრობ, რას მივიღებთ? მოწაფე ცოტა ხნით დაფიქრდა.

- არ ვიცი, - მხრების აჩეჩვით უპასუხა მან.

- რა ფერის ხსნარი გამოვა? - იკითხა ჯადოქარმა და, - ყავისფერიო, - საკუთარ შეკითხვას თავადვე უპასუხა.

- ზუსტად შურიანობის რეცეპტია და კარგად დაიმახსოვრე იგი. ნივთიერება იმდენად მძაფრია რომ, დროთა განმავლობაში შეუძლია ჭურჭლის კედლებიც კი შეჭამოს. ეცადე, რაც შეიძლება ნაკლებად იქონიო მასთან საქმე. იყო შემთხვევები, როდესაც შურიანობამ სულიც კი გამოჭამა ადამიანს. სიტყვამ მთიგანა და ეს უნდა ითქვას: თეთრი შური არ არსებობს. ეს მხოლოდ გავრცელებული შეცდომაა.

- ოჰო, - გაიკვირვა ბიჭუნამ, - საშიში რამ ყოფილა! თუ შეიძლება, ახლა მე ვცდი.

ჯადოქარმა ხელი ჭადარა წვერზე

ჩამოისვა, ყურადღებით შეხედა მოსწავლეს და უპასუხა:

– კი, მე აშკარად ვხედავ, რომ შენ მზად ხარ დამოუკიდებლად შეისწავლო სულის ალქიმია. ახლა, მე გაძლევ დამოუკიდებელი შემოქმედების უფლებას.

– რამე რომ ამიფეთქდეს? - შიშისაგან აღმოხდა ბიჭუნას.

– ნუ გეშინია. ამ საგნის მეთოდის იმაში მდგომარეობს, რომ **მოსწავლემ თავად ისწავლოს ყველაფერი. მასწავლებელი მხოლოდ ცოდნის საფუძვლებს იძლევა**, სხვა დანარჩენი მოსწავლეზეა დამოკიდებული. ვიღაც ბნელი სულების ოსტატი ხდება, ვიღაც კი - ნათელი სულებისა. ზოგიერთს საერთოდ არ აინტერესებს ეს საგანი და არ უნდა სწავლა. ასეთ მოსწავლეებს მომავალში უჭირთ ნამდვილ ჯადოქრებად გახდომა, მაგრამ ეს მათი არჩევანია, - მასწავლებელი წამით დადუმდა.

– დაიმახსოვრე მთავარი წესები, სულ სამი მთავარი წესია: პირველი - **ყოველთვის დაიწყე სიყვარულით**. სხვაგვარად დაღუპავ საკუთარ სამშენველს და აღარაფრისთვის ივარგებ. ვის სჭირდება ძირგაგარდნილი ჭიქა? მეორე - **რაც უფრო ნაკლები ინგრედიენტებია შემადგენლობაში, მით მეტად ნათელია იგი** და პირიქით, რაც მეტად მუქია - მით მეტად საშიში. და ბოლოს, - **ჯადოქარი დადუმდა და შეხედა მოწაფეს**.

– რა, რა არის ბოლო წესი? - მოუთმენლად იკითხა ბიჭუნამ და გაირინდა.

მასწავლებელი მივიდა პატარა კარადასთან, ამოიღო იქედან თეთრი ხალათი და ფრთხილად მოასხა მხრებზე.

– მესამე წესი: თუ გინდა გახდე ნამდვილი ჯადოქარი, ლაბორატორიაში ყოველთვის **ხალათით** იმუშავე. თუკი სხვათა გრძნობები შენზე გადმოვა, ამით გაწირავ შენს უკვდავებას და ჩვეულებრივი ადამიანი გახდები.

– და ეს განა ცუდია? - გაისმა შეკითხვა.

– არა, სრულებითაც არა. ეს მხოლოდ

შენი არჩევანია: გახდები ჯადოქარი ანუ სულთა დიდოსტატი თუ ჩვეულებრივი ადამიანის ხვედრს აირჩევ, მაგრამ ვინც არ უნდა გახდე, ყოველთვის გახსოვდეს ერთადერთი რამ, - მასწავლებელი გაჩერდა და ძალიან სერიოზულად შეხედა ბიჭუნას, - არ დაუჯერო მათ, ვინც სიყვარულის ნაცვლად საწყისად სხვა გრძნობას იღებს. ისინი ჯადოქრები კი არა, არამზადები არიან. ყოველთვის დაიწყე სიყვარულით და მხოლოდ მაშინ გახდები **საუკეთესო!**..



– მოწაფემ შეხედა მასწავლებელს და... და მოხუცს თითქოს ნიღაბი მოსცილდა, მის წინაშე იდგა სრულიად ახალგაზრდა, აპოლონივით მშვენიერი ჯადოქარი, რომელსაც უკვე მის თვალებში მხრცოვანი მასწავლებლის იერი აღარ ჰქონოდა, თუმცა იცოდა, რომ მხოლოდ ის ხედავდა **მას ასე ახალგაზრდას...**

მოწაფეს თვალი სარკისაკენ გაექცა და დაინახა, რომ საკუთარ ანარეკლს მხრცოვანი ჯადოქრის იერი ქონდა. და

მაშინ მიხვდა! მიხვდა, რომ ამიერიდან მასწავლებლის თანამოაზრე და ცოდნის მოზიარე გახდა; ამიერიდან მისი თვალები მარადიულ ჭაბუკად დაინახავდნენ უკვდავ ჯადოქარს, რომელიც უსასრულობამდე ივლის დედამიწაზე ცოდნის მაძიებელ-თათვის გზავნილის გადასაცემად!

...ქიმიური ლაბორატორიიდან ორი „მოხუცი“ ჯადოქარი გავიდა...

ევგენი ჩეშირკო

* * *

ღიას! ზუსტად ასე ხდება ჩვენს პრაქტიკაშიც: სწეული ადამიანების გარდასახვა ჯადოსნური სიყვარულით განკურნების შემდეგ. როგორც ამ იგავშია გადმოცემილი - ადამიანები სიყვარულის ჯადოქრები ხდებიან!



მადლობის წერილი

„ყველა ცვლილება, მათ შორის ისინიც, რომლებიც დროშია გაწეილი, ტოვებს ჩვენში მეღანქოლიას იმის გამო, რომ უკან მოვიტოვეთ ჩვენი სულის ნაწილი. ჩვენ უნდა მოგვედეთ ერთი ცხოვრებისთვის იმისათვის, რომ მეორე დავიწყეთ.“

ანატოლ ფრანსი

„იყო და არა იყო რა“, – ასე იწყება ყველა ქართული ხალხური ზღაპარი. არავინ უწყის რამდენჯერ მომისმენია და წარმომითქვამს ეს ფრაზა, რომელიც ასე ლაკონურად ასახავს ადამიანის დაბადებას, სიცოცხლეს და მის დასასრულს. იგი ლაღად ატარებს ბავშვობის წლებს, რადგან მისი სულის წიაღში ჯერ კიდევ ცოცხლობს ზეცით ნაბოძები მადლი, მაგრამ დროთა განმავლობაში კარგავს ოცნების უნარს, გულწრფელ მისწრაფებას ემსახუროს სიკეთესა და სიყვარულს. ყოველდღიურობის ფერხულში ჩაბმულს შეუმჩნევლად უქვევდება გული, უხეშდება ნაღალატევი სულიც, მას აღარ ანადვლებს ფეხტიტველა მშიერი ბავშვის გამოწვდილი ხელი, არც გაყინული მოხუცი: „რას ვიზამთ, ცხოვრება ასეთია“... მომხვეჭელობა ხდება ერთადერთი საზრუნავი და ისე ტოვებს ამ სამყაროს, თითქოს არც ეცოცხლოს: „იყო და არა იყო რა“... საგულისხმოა ზღაპრის დასასრულიც: „ჭირი იქა, ლხინი აქა“... რაც ერთდროულად დარიგებაც არის და ლოცვაც. წინაპრები შეგვახსენებენ, რომ „ლხინი“ ანუ ბედნიერება და დღეგრძელობა „აქა“ ანუ ამქვეყნადაც შესაძლებელია თუკი დავამარცხებთ ბოროტს ანუ ჩავწვდებით სამყაროსეულ კანონზომიერებას და ოდნავ მაინც მივუახლოვდებით შემოქმედის არსს.

ასე დაიწყო ჩემი თავგადასავალიც, ცხოვრებამ სად არ მატარა, ვიდებდი გამოცდილებას როგორც მორწმუნე, ასტროლოგიის მოყვარული, ევრითმისტი-

ანტროფოსოფი, მეუღლე და დედა, გამოვცადე მარტოობაც და მოგზაურობაც. ხან ვუმკლავდებოდი პრობლემებს, ბევრიც იღექებოდა ჩემში, როგორც ბარეირი გულსა და სამყაროს შორის. რიგი მოვლენების გამო, მივედი დასკვნამდე, რომ ყველა სიკვდილის შვილები ვართ. მოლოდინმაც არ დააყოვნა და 38 წლის ასაკში დამეწყო თავის ტკივილები, უძილობა, ალერგია, კუჭის წყლულის ნიშნები, გამიმწვავდა კისრისა და მხრების ტრავმა, ასევე განვითარდა კვანძი მკერდში. დაავადებათა უმრავლესობა ქრონიკული სახის იყო და მოითხოვდა სისტემატიურ ვიზიტებს ექიმებთან და მედიკამენტების მიღებას, რაც ეწინააღმდეგებოდა ჩემს შეხედულებებს.

დავიწყე ალტერნატიული გზების ძიება, დაგვაგდი ჰათჰა იოგით, შემდეგ კი ბედისწერამ, ჩემი დის ხელით, აგნი იოგაში მომიყვანა. პირველი კურთხევა ბატონი თამაზ თავაძის მოსწავლის დალი ფარადაშვილისგან მივიღე. ინტუიციამ მიკარნახა, რომ ამ ადამიანის უკან რაღაც დიადი იმალებოდა. ამიტომ პრაქტიკული გაკვეთილების პარალელურად დავიწყე აგნი იოგას სკოლა „ოქროს საწმისში“ სიარული, სადაც დიდი სითბოთი და სიყვარულით მიმიღეს. იქ ვესწრებოდი სიმღერისა და ასტროლოგიის გაკვეთილებს და რაც მთავარია ბატონი თამაზის თეორიულ ლექციებს.

მას შემდეგ 2 წელი გავიდა. ახლა ბატონი თამაზის მოსწავლე ვარ და ჩემი ავადმყოფობები აღარც კი მახსოვს, რადგან ბრძოლის ასპარეზმა უფრო ღრმა წიაღში გადაინაცვლა. გავიხსენე ხატვა და სიმღერა. და მაინც, ყველაზე დიდ მიღწევად ჩემი შვილის აგნი იოგით დაინტერესებას მივიჩნევ, რაც მისი ინსტრუქტორის დამსახურებაა.

მიხარია, რომ ამ ბრწყინვალე გუნდის ნაწილი ვარ და დიდ მადლობას ვუხდლი ბატონ თამაზს მისი დაუდალავი

შრომისთვის უკეთესობისკენ შეცვალოს სამყარო და გადააჩინოს რაც შეიძლება მეტი სიცოცხლე! ასევე, „ოქროს საწმისის“ ყოველ მკურნალ-მასწავლებელს და წევრს მათი უანგარო სითბოსა და სიყვარულისთვის!

ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით,
თამარ დევდარიანი

* * *

მართლაც, განუზომელია მასწავლებლის როლი ადამიანის და აქედან გამომდინარე, კაცობრიობის განვითარების პროცესში. მცირე ასაკიდან ბავშვი სწავლობს ჯერ მშობლებისგან, შემდეგ სასწავლო დაწესებულებების პედაგოგებისგან. ასე განსაჯეთ და ცხოვრება ყველაზე დიდი მასწავლებელია ყოველი პიროვნების ბიოგრაფიაში.

ჭეშმარიტად გაუმართლათ მათ, ვისაც ხვდათ წილად შეხვედროდნენ ისეთ მასწავლებელს, როგორც იყო ქალბატონი დოდო ჯორბენაძე. განუზომელია მისი ღვაწლი საქართველოს მიმართ, რადგან ამ ადამიანმა მთელი თავისი სიცოცხლე დაუთმო ახალგაზრდების განათლებას, შეაყვარა მათ ქართული ენა და ლიტერატურა, ასწავლა იმ სილამაზის დანახვა და დაფასება, რასაც ქართული საუნჯე ქვია!

შემდეგი ჩანახატი ეძღვნება ქალბატონი დოდოს მარადიულ ხსონას!

* * *



ქ უ რ ა

მატარებელი შეჩერდა და ორმა ბრგე გამცილებელმა ლანძღვა-გინებით უპატრონო ძაღლივით გადმოისროლა მაწანწალა. ციოდა, სუსხი ძვალ-რბილში ატანდა. გააქრუოლა მაწანწალას და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ მატარებელში აღარ იყო. აფუსფუსდა, აფორიაქდა. ფეხის ხმაზე მიიხედა და მისკენ მიმავალი მილიციელის დანახვაზე, გულგახეთქილი სკამქვეშ შეძვრა. ეტყობოდა ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულიყო; ჩასისხლიანებულ, სანთელივით ჩამოღვენთილ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და გაყინულ ცხვირს ქურთუკის ერთ-ერთი ნაგლეჯით ისრისავდა. პოლიციელმა ვერ შეამჩნია იგი და ამჯერად გადაურჩა გამოსაფხიზლებელში წათრევას. იქვე ქული ამოიღო თავქვეშ და მიწვა დასაძინებლად, მაგრამ თვალები ცრემლებით ავესო და ატირდა მაწანწალა.

ვინ იცის, რამდენ დარდს იტევდა მისი გული, რა გაჭირვება თუ სინარული ჰქონდა გამოვლილი. ვინ იცის, სხვებივით უნაროდა აღრე სიცოცხლე, ჰყავდა ბევრი მეგობარი, ისიც უყვარდათ, პატივს

სცემდნენ. ახლა კი... ახლა, ღმერთმა იცის, რას დამსგავსებოდა.

ვერ მოისვენა მაწანწალამ, გამოძვრა სამალავიდან და ტორტმანით გაუყვა ქუჩას ღიღინ-ღიღინით:

„დამისხი, დამალევინე,
ე ღვინო ოხერ-ტიალი,
ეგება წადმა ვიფიქრო
სოფლის უკუღმა ტრიალი!“...

მიბარბაცებდა მაწანწალა ვიღაცის ნაქონი, სიძველისგან პირდაფრენილი ფეხსაცმელით და ისე როგორც არასდროს, ლამაზი ეჩვენებოდა ქუჩა – პატარა და ვიწრო. მის გაყოლებაზე ძველი სახლები სოკოებივით ამოზრდილიყვნენ მიწიდან; ჩამწკრივებული, ციციანთელებივით მბუჭ-ტავი ლამპიონების შუქზე ეზოებში დარგულ ხეებს ხელები ზეცისაკენ აღემაართათ და ღმერთს ევედრებოდნენ მზის სითბოს.

აი, მაწანწალამ ჩაუარა სიძველისგან საღებავგადაცლილ ჭიშკარს, მოუახლოვდა ხავსმოდებულ სახლს და გული შეუხტა საგულეში, აუჩქროლდა. მიხვდა, რომ მის მშობლიურ ქუჩაზე მიბარბაცებდა და იმ სახლის წინ იდგა, რომელშიც გაეტარებინა ბავშვობის უდარდელი დღეები.

უცებ, მოგონებებში ჩაძირულმა ფეხისგულებით ფეთქვა იგრძნო, დაიჩოქა და ახლა, ყური დაადო მიწას. სადღაც სიღრმიდან ვიღაცის კვნესა შემოესმა და შეეშინდა მაწანწალას... დიდი ხანია, რაც ეს ხმა მოსვენებას არ აძლევდა, სიზმარში სულ თავისთან უხმობდა და დაბრუნებას ევედრებოდა.

„ეს ხომ ქუჩაა, ჩემი მიწა, ჩემი დედობილი“, - აღმოხდა მაწანწალას. თავი წამოწია და ქუჩაზე დაგდებული ღოღი რომ დაინახა, წვალებით გვერდზე გადააგორა, მანაც შვებით ამოისუნთქა და გულში ჩაიკრა მაწანწალა. შერცხვა, ასეთ გაუბედურებულს რომ უყურებდა დედობილი. ქუჩა მიუხვდა ფიქრებს და უთხრა: „დედისთვის ყველა შვილი ერთია: მდიდარიც, ღარიბიც, ქურდიც, მაწანწალაც.“

ყველა ჩემი სულის ნაწილია და რომელიც არ უნდა მომაშორო, ერთნაირად მომენატრება. მონანიე, დაუბრუნდი ღირსეულ ცხოვრებას. ღმერთი მოწყალეა, შეგინდობს!

ეჰ, შვილო, ძნელია ცხოვრებაში სწორი გზის არჩევა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც შენი ტოლი ვიყავი, ვოცნებობდი ჩემი სახელი უკვდავი ყოფილიყო და გადავწყვიტე გზა გაემხდარიყავი – ღმერთთან მიმავალი, რომ აღამიანი ეშმაკს ვერ ეცდუნებინა. გადიოდა დრო და მეც სულ უფრო მადლა მივიწევდი ცათა სასუფევლისკენ. და აი, სულ ცოტაც და მივალწევდი, რომ უფალმა მითხრა:

„აღამიანმა თავად უნდა გაკაფოს ჩემსკენ მომავალი გზა, ეს მხოლოდ მისი გასაკეთებელია! შენ კი, ჩემს მიერ ბოძებულ დანიშნულებას რომ არ დაემორჩილე და სახელის მოსახვეჭად იბრძოდი, სამუდამოდ მიჯაჭვული იქნები მიწაზე. აღამიანები, რომელთა დიდებასაც ესწრაფვოდი, თავიანთი ხელით გამოგიტანენ განაჩენს!”

ეს თქვა და გაქრა. მივიხედ-მოვიხედე და დავინახე, რომ მიწაზე ვიყავი

გართხმული და წამოწევა აღარ შემეძლო. მას შემდეგ, ხალხმა დამიჭირა, სახლებს შუა გამომამწყვდია და ქუჩა დამარქვა. აღამიანები ყოველდღე უღმრთოდ ფეხქვეშ მთელავენ, მანაგვიანებენ, მბილწავენ და მიფლეთენ გულ-მკერდს. ეჰ, არა უშავს, რახან, შენ დაბრუნდი, ვიცი ზრუნვას არ მომაკლებ და აღარ მიმატოვებ!

ახლა, წადი შენს ძველ სახლში, ისიც ხომ შენი დედობილია და ვინ იცის, როგორ გელოდება”...

მეორე დღეს მზის სხივებთან ერთად გამოსულიყო მაწანწალა და ქუჩას ასუფთავებდა...

* * *

ოდნავი დაკვირვებაც საკმარისია, რომ მკითხველმა მადლიერების წერილებში ის მინიშნებები აღმოაჩინოს, რომელთაც სრული სიაშუკარავით ქვემოთ მოყვანილი მოთხრობა თან ამხელს და ამავედროულად ადასტურებს კიდევც...



სამოთხის გზა

– თქვენ მჭედელი ხართ? - ზურგს უკან გაისმა ხმა და მოულოდნელობისგან ვასილი შეკრთა, თან არც ის ეპიტნავა, რომ სამჭედლოს კარის გაღება მან ვერც კი შეამჩნია.

– რა დაკაკუნება დაგეზარათ? - უხეშად მიუგო საკუთარ თავსა და მუშტარზე გაბრაზებულმა.

– დაკაკუნება? ჰმ... არ მიცდია, - იყო პასუხი. ვასილიმ აიღო მაგიდიდან დაძინებული ნაჭერი ხელების გასაწმენდად და დინჯად შემობრუნდა, რათა უკვე მომზადებული უხეში პასუხი გაეცა მოსულისათვის. მაგრამ სიტყვები ენაზევე შეაშრა, მის წინაშე მეტად უჩვეულო მუშტარის დანახვაზე.

– ხომ არ გამიღესაეთ ცელს? ქალის ხრინწიანი ხმით იკითხა სტუმარმა.

– მორჩა, არა? დამთავრდა ყველაფერი?! - აღმოხდა მჭედელს, ნაჭერი მოისროლა და ამოიხსრა.

– ჯერ დასასრული როდია, მაგრამ გაცილებით უარესია, ვიდრე წინათ, - მიიღო მან პასუხად სიკვდილისაგან.

– ლოგიკურია, - უპასუხა ვასილიმ, - ვერ შეგედავებით. მე, მე... რა უნდა გავაკეთო ახლა?..

– ცელი გამიღესე, - მოთმინებით გაიმეორა სიკვდილმა.

– მერე?

– მერე და გამიღესე, თუკი შეგიძლიან!

– ვასილიმ ცელი შეათვალიერა. მართლაც, იარაღი ალაგ-ალაგ ამოტეხილი იყო და ძალზე დაბლაგვებული.

– ეს გასაგებია, მაგრამ - თავის დაქნევით დაუდასტურა მან სიკვდილს, - მაგრამ მე რა უნდა ვქნა? ვილოცო, თუ ბარგი-ბარხანა ავკრიფო? მე ხომ პირველად... ასე ვთქვათ, ჯერ არასოდეს შეგხვედრივარ და...

– ააა! შენ ამაზე მელაპარაკები? - მხრების აჩეჩვით უპასუხა სიკვდილმა და სიცილისაგან აცახცახდა...

– არა, მე შენთვის არ მოვსულვარ. მე მხოლოდ ცელის გაღესვა მჭირდება. შეგიძლია?

– მაშ, მე არ მოგკვდები? - იკითხა ვასილიმ და სიკვდილის შეუმჩნევლად მოისინჯა სხეული: „ისევ სხეულში ვარ, თუ უკვე სული გავხდიო?!“- ბატონო, თქვენ, ჩემზე უკეთ იცით, რაც ხდება... ბუტბუტებდა შეშინებული ვასილი და ნელ-ნელა გონს მოდიოდა.

– თავს როგორ გრძნობ? - იკითხა სიკვდილმა.

– თითქოს ნორმალურად.

– გული ხომ არ გერევს? თავი ხომ არ გიბრუსს?

– ა-ა-არა - უპასუხა ვასილიმ, თან სხეულის მოსინჯვას განაგრძობდა, რადგან იცოდა, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანი სხეულს ვეღარ გრძნობს...

– მაშინ, შენ, არაფერი გქონია სადარდებელი, - უპასუხა სიკვდილმა და გასაღესი ცელი გაუწოდა მჭედელს.

– მან სწრაფად გამოართვა იარაღი განეგებული ხელებით და ყოველი მხრიდან შეათვალიერა იგი. სულ რაღაც ნახევარი საათის საქმე იყო, მაგრამ ვასილის ცივმა ოფლმა დაასხა, იმის წარმოდგენაზე, თუ ვინ იდგებოდა მის ზურგს უკან ამ დროის განმავლობაში. ხმა აუთრთოლდა, ხელებიც აუკანკალდა და გონს რომ ვერა და ვერ მოეგო, უთხრა:

– ნახევარი საათის ნაცვლად, ორ საათში გავლესავ.

თითქოს ფეხები ბამბისა ჰქონდა, ღონემიხდილი მილასლასდა გრძმელთან და აიღო ჩაქუჩი.

– თქვენ, თუ გენებოთ, დაბრძანდით სადმე... ფეხზე ხომ არ იდგებით, - ზრდილობიანად ამოიღულღულა ვასილიმ, როგორც სტუმართმოყვარე მასპინძელს შეშვენის.

თანხმობის ნიშნად, სიკვდილმა თავი დაუქნია და სკამზე ჩამოჯდა ისე, რომ ზურგით სამჭედლოს კედელს ეყრდნობოდა.

... საქმე დასასრულს უახლოვდებოდა: ვასილიმ ჯერ პირი გაუსწორა ცელს შეძლებისდაგვარად, შემდეგ სალესი აიღო ხელში და შეხედა სტუმარს:

სიკვდილი, რომელიც აქამდე მოშვეებული იჯდა სკამზე და სახელოსნოს ათვალიერებდა, საგრძნობლად დაიძაბა.

– რაო, რა ბრძანე? - ჩუმად იკითხა მან.

– მე ვთქვი, რომ... მე არა მჯერა, რომ ხელში მიჭირავს იარაღი, რომელიც... – ენა დაება ვასილის.

– იარაღი? შენ, თქვი იარაღი?

– შეიძლება, მე ისე ვერ ვთქვი, როგორც საჭიროა, უბრალოდ... - მან დამთავრებაც კი ვერ მოასწრო, რომ სიკვდილი ელვისებურად წამოიმართა და თვალის



– მაპატიეთ გულახდილობისათვის, მაგრამ ვერ დამიჯერებია, რომ ხელში ის ნივთი მიჭირავს, რომელმაც ამდენი სიცოცხლე გაისტუმრა იმ ქვეყნად! ვერცერთი იარაღი ვერ შეედრება მას მთელს მსოფლიოში, ეს ჭეშმარიტად დაუჯერებელია!

დახამხამებაში იმდენად ახლოს აღმოჩნდა მჭედლის პირისპირ, რომ თავსაბურავით მის სახეს შეეხო...

– შენ, როგორ ფიქრობ, რამდენი ადამიანი მყავს მოკლული? - გველის სისინივით გამოსცრა მან.

– მე, მე... არ ვიცი, - ძლივს ამოთქვა

გაფითრებული ბაგეებიდან თვალებ-
დახრილმა ვასილიმ.

სიკვდილმა ნიკაპში წააგლო ხელი და
ისევ სისინით გამოსცრა:

- მიპასუხე! - და თავი აუწია, -
რამდენი???

- ა-ა-რ... არ, არ ვიცი...

- რამდენი-მეთქი? - ჭექა-ქუხილივით
დასჭექა განრისხებულმა სიკვდილმა.

- საიდან მეცოდინება, მე საბრალოს?!
- წრიპინით აღმოხდა ვასილის...

სიკვდილმა ხელი გაუშვა ნიკაპს და
რამდენიმე წამით დადუმდა; შემდეგ
ძველებურად მოიკუზა, დაბრუნდა სკამთან,
მბიძედ ამოიხვნეშა და დაჯდა.

- მაშ, შენ, არ იცი, რამდენი იყო, არა? -
ჩუმად ჩაილაპარაკა მან და ისე, რომ პასუხს
არ დალოდებია, თავადვე განაგრძო, - აი,
რას იტყვოდი, თუკი გეცოდინებოდა, რომ მე
არასოდეს არავინ მომიკლავს?! გესმის, რას
გეუბნები? არასოდეს არავინ მომიკლავს,
რას იტყვი ამაზე?

- მაგრამ... აბა, მაშ, როგორღა... - გონს
ვეღარ მოდიოდა თავზარდაცემული ვასილი
ასეთი წარმოუდგენელი სიმართლის
მოსმენაზე.

- მე არასოდეს არავინ მომიკლავს.
რაში მჭირდება ეს, როცა ადამიანთა
მოღვმას მისიად დაგისახავთ ძმათა კვლა
წმინდა წერათა შეუთავსებლობის გამო,
თითქოს ღმერთი სხვადასხვაა, რახან
განსხვავებული სარწმუნოებები მოგეცათ.
და, თქვენ, ეს დაიჯერეთ, ბრიყვნო?!...
თქვენ, თვითონ ხოცავთ ერთმანეთს... არა,
უფრო სწორად, გახოცინებენ ერთმანეთს
თქვენს ზურგს ამოფარებული არამზადები,
რომელთაც მხოლოდ ანგარება და
მსოფლიო ბატონობა ამოძრავებთ; თქვენ,
შეგიძლიათ ქაღალდების გულისათვის
ხოცოთ ერთმანეთი, მაგრამ ის სანატრელი
ქაღალდები თქვენს წამქეზებელთა ჯი-
ბებში მიდის; თქვენ, ხოცავთ ერთმანეთს
ბოღმისა და სიძულვილისათვის, არა და,
თქვენს წმინდა წერებში, მე სიყვარულს

გასწავლით; თქვენ, უმიზეზოდ, სიამოვნები-
სათვისაც ხოცავთ ერთმანეთს და როცა
ესეც აღარ გყოფნით, ომებს იწყებთ,
რათა მსხვერპლთა რიცხვი მილიონებამდე
გაზარდოთ. თქვენ ამით ამაყობთ, მაგრამ
განა მე არ ჩაგიწერეთ უზენაესი ცნება
ყოველ წმინდა წერაში, - „არა კაც-ჰკლა!“
დღეს, თქვენ, სხვათა სისხლზე ხართ
დამოკიდებული... და იცი, რა არის ყველაზე
დიდი სისაზიზღრე ყოველივე ამაში?
თქვენ საკუთარ თავსაც კი ვერ უმხელთ
თქვენს სიბრიყვეს, უმეცრებას, ანგარებას,
ბოროტებასა და სიძულვილს. განა ამას
გასწავლით წმინდა წერებში?! წაიკითხეთ
ნებისმიერი, განა მე სიყვარულის ღმერთი
არა ვარ?! განა სიყვარულს არ ვლადადებ
ყოველ სტრიქონსა და მოძღვრებაში?!...
თქვენ კი არ აღიარებთ ჭეშმარიტებას
და ყოველივეში ჩემი დადანაშაულება
გსურთ, მაგრამ ვერასოდეს შესძლებთ,
რამეთუ მე - სიყვარულისა და სიცოცხლის
ფასის ერთადერთი განმსაზღვრელი და
კანონმდებელი ვარ! - სიკვდილი წამით
დადუმდა და შემდეგ განაგრძო:

- შენ, არ იცი, როგორი ვიყავი წინათ
- ულამაზესი ქალიშვილი, ვხვდებოდი
ადამიანთა სულებს თაიგულებით და
მივაცილებდი მათ საუკუნო სასუფეველში
- სამოთხეში! ჩემი ღიმილით ვავიწყებდი
ყოველივე უსიამოვნოს და ვანუგეშებდი
მათ უმცირეს ცოდვათა გამო.

ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო. მას
შემდეგ აირია ხალხი, მათ სიყალბე
მოახვიეს თავს და... ამ ზღვარგადასულ
და დაცემულ კაცობრიობას ორი წარღვნა
დასჭირდა გონს მოსასვლელად. აი,
ამიტომაც ვარ ამ დღეში. შეხედე, თქვენი
სიბრიყვის გამო, რა დამემართა!

ეს უკანასკნელი სიტყვები სიკვდილმა
სკამიდან სწრაფი წამოდგომით წარმოსთქვა,
აღშფოთებულმა თავსაბურავი ერთბაშად
მოიცილა და გაოგნებული ვასილის
წინაშე წარსდგა ნაოჭებით დაღარული,
ცრემლებით დაღეული თვალების მქონე.

უჩვეულოდ დაბერებული დედაბერი, აქა-იქ შემორჩენილი და აბურღული თმითა და უკბილო, ტუჩებჩაგარდნილი პირისახით; მაგრამ ყველაზე საშინელი მაინც თვალები იყო: სრულიად ფერდაკარგული, არაფრისმთქმელი თვალები, თითქოს საუკუნეების სიღრმიდან უცქერდნენ ვასილის.

– შეხედე რად ვიქეცი! და იცი რატომ? - სიკვდილმა ერთი ნაბიჯი გადადგა მისკენ და მჭედელმა უნებლიედ უკან დაიხია...

– არ ვიცი! - სასოწარკვეთილებით აღმოხდა ვასილის.

– რა თქმა უნდა, რომ არ იცი, - ჩაიცინა სიკვდილმა, - თქვენს გამო ვარ მე ასეთი! ვხედავდი ძმა როგორ კლავდა ძმას, დედა როგორ კლავდა შვილს, მე ვუყურებდი იმას, თუ ერთ დღეში ადამიანი როგორ კლავდა ათს, ასს, ათასს... და მე მოვთქვამდი ამის შემყურე, მგელივით ვყმულოდი, რამეთუ არ მესმოდა, რატომ სჩადიან ამას ადამიანები, მე ვგოდებდი ტკივილისაგან და შიშისგან... შიშისგან თქვენი მომავლის გამო, - და მას თვალები აენტო:

– მე შევცვალე ჩემი ულამაზესი კაბა სამგლოვიარო შავი სამოსელით, რათა იმ ადამიანების სისხლი დაეფარო, რომლებსაც მივაცილებ. მე ყვაგილებს როდისღა ვჩუქნი მათ სამოთხის კართან. თქვენ, მე ურჩხულად მაქციეთ და ყოველივეში ბრალიც მევე დამდეთ! სხვისი დადანაშაულება ხომ ასე იოლია თქვენთვის...

სიკვდილი თვალებში ჩააშტერდა მჭედელს და დაასრულა:

– მე გაცილებთ თქვენს ბოლო გზაზე და ვცდილობ დაგანახოთ, რომ ყოველი თქვენთაგანი თვითმკვლეელია, საკუთარი უმეცრებისა და სიბრყველის მსხვერპლი, თვითმკვლელს კი, თავადაც მოგესხენება, ჯოჯოხეთი არ ასცდება!

– თვითმკვლეელი?! - კიდევ უფრო შეშინდა ვასილი...

– დიახ, თვითმკვლეელი! განა სოლომონის წმინდა წერაში არ გიწერიათ, რომ:

„ღმერთმა შექმნა ადამიანი უღრწნელად“... თქვენ კი დაივიწყეთ ადამის მოდგმის ღვთიური წარმომავლობა და უკვდავებას სწირავთ ერთმანეთის სიძულვილს...

გაბრაზებულმა სიკვდილმა გამოსტაცა მჭედელს ცელი ხელიდან, - მომეცი ეგ ცელი, შე ბრყვეო შენა... - და განრისხებული გასასვლელისკენ წავიდა.

– ერთი შეკითხვა, თუ შეიძლება, - უკვე შიშისაგან გათავისუფლებულმა ვასილიმ რიხიანად მიაძახა სიკვდილს, - ბოლოს და ბოლოს, რომ გავერკვე, მითხარით თქვენი ვინაობა, თუ სიცოცხლეს ემსახურებით, მაშ, ცელი რაღა შუაშია?!

– შენ, გინდა იცოდე რისთვის მაქვს ცელი? - კარში გაჩერებული სიკვდილი ოდნავ მობრუნდა.

– ხო, რისთვის გინდათ? - თამამად ჩაეკითხა ვასილი, რახან სიკვდილი მისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდა.

– სამოთხისკენ მიმავალი გზა... იგი დიდი ხანია ბალახებმა გადაფარა... გავცვლია იქნებ გონს მოგოთ, რომ სიკვდილი არ არსებობს და გათიბული გზის დანახვაზე, ჯოჯოხეთში აღარ წახვალთ...

ევგენი ჩეშირკო

* * *

ამ მოთხრობის ლაიტმოტივად ყველა დროის უდიდესი ფილოსოფიური და ჰუმანისტური გამონათქვამის ციტირებაა შესაძლებელი:

**„ჩვენ არა გვაქვს უფლება ვისარგებლოთ ბედნიერებით, თუკი არ ვაწარმოებთ მას.“
ბერნარდ შოუ**

დიახ! ჩვენი საზოგადოების წევრები უკვე იოლად კითხულობენ წმინდა წერებს და ესმით მისი ძალა და ჭეშმარიტება!

სიკვდილის არარსებობის ნათელი მაგალითია დავითის 102-ე ფსალმუნი, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილს შემოგთავაზებთ:

1. ადიდე, სულო ჩემო უფალი და მთელი შიგნეულობა ჩემო - მისი წმიდა სახელი

2. ადიდე, სულო ჩემო, უფალი და ნუ დაივიწყებ მის ქველმოქმედებას.

3. ის არის შემნდობი ყველა შენი ბრალი-სა, მკურნალი ყველა შენი სნეულებისა.

4. საფლავიდან დამსხნელი შენი სიცოცხლისა, შენი გვირგვინდამდგმელი წყალობით და შებრალებით.

5. სიკეთით ამესები შენი გულისთქმისა, არწივის მსგავსად განმაახლებელი შენი სიჭაბუკისა.

ჩვენს მიერ მორჩენილი ადამიანებისთვის ეს ფსალმუნები უკვდავების სადიდებელ ჰიმნად გაისმის! მისი ძალით, ჩვენთან შეძენილი ცოდნითა და საკუთარი გამარჯვებით ფრთაშესხმულებს, სწამთ ღმერთიცა და უკვდავებაც!!!

...ჩვენ ვაწარმოებთ ბედნიერებას!

* * *

მადლობის წერილი

ადამიანი იმისათვის იბადება, რომ ბედნიერი იყოს. ის ბავშვობიდან ესწრაფვის ამ მიზანს; თავიდან ქვეცნობიერად და შემდეგ უკვე ზრდასრულ ასაკში მიზანმიმართულად.

ყველას აქვს უფლება თქვას: „მინდა ვიყო ბედნიერი“, მაგრამ რატომღაც ეს წარმოსახვითი ბედნიერება სადღაც ქრება და ცხოვრების ბოლოს რჩება მხოლოდ ბედნიერების წამიერი გაელვებები, რომელთაც გონება ქვეცნობიერად ებღაუჭება, მაგრამ ისინიც მირაჟით ქრებიან.

რატომ ხდება ასე? რატომ ხდება, რომ ის, რაც ჩვენთვისაა განკუთვნილი დაბადებისთანავე, მიუწვდომელი და მიუღწეველია უმრავლესობისთვის?

რიტორიკული კითხვაა?!

თანამედროვე ცივილიზაცია რატომ ცდილობს აგვაცდინოს და რაც შეიძლება შორს წაგვიყვანოს იმ კითხვებისაგან, რომლებსაც ადამიანი თავის თავს უსვამს?

მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია მოგახსენოთ, რომ მე ბედნიერი ადამიანი ვარ; და ბედნიერი არა მხოლოდ ღრთის პატარა მონაკვეთებში, არამედ მუდმივად, დღიდან დღემდე და სამარადისოდ.

საკმაოდ გასაკვირი განცხადებაა ადამიანისგან, რომელიც ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ წელში წყდებოდა მთელი რიგი ავადმყოფობების ტვირთის გამო და ამ ტვირთის წონა დღითიდღე იზრდებოდა, იმის მიუხედავად, რომ მკურნალობა მიდიოდა ჩვენი საუკეთესო ექიმების ზედამხედველობით.

ჯერ კიდევ აკადემიკოსი ამოსოვი ამბობდა: „ექიმს შეუძლია განკურნოს განსაზღვრული ავადმყოფობა, ხოლო ჯანმრთელობა თქვენ თვითონ უნდა მოიპოვოთ“-ო.

ამის მიღწევა დღეს როგორ შეიძლება, როცა თანამედროვე მედიცინა ებრძვის

ავადმყოფობას, მაგრამ ამ ბრძოლაში თვითონ ავადმყოფი ყურადღების გარეშე რჩება. ერთმა შეხვედრამ მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება. ჭეშმარიტი იოგი, მასწავლებელი, მკურნალი ბატონი თამაზ თავაძე, რომელიც ეხმარება უთვალავ ადამიანს - დაიბრუნონ ჯანმრთელობა და

მართვა, ხელი შეუწყო გამოჯანმრთელებას და შემდეგ აკონტროლო ორგანიზმი, დასჭირდა დიდი დრო. თავიდან ეს იყო მასწავლებლისადმი ნდობა, ხოლო შემდეგ ამ პროცესების უფრო სიღრმისეული გააზრება და განცდა. ავადმყოფობები ერთი მეორის მიყოლებით იხვედნენ უკან,



რაც მთავარია, მათ გზაზე აყენებს და მასვე მიყვავართ ჩვენი არსებობის მთავარი არსისაკენ - საკუთარ თავთან შესახვედრად. ამისათვის რა არის საჭირო? ყველაფერი ძალიან მარტივია: საჭიროა სურვილი და უსაზღვრო ნდობა ამ დიდი ადამიანისადმი უზარმაზარი გულით, რომელმაც თვითონ განიცადა ავადმყოფობების და მძიმე ცხოვრების ტვირთი. ახლა სხვებს ეხმარება გადალახონ თითქოსდა გამოუვალი მდგომარეობის გაუსაძლისობა. იმ შესაძლებლობების გაცნობიერებას, რომ შეგიძლია ისწავლო შენი მდგომარეობის

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, წინ იხსნებოდა უსასრულო და უსაზღვრო გზა სულიერი სრულყოფილებისაკენ.

როგორი სიტყვებით შემიძლია გამოვთქვა მადლიერება ჩემი მასწავლებლის მიმართ?! ასეთი სიტყვები არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არ არის ცნობილი.

მე შემიძლია მხოლოდ ქედი მოვიხარო გულში უდიდესი სიყვარულითა და ერთგულებით ამ არაჩვეულებრივი ადამიანის წინაშე.

ნატალია ქურხული

* * *

შესაძლოა, მკითხველი უკვე იცნობდეს გაბრიელ გარსია მარკესის „ბოლო სიტყვად“ ცნობილ გამოსათხოვარ წერილს, რომელსაც მწერლის ერთგვარ ანდერძადაც მოიაზრებენ; მაგრამ ბევრმა თუ იცის, რომ რეალური ავტორი მექსიკელი ჯონი ველში აღმოჩნდა.

გაბრიელ გარსია მარკესს საჯარო განცხადება არ გაუკეთებია,, თუმცა იმავე კვირაში, როცა წერილის ავტორის ვინაობის შესახებ განმარტებითი სტატია დაიბეჭდა, გამოქვეყნდა ნამდვილად მისი დაწერილი ესეე სახელწოდებით “Shipwreck on Dry Land”.

ჩვენთვის, როგორც ყოველთვის, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ნაწარმოების ავტორის ვინაობა, არამედ მისი შინაარსი და ის მუხტი, რომლითაც დაიწერა იგი.

* * *

ბოლო სიტყვა

თუ ღმერთი ერთი წამით მაინც დაივიწყებდა, რომ მე ვარ ნაჭრის ნაკუწებისგან შეკერილი ჭინჭების თოჯინა და მაჩუქებდა სიცოცხლის ერთ პაწაწინა ნაგლეჯს, ალბათ არ ვიტყვოდი იმას, რასაც ვფიქრობ, მაგრამ უეჭველად ვიფიქრებდი იმას, რასაც ვამბობ, დავაფასებდი ყველაფერს არა ღირებულების, არამედ იმის მიხედვით თუ რა მნიშვნელობა გააჩნია მას. ვიძინებდი ცოტას, ვიოცნებებდი მეტს. მესმის, რომ თითოეულ წუთს, როდესაც თვალებს ვხუჭავთ, ვკარგავთ სინათლის სამოც წამს. ვივლიდი მაშინ, როცა ყველა გაჩერებული იქნებოდა, გავიდვიძებდი მაშინ, როდესაც ყველას ეძინებოდა. მოეუსმინდი, როდესაც სხვები ისაუბრებდნენ და რა გულიანად შეგვეტყვოდნენ შოკოლადის ნაყინს.

თუ ღმერთი მაჩუქებდა სიცოცხლის ნაკუწს, ჩავიცვამდი შილიფად, გულაღმა დავწვებოდი მზეზე და გავაშიშვლებდი არა მარტო ჩემს სხეულს, არამედ ჩემს სულსაც. ღმერთო, თუ გული მექნებოდა, მთელს ჩემს სიძულვილს სიტყვებით გადავიტანდი ყინულზე და დაველოდებოდი მზის ამოსვლას. ვან გოგის ოცნებით ვარსკვლავებს დავხატავდი, ბენდეტის ლექსს და სერატის სიმღერას სერენადად მივუძღვნიდი მთვარეს. ჩემი ცრემლებით მოვრწყავდი ვარდებს, რათა მეგრძნო მათი ეკლების ტკივილი და ვარდის ფურცლების სისხლიანი კოცნა.

ღმერთო ჩემო, მე რომ სულ მოკლე სიცოცხლე მქონოდა არ გავიყვანდი არცერთ დღეს ისე, რომ ხალხისთვის არ მეტყვა, რომ მე ისინი მიყვარს. დავარწმუნებდი ყოველ კაცსა თუ ქალს, რომ თითოეული მათგანი ჩემთვის განსაკუთრებულია და ვიცხოვრებდი სიყვარულზე შეყვარებული. ადამიანებს დავუმტკიცებდი, თუ რაოდენ სცდებიან, ფიქრობენ რა, რომ შეყვარება აღარ ძალუძთ, როდესაც ბერდებიან. მათ არ იციან, რომ სწორედ მაშინ ბერდებიან, როდესაც კარგავენ სიყვარულის უნარს. პატარა ბავშვს ვაჩუქებდი ფრთებს, მაგრამ მას მხოლოდ ფრენის სწავლის უფლებას მივცემდი. მოხუცებს დავანახებდი, რომ სიკვდილი სიბერესთან ერთად კი არა, დავიწყებასთან ერთად მოდის.

რამდენი რამ ვისწავლე თქვენგან, ხალხო, და მე დავინახე ის, რომ ყველას უნდა მთის მწვერვალზე ცხოვრება, და ის კი არ იციან, რომ ჭეშმარიტი ბედნიერება სწორედ იმაშია, თუ როგორ აღიხარ ციცაბო ფერდობზე. ვისწავლე ისიც, რომ როდესაც ახალშობილი თავისი პაწაწინა თითებით სულ პირველად ეჭიდება მამის ხელს, ეს სამუდამოა და აღარასოდეს გაუშვებს მას. ვისწავლე, რომ ადამიანს აქვს უფლება უყუროს მეორეს ზემოდან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას წამოდგომაში ეხმარება. რამდენი რამის სწავლა შევძელი

თქვენგან, მაგრამ სინამდვილეში ბევრი ალარ გამომადგება, რადგანაც როდესაც მე ამ კიდობანში მომათავსებენ, სამწუხაროდ, უკვე მომაკვდავი ვიქნები.

ყოველთვის თქვი, ის რასაც გრძნობ და აკეთე ის, რასაც ფიქრობ. რომ ვიცოდე, რომ დღეს უკანასკნელად გხედავ მძინარეს, მაგრამ ჩაგიკრავდი გულში და შევევედრებოდი უფაღს, რომ შენი სულის დამცველად მოვევლინე. რომ ვიცოდე, რომ უკანასკნელად გხედავ, როგორ გადინარ სახლიდან, მოგეხვედრი, გაკოცებდი და მოგაბრუნებდი, რომ კიდევ ერთხელ მეკოცნა. რომ ვიცოდე, რომ უკანასკნელად მესმის შენი ხმა, ფირზე ჩავიწერდი თითოეულ შენს სიტყვას, რათა დაუსრულებლად შემეძლოს მისი მოსმენა. რომ ვიცოდე, რომ ეს ჩვენი უკანასკნელი წუთებია გეტყვოდი “მიყვარხარ”, თითქოს არ ვიყო დარწმუნებული, რომ შენ ეს უკვე იცი.

ყოველ გათენებასთან ერთად ცხოვრება ახალ-ახალ საშუალებებს გვაძლევს, რომ ლამაზად ვაკეთოთ ჩვენი საქმე, მაგრამ თუ მე ახლა ვცდები და დღეს ამის მეტი არაფერი დაგვრჩენია, მინდა გითხრა თუ რა ძლიერ მიყვარხარ, და რომ არასოდეს დაგივიწყებ. ხვალინდელი დღე არავის აქვს გარანტირებული, ახალგაზრდასა თუ მოხუცს. შეიძლება დღეს უკანასკნელად ხედავ მათ, ვინც გიყვარს. ამიტომ, ნუღარ დაელოდები მეტს, იცხოვრე დღევანდელი დღით, რამეთუ არ იცი, ხვალინდელი დღე იქნება თუ არა და მერე ნამდვილად დაგწყდება გული, რომ ვერ გამოინახე დრო ღიმილისათვის, მოფერებისათვის, კოცნისათვის და რომ დაკავებულობის გამო, ვერ შეუსრულე შენს საყვარელ ადამიანს უკანასკნელი სურვილი. გვერდიდან არ მოიშორე ისინი, ვინც გიყვარს, ჩუმიად ჩასწურჩულე, თუ რაოდენ გჭირდებიან ისინი, გიყვარდეს და ფაქიზად მოეპყარი მათ, დროს ნუ დაიშურებ, რომ უთხრა „გწუხვარ“, „მაპატიე“, „გეთაყვა“,

„გმადლობ“ და ყველა ის სასიყვარულო სიტყვა, რაც იცი. შენ არავინ გაგიხსენებს შენი ფარული ფიქრების გამო. შესთხოვე უფაღს, რომ მოგცეს ძალა და სიბრძნე მათ გამოსახატად. უჩვენე შენს მეგობრებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული მათგანი შენთვის. გაუზზავნე ეს სიტყვები ყველას, ვისაც გსურს. თუ დღეს ამას არ გააკეთებ, ხვალინდელი დღე ისეთივე იქნება, როგორც იყო გუშინდელი და თუ ამას არასოდეს გააკეთებ, არც მაგით დაშავდება რამე. დაიწყე შენი ოცნებების ახდენა, ახლა სწორედ ეს მომენტი!

ჯონი ველში

* * *

მკითხველი აქაც იოლად მიხვდება, თუ რატომ ვათავსებთ „ოქროს საწმისში“ განკურნებული ადამიანის წერილს შესაბამისი მასალის წინ. შეუძლებელია, არ დაინახოთ ნატალი ქურხულისა და გაბრიელ გარსია მარკესის წერილთა შორის სულიერი კავშირი და ემოციური მუხტი, რითაც აძლიერებენ მკითხველზე ზეგავლენას. იგივე აღფრთოვანებას განიცდიდა ნატალი ქურხული, როდესაც წერილს წერდა, მხოლოდ იოგის აღფრთოვანება განსხვავებულია, იგი ადამიანში სამარადჟამოდ ადაგზნებს კეთილშობლებასა და სასიცოცხლო ენერჯიებს მუდმივი ევოლუციისათვის. რაოდენ დასანანი, რომ მარკესი მხოლოდ სიკვდილის წინ მიუახლოვდა უკვდავების საიდუმლოს, თუმცა მკითხველს ანდერძად დაუტოვა ზეადამიანობისა და სიყვარულის აპოთეოსი!

ზოგი იფიქრებს, რომ აქ წაკითხული წერილები მხოლოდ ეპიზოდია ჩვენი თერაპიული პრაქტიკიდან და ავტორები ბედნიერმა შემთხვევითობამ გადაარჩინა; გონიერი მკითხველი კი მიხვდება, რომ შეუძლებელია ყველა წერილის გამოქვეყნება,

რაც ოცდაათოთხმეტი წლის შემოქმედების შედეგად დაგვიგროვდა. გულდასმით გაეცანით წერილებს და დაინახავთ, რომ თამაზ თავაძის სამკურნალო მეთოდში მხოლოდ ორი განუკურნებელი სნეულებაა (და ისიც პირობითად) - **სიჯიუტე და სიბრყვე!** დანარჩენი?! დანარჩენი ყველა განკურნებადია, რასაც მოწმობს წმინდა წერა: „ადიდე, სულს ჩემო, უფალი და მთელს შიგნეულობავ ჩემო – მისი წმიდა სახელი“... ბიბლია, ფსალმუნნი, დავითის ფსალმუნნი - 102, ლექსი - 1;

„რადგან ღმერთმა ადამიანი უხრწნელად შექმნა და თავისი მარადიულობის ხატად დაბადა იგი,

მაგრამ ეშმაკის მოშურნეობით სამყაროში სიკვდილი შემოვიდა და მისი წილხვდომილნი განიცდიან მას“. - ბიბლია, სიბრძნე სოლომონისა, თავი - 2, ლექსი - 23, 24.

* * *

მომდევნო წერილის ავტორი მეცნიერი - ასტრონომი, ფილოსოფოს-ასტროლოგი და ახალგაზრდა პროფესორია.

როცა ბატონი გიორგი ჩემთან მოვიდა, მე დავინახე უფსკრულის პირას მდგომი ადამიანი, რომელსაც ერთ-ორ კვირაში საბედისწერო დიაგნოზს დაუსვამდნენ და ოჯახს დააკლდებოდა მამა, ხოლო სტუდენტებსა და ქვეყანას - შეუცვლელი მასწავლებელი და პროფესიონალი.

მაშინ არაფერი მითქვამს, რადგან ჩემს წინაშე ფრიად განათლებული, შორსმჭვრეტელი ასტრონომიისა და ღრმად ჩახედული ასტროლოგია-ფილოსოფიის თვალსაზრისით, დიდი შინაგანი ძაღისა და გამბედაობის მამაკაცი იდგა. მივენდე მის ინტუიციას და შევთავაზე ჩემი მეთოდით განკურნება. ბატონი გიორგი იმდენად სწრაფად ამყვა და ისეთი ძლიერი ნებისყოფა გამოიჩინა, რომ ტკივილების გამწვავების მიუხედავად (რაც გაჯანსაღების ეტაპია), მივლინებით ავსტრიაშიც კი გაემგზავრა.

– წადი, მხოლოდ ვარჯიშები განაგრძე და ნურაფრის შეგეშინდება!

ასეთი იყო ჩემი რჩევა მის კითხვაზე. მან წარმატებით მოიარა მივლინება და შინ საკუთარ თავზე გამარჯვების რწმენითა და ნებისყოფაში კიდევ უფრო გაძლიერებული დაბრუნდა. ...ბატონი გიორგი აგრძელებს თავის სრულყოფას და ღრმად სწამს მარადიულობისა და უკვდავების არსებობა /ბატონი თამაზ თავაძის მოგონებებიდან/



მადლობის წერილი

საოცრებაა, ახლა რომ წერილს გწერთ... (წერილი რომ არ მაქვს წაღებული იმ ქვეყნად)

ძნელია გულგრილად აღწერო ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა წელიწადნახევრის წინ, როცა მივედი სავარჯიშოდ და სამკურნალოდ აგნი იოგას სკოლაში „ოქროს საწმისი“ ბატონ თამაზ თავაძესთან. აზრი არა აქვს იმ ორგანოების ჩამოთვლას, თუ რა მქონდა დაზიანებული - გაცილებით

მარტივია გითხრათ, თუ რა არ მაწუხებდა: ჯანმრთელი ორგანო პრაქტიკულად არ მქონდა!

ბავშვობაში სუსტი ჯანმრთელობის გამო თვე არ გავიღოდა, ავად რომ არ ვყოფილვითყავი. რამდენიმეჯერ გადატანილ ფილტვების ანთებასა და ბრონქიტს „წარმატებით“ დაემატა გულის რევმატიული დაავადება (2 + და გულის შუილები, ვიკეთებდი „ბიცილინის“ ნემსებს) და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული გართულებული სისხლისდენით. ამ ავადმყოფობების მკურნალობა-მიყურება მოხერხდა ექიმების დახმარებით ათიოდე წლით.

2005 წლის შემდეგ ყველა მიჩუმათე ბუღმა თუ ჩაბუღებულმა ავადმყოფობამ თანდათანობით თავი იჩინა. განსაკუთრებით დამანგრეველი აღმოჩნდა წინა და ახალი მთავრობების მიერ ხელშეწყობილი სამედიცინო დაზღვევის სისტემები, რომელთა გამოყენებისას უფრო დრო და ნერვები დაგვარგე, ვიდრე ვიმკურნალე. ამ „შესანიშნავი ხელშეწყობებისა“ და 2014 წლის შემოდგომიდან „რეცეპტების“ გარეშე წამლების გაყიდვის აკრძალვამ (მართლაც გულწრფელი მადლობა ამ მთავრობას - ეს კარგი გამოუვიდათ ჩემთვის!) მაიძულა მეძებნა გამოსავალი ბუნებრივი საშუალებებით - იოგათი და ჰომეოპათიით.

2014 წლის ოქტომბრიდან დაავადარ იოგას სკოლაში „ოქროს საწმისი“. უშუალოდ გამოვცადე ჩემს თავზე ბატონ თამაზ თავაძისა და მისი ინსტრუქტორების (განსაკუთრებული მადლობა ბატონ თამაზ თავაძეს და იოგას ინსტრუქტორს ლელა ბექაურს) პროფესიონალიზმის და მრავალწლიანი წარმატებული გამოცდილების შედეგები! ჩემი გამოჯანმრთელება მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად და უფრო სწრაფადაც. მთლიანად გამომისწორდა ქვედა კიდურებთან დაკავშირებული

პრობლემები: მუდმივად ცივი ტერფები, დაკარგული შეგრძნება ფეხის თითების, გამიქრა კოჭების და მუხლების მუდმივი ტკივილი და ადვილად ავდივარ კიბეზე, რაც საოცრად განსხვავდება უწინდელი მუხლების კანკალისა და ხშირი, მოულოდნელი ჩაკეცვებისაგან!

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა: თითქმის აღარ მაქვს ჩხვლეტები გულის თუ ბეჭის არეში, ჰაერის უკმარისობა, დაბუჯების შეგრძნება თავის არეში. ასევე შეუდარებლად უკეთესი მდგომარეობაა სასუნთქი გზების მიმართულებითაც. პრაქტიკულად გამოსწორდა ნაღვლის ბუშტის მდგომარეობაც, აღარ ვიცი სად მაქვს!

მოწესრიგდა კუჭის მოქმედება, დიდი ხანია აღარ შევუწუხებოვარ სწორ ნაწლავსაც.

დაიწყო შარდ-სასქესო ორგანოების მოწესრიგების პროცესიც. შეწყდა სისხლდენები კენჭების გამოდენისა თუ სხვა უფრო რთული პროცესების გამო (მეტად ვეღარ ჩავუღრმავდები – უხერხულია!), გამოჩნდა სრული გამოჯანმრთელების პერსპექტივა ანუ ის, რაც არასდროს მქონია!

ყველას ვუსურვებდი აგნი იოგას გამოჯანმრთელების გზას. ჩემსავით დაინახავთ, როგორ თანდათანობით შემცირდება თქვენს მიერ მოხმარებული ქიმიური წამლების რაოდენობა (იმის მეხუთედიც კი არ მჭირდება, რასაც ვიყენებდი 1,5 წლის წინ), ასევე – პერსპექტივას, როგორ იცხოვროთ სულიერი და ხორციელი ჯანმრთელი ცხოვრების წესით!

გიორგი რამიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის კონსულტანტი

„არ დანებდე უბედურებას, არამედ გაბედულად
შეუტეე მას!“

“TU NE CEDE MALIS, SED CONTRA AUDENTIOR ITO!”

ვფიქრობთ, დროული იქნება იმ ალეგორიებზე ვისაუბროთ, რომელთა საკრალური შინაარსი ჩადებულია სამყაროს არსებობის საფუძვლებში და ჩვენ მხოლოდ მათი, ასე ვთქვათ, „გადმოქართულებადა“ გვევალება.

ინდური მითოსის თანახმად, ხმელეთი და მისი ბინადრები სამ სპილოს უჭირავს, რომელნიც, თავის მხრივ, კუზე დგანან. ეს არის სამყაროს აგებულების ალეგორიული სურათ-ხატი. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ და იკითხოთ: რატომ გამოარჩია

ხომ არ მიგვანიშნებენ, რომ კუს გამჩენმა ერთი განსაკუთრებული თვისება უბოძა, რომელიც დედამიწაზე გასავლელი ევოლუციის ერთადერთი საშუალებაა და მას ინტროსპექცია ანუ საკუთარ თავში ჩაღრმავება ეწოდება. კუ ყოველი ხიფათისა თუ განსაცდელის შემთხვევაში საკუთარ თავში პოულობს ხსნას. ადამიანი თავდაცვის დროს უფრო აქტიურია და ხშირ შემთხვევაში აგრესიულიც. და მაინც, მას კუსთან ერთი მსგავსება აქვს - ინტროსპექციის უნარი, მხოლოდ კუს



დმერთმა კუ დანარჩენებისგან და მას მიანდო სამი სპილოცა და კაცობრიობის განვითარებაც?! მითოსის ენაზე, იმას

იგი თვითგადარჩენის ინსტინქტის სახით მიეცა, ხოლო ადამიანს – ქვეცნობიერად. დროა, კაცობრიობამ გააცოცხლოს

ეს ნიჭი ღმერთთან დასაბრუნებლად, რაც მისი ერთადერთი დანიშნულებაა. სამწუხაროდ, თანამედროვე ადამიანი ვერ აცნობიერებს მის ღვთაებრივ საწყისს, რადგან გართულია ყოფითი პრობლემებით. ყოველდღიურობას არაკეთილსინდისიერი ხელისუფლების თუ სხვა ლეგალური თუ არალეგალური მმართველი აპარატების მიერ შექმნილი გამომძაღველი სისტემები კიდევ უფრო მეტად ამძიმებენ. ადამიანი ბოლომდე ვერ ხვდება, რომ მსხვერპლად იქცა და მას ვერც წმინდა წერა შველის, რადგან ნებისმიერი რელიგიის წმინდა წერათა სიბრძნე დაშიფრულია და მისი აღქმა და შეცნობა მხოლოდ განდობილთ შეუძლიათ. ძნელია მათი პოვნა, რადგან სასულიერო პირთა უმრავლესობა ცოდნით სპეკულირებს, რომლის შესახებ თავადაც არაფერი გაეგება და გამოდის, რომ „ცათა სასუფეველში ვერც თვითონ შედიან და არც სხვას უშვებენ“

მართალია, ინტროსპექცია უმოკლესი გზაა ადამიანის სულიერი განვითარებისთვის, მაგრამ არა ერთადერთი. დედამიწის ურჩ ბინადართათვის ღმერთმა ისეთი მასწავლებელი დააწესა და გასაღებიც მისცა ხელში, რომ ვისაც გინდა ჭკუას ასწავლის! ეს მასწავლებელი ცხოვრებაა, ხოლო გასაღები – ტანჯვა და სიკვდილი. სწორედ, სიკვდილ-სიცოცხლესთან ჭიდილში იღვსებოდა და იხვეწებოდა ადამიანის გონება, რომლის ყველაზე დიდი მონაპოვარი **ინტელექტია** დღესდღეობით. მისი დამსახურებაა დღევანდელი სამყაროს აურაცხელი სიკეთე – ადამიანმა სიცოცხლე გაიხანგრძლივა იმ დაზოგილი დროის ხარჯზე, რის საშუალებასაც განვითარებული ტექნიკა იძლევა. თავად განსაჯეთ: რასაც გასული საუკუნეების ადამიანი ერთ სიცოცხლეში ასწრებდა, თანამედროვე ადამიანი – ორ-სამ საათში აკეთებს. მაგალითად, იერუსალიმში მოსალოცად წასული პილიგრიმები გზას რამდენიმე წელიწადში

გადიოდნენ, დღეს კი რამდენიმე საათში ჩაფრინდებით დანიშნულების ადგილზე. თვალსაჩინოებისთვის, ნათქვამი უხეშად დავიანგარიშოთ: იერუსალიმში ჩასასვლელად და უკან დასაბრუნებლად პილიგრიმს სჭირდებოდა საშუალოდ 3 წელი, რაც დღეს 6 საათიანი მიმოფრენით დაიფარება – (365დღეX24საათზეX3წელზე=26280 საათს). მაშასადამე, ინტელექტით მოპოვებულმა ტექნიკამ პილიგრიმთა დრო 26280 საათით დაზოგა. იგივე შეიძლება ითქვას, თუ ერთმანეთს ბიბლიოთეკასა და კომპიუტერს შევადარებთ. ყველა მაგალითის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ინტელექტის ნაყოფმა სიცოცხლე უზომოდ გაგვიმდიდრა, მაგრამ მანვე აურაცხელი პრობლემა შეგვიქმნა - ბირთვული თუ ქიმიური იარაღი და მრავალი სხვა რამ, რასაც პოლიტიკურ-რელიგიურ სისტემათა სამკვდრო-სასიცოცხლო ანტაგონიზმი აგვირგვინებს.

წმინდა წერაში ინტელექტის ზეობის პრობლემა ასახულია კაენისა და აბელის ეპიზოდში, როდესაც ინტელექტი განწყობილია ძალადობისკენ. მკვლელის აქტით იგი ასამარებს სულიერების იმ ნაწილს, რომელსაც თავად ვერ მოიცავს. ამ ფაქტით არის გამოწვეული დღევანდელი პრობლემების უმრავლესობა, თუ ყველა - არა.

დღეს ინტელექტი ანუ კაენი, იძულებულია მიმართოს მისგანვე მოკლულ ძმას - აბელს ანუ **სულიერებას** და სულიერება თავის მხრივ, პირწმინდად სპობს ინტელექტით შექმნილ ყველა პრობლემას და უკვე უსაფრთხო ინტელექტის ზრდას განაპირობებს.

მართალია, არის კიდევ ის აუცილებელი მესამე მდგენელი ინტელექტთან და სულიერებასთან ერთად, რაც ასე საჭიროა სამების სრული შემოქმედებისათვის, რომელიც ყველა დროსა და წმინდა წერის სინთეზია და მას **აგნი იოგა** ეწოდება.

ასე ლამაზად მოარგო ინდურმა მითოსმა კუს თვისება თავის საკრალურ შინაარსს - შეიცან თავი შენი! თუ როგორ, ამას უკვე გვასწავლის კუ - საკუთარ არსებაში ჩადრმავეებით!!!

ახლა განვიხილოთ სპილოების სიმბოლიზმი. სამი სპილო - როგორც ღმერთის გამომხატველი სამების - მამის, ძის და სულიწმინდის ალგორითული სურათ-ხატი! ინდოეთში სპილო სიცოცხლისა და კეთილდღეობის წყაროს წარმოადგენდა ოდიტგანვე, როგორც მატერიალურ, ასევე სულიერ განზომილებაში.

სპილო ის ცხოველია, რომელიც ღმერთმა ყველაზე დიდი ფიზიკური ძალითა და ამტანობით დააჯილდოვა, რომელსაც იგი მხოლოდ თავდასაცავად იყენებს. გარდა ამისა, მას საოცარი ინტუიცია გააჩნია. ისტორიულ წყაროებსა თუ ლიტერატურულ ნაწარმოებებში მრავალი შემთხვევაა გადმოცემული. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ ერთერთ მათგანს:

„ერთ ინდოელს სპილო ტყეში ყავდა წაყვანილი სამუშაოდ. ცხოველი მშვიდად ასრულებდა თავის საქმეს, როდესაც უეცრად ხორთუმი ასწია, მრისხანედ დასჭექა საბრძოლო კიჟინა და გაექანა სახლისაკენ. გაოგნებული პატრონი წინ გადაუდგა; სპილომ სწრაფად, მაგრამ უვნებლად გასწია გვერდზე და მთელი სისწრაფით განაგრძო გზა. პატრონი უკან დაედევნა ყვირილით. მას ეგონა, რომ ცხოველი შეიშალა...

სპილო სოფელში შევარდა, ღობე გადათელა და სახლში აღმოჩნდა...

როცა პატრონი დაეწია, დაინახა თავისი პატარა ვაჟი, რომელიც ხორთუმიტ ეჭირა სპილოს და იქვე ეგდო თავგაჭექყილი კობრაც! პატრონი ტირილით ჩაეხუტა სპილოს და მოუბოდიშა ღანძღვისათვის, რასაც გაბრაზებული უკან მისძახოდა „შეშლილ“ ცხოველს.

მესამე სპილო იმ უპირობო მორჩილების სიმბოლო უნდა იყოს, რომელსაც ეს

უძლეველი ცხოველი განიცდის ადამიანის მიმართ.

ასე რომ, სამი სპილოც მამა, ძე და სულიწმინდის ერთარსობის სიმბოლოა და მასში ასე ლამაზად არის შერწყმული ერთმანეთის გამომრიცხავი თვისებები. დედამიწაზე ადამიანმა უნდა მოახდინოს კუსა და სპილოების თვისებათა სინთეზი საკუთარ თავში: მიჰყვეს ინტუიციას სრული მორჩილებით და მისი ძალა მოახმაროს გასულიერებული ინტელექტის განვითარებას ინტროსპექციის გზით.

...და ეს ყველაფერი უხსოვარი დროიდან იმ კონკრეტული პრაქტიკის საიდუმლოს წარმოადგენდა, რომელიც დღეს დიად ისწავლება „ოქროს საწმისში“ აგნი იოგას მოძღვრების საფუძველზე!

* * *

მადლობის წერილი

არ მეგონა, რომ ასეთი ძნელი დასაწერია წერილი საქმისთვის, რაც შენი ცხოვრების ძირითადი მიზანი ხდება. დაუფერებელია, უკვე ამ გადმოსახედიდან, როგორი იყავი, რა გტკიოდა, გაწუხებდა... ამდენი წლის შემდეგ. უკან არ უნდა მიიხედო, ეს ისეა ჩამჯდარი, ძნელია დაინახო, გაიხსენო: რა იყო, რა იყავი, რა გტკიოდა, რა გაწუხებდა... ერთია, ყოველთვის მქონდა განცდა, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე დავიბადე... და დღესაც შემიძლია თამამად ვთქვა, რაც ყველაზე სასიხარულო და საამაყო: სიყვარულში, დიანხ, სიყვარულში მოვევლინე ამ ქვეყანას. სულ მქონდა განცდა, რომ მე მეტი უნდა მყვარებოდა (ქვეცნობიერად რატომღაც განწირული სიყვარულით, რაც შეიძლება წიგნების ბრალი იყო) და თურმე ტკივილი, განსაცდელი, ავადმყოფობა, დაყვედრება მელოდა სიყვარულის გამოსაცდელად... მადლობა უფალს ყველაფრისთვის: ყოველი ტკივილისთვის თუ წყალობისთვის, სიკეთისთვის თუ

განსაცდელისთვის; უღრმესი მადლობა ყოველი ავადმყოფობისთვის და განსაკუთრებით იმ დღისთვის, როდესაც გავიცანი ბატონი თამაზ თავაძე. ეს დღე რაღაც სხვანაირად მახსოვს ფერით, სუნით, შეგრძნებით. ეს დღე განსაკუთრებული იყო ჩემს ცხოვრებაში. ჩვენი ურთიერთობის დაწყებიდან ერთ-ერთი პირველი ფრაზა: შენ გექცევებიან ისე, რის უფლებასაც თავად აძლევ!!! ეს შოკისმომგვრელი იყო, გემრიელი გალაწუნება... და დაიწყო ცხოვრების რევიზია: რა ქენი, სად შეცდი, სად ჩაგითრია საზოგადოებრივმა სტერეოტიპმა, მოგახვია სხვისი აზრები, გახდი შიშის მსხვერპლი, შეგეჩვია ეგოიზმი, იჩინა თავი უვიცობამ, სიბრყვემ, შურმა და რაც მთავარია უსიყვარულობამ... სად იმალება პატარა, ეს ასე პატარა „მე“, რითაც დაჭერილი ხარ, საიდანაც იწყება შენი უმადურობა, ავადმყოფობა, განკითხვა და დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე... ძნელი დღეები იყო ჩემს ცხოვრებაში, იმაზე მძიმე და ძნელი, რაც ავადმყოფობები დაავარდნე. ძნელი და მაინც ძალიან საინტერესო - იმედის სხივით მოფენილი პატარა, ოდნავ მბჟუტავი სიყვარულის მარცვლებით, რომლებიც დღითი დღე ღვივდებოდნენ, იზრდებოდნენ, ძლიერდებოდნენ და დღემდე უსასრულობისკენ მიისწრაფვიან; და რაც მთავარია, ბატონი თამაზის დიდი მოთმინებით და სიყვარულით.

არ მინდა დაგვალთ, მე ერთ-ერთი იმ ავადმყოფი სხეულის მატარებელი აღამიანი ვიყავი, რომლის სულსაც შეველა სურდა და იმ ნიადაგში მოხვდა, რაზეც ქრისტე საუბრობდა თავის მოწაფეებთან - მარცვალნი, რომელიც ნიადაგში ვარდება, სადაც მზაობაა ნაყოფის გასაზრდელად...

არა, ილუზიები არ მაწუხებს, არც განდიდების მანია და არც პირფერობის ნიღაბი მაქვს აფარებული... ძალიან ძნელად სავალი ხიდია, რაზეც ბატონ თამაზს გაყავხარ, მაგრამ დალოცვილი, მადლიანი და სიყვარულით სავსე!

ძნელია საკუთარ თავთან პირისპირ დარჩენა და ბრძოლა. უფრო მარტივია ასიათასი მიზეზი იპოვნო, სხვას გადააბრალო, სხვასთან ხომ გამოცდილი მხედარმთავარი და სტრატეგი ხარ... მხოლოდ საკუთარ თავთან ხარ შეშინებული, მხდალი მეომარი... მაგრამ რა სასიამოვნოა, როცა მას მოერევი და სამყაროს სხვა თვალთ შეხედავ. დიახ, ერთხელ ქვეცნობიერად წარმოთქმული ფრაზა: მირჩევნია, მე მიყვარდეს ძალიან, ძალიან, ვიდრე სხვას ვუყვარდე-თქო... და დაიწყო ჩემი გამოცდა ყოველდღიურ ურთიერთობაში, ავადმყოფობაში, დალატში,



ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე... შევცდი, ვერ გავერკვიე რა იყო მნიშვნელოვანი... გამიმართლა აქ, ამ სკოლაში მოხვედრით ამეხილა თვალები, გული სწავლობს სიყვარულსა და ღოცვას...

უღრმესი მადლობა ჩემი თავის პოვნისთვის, საკუთარ თავთან მარტო დარჩენისთვის და გაკვეთილისთვის... რა არის მნიშვნელოვანი ცხოვრებაში? მხოლოდ ცხოვრება სიყვარულისთვის, სიყვარულისთვის და სიყვარულისთვის!!! უღრმესი მადლობა და მადლიერება!!! არ ვიცი, შეიძლება თუ არა, მაგრამ მაინც ვწერ, რაც ერთხელ გითხარით:

თანახმა ვარ ჯოჯოხეთშიც წამოვიდე
თქვენთან ერთად თუ საჭიროა... უკან ამ
სიტყვებს არ ვიბრუნებ... თანახმა ვარ
გულწრფელად მივიღო ყველა განსაცდელი,
სიყვარული და წარმატება! და კიდევ
ერთხელ, მიიღეთ უდიდესი სიყვარული
მადლიერება და პატივისცემა ჩემგან!
მუდამ თქვენთან ერთად,

ლელა სირაძე

* * *

დედა ტერეზას გამონათქვამები

† „ადამიანები ხშირად ჯიუტები
და ბრიყვები არიან, ალოგიკურები და
ეგოცენტრულები. ნებისმიერ შემთხვევაში
აპატიე მათ.“

† შენ, თუ კეთილი ხარ, ადამიანები
ეგოიზმში დაგდებენ ბრალს და ფარულ
ზრახვებსაც დაგწამებენ.

მიუხედავად ამისა, შენ მაინც დარჩი
კეთილი.

† შენ, თუ წარმატებული ხარ,
შეიძლება უამრავი მოჩვენებითი მეგობრები
და ნამდვილი მტრები გაგიჩინდნენ.

ნებისმიერ შემთხვევაში, დარჩი
წარმატებული.

† შენ, თუ პატიოსანი და გულწრფელი
ხარ, ადამიანებმა შეიძლება მოგატყუონ.

და მაინც, შენ, უნდა დარჩე პატიოსანი
და გულწრფელი.

† შენ, რასაც წლობით აშენებდი,
შეიძლება ერთ წამში დაიმსხვრეს.

შენ, მაინც აშენე.

† შენ, თუ ბედნიერება და სიმშვიდე
შეიძინე, ადამიანებს შეიძლება შეშურდეთ.
ნებისმიერ შემთხვევაში, დარჩი ბედნიერი.

† ის კარგი, რასაც, შენ, დღეს თესავ,
აღბათ ხვალვე იქნება ადამიანებისაგან
დავიწყებული.

ნებისმიერ შემთხვევაში, თესე სიკეთე.

† გაიღე ამასოფლისათვის ყოველივე
საუკეთესო, რაც გაგაჩნია და გაღებული
მაინც არასაკმარისი იქნება.

და შენ, მაინც გაიღე ყოველივე
საუკეთესო, რაც კი გაგაჩნია.

† ბოლოს და ბოლოს, შენ მიხვდები,
რომ ეს ყველაფერი შენსა და ღმერთს
შორის ხდება.

და არასოდეს ეს ურთიერთობები არ
ყოფილა შენსა და სხვა ვინმეს შორის!!!

* * *

მადლობის წერილი

2005 წლიდან დამიდგინეს ხოჯკინის
ლიმფომის დიაგნოზი. 2015 წლამდე
მუდმივად ვიტარებდი მკურნალობას,
კერძოდ, ქიმიო და რადიოთერაპიას,
ასევე გაკეთებული მაქვს ძვლის ტვინის
ტრანსპლანტაცია. მკურნალობისას მი-
ღებული რემისიები სამწუხაროდ იყო
ხანმოკლე და დაავადება ბრუნდებოდა.
ამ წლების განმავლობაში ყოველთვის
მჯეროდა, რომ ადამიანს თვითონ შეუძლია
თავისი თავის განკურნება, მაგრამ ამის
ცოდნა არ გამაჩნდა, სანამ არ შევიტყვე
აგნი იოგას სკოლის „ოქროს საწმისის“ და
მისი დამფუძნებლის ბ-ნ თამაზ თავაძის
შესახებ.

აი, უკვე ერთი წელია, რაც აგნი-იოგას
მეთოდით ვვარჯიშობ, ბ-ნ თამაზ თავაძის
მეთვალყურეობითა და ქ-ნ ლელა ბექაურის
დახმარებით. მიუხედავად ჩემი დაავადების
მიმდინარეობისა, ექიმები ამჟამადაც
მირჩევენ ქიმიოთერაპიის ჩატარებას, მაგრამ

მე ვაგრძელებ ვარჯიშებს, ვინაიდან ბ-ნ თ. თავაძის დახმარებით და ვარჯიშების წყალობით ვიძენ ცოდნას და უნარებს, რომ დავეძლიო ავადმყოფობა და სრულიად დავიბრუნო ჯანმრთელობა.

კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა ბ-ნ თამაზ თავაძეს, რომელიც გადასცემს თავის ცოდნას და გამოცდილებას ხალხს! პატივისცემით,

გიგა სანამაშვილი
01. 08. 2016წ.

* * *

სიმონ ათონელის ბრძნული პასუხები

† ვინ არის საუკეთესო მასწავლებელი?
- ტანჯვა.

† ვინ არის ცუდი მასწავლებელი?
- განცხრომა.

† რისი უნარია ყველაზე იშვიათი?
- გაღების.

† რისი უნარია ყველაზე უკეთესი?
- პატიების.

† რა არის ყველაზე ბრძნული?
- დუმილი.

† რისი უნარია ყველაზე მნიშვნელოვანი?
- შეკითხვის.

† რისი უნარია ყველაზე საჭირო?
- მოსმენის.

† რომელია ყველაზე საშიში ბრძოლა?
- ფანატიკური.

† რომელი თვისებაა ყველაზე საზიანო?
- ლაყბობა.

† რომელი ადამიანია ყველაზე ძლიერი?
- ვინც ჭეშმარიტება შეიცნო.

† რომელი ადამიანია ყველაზე უღონო?
- ვისაც თავი ყველაზე ძლიერი ჰგონია.

† რომელი ადამიანია ყველაზე გონიერი?
- ვინც გულისთქმას მიჰყვება.

† რომელი ჩვევაა ყველაზე საშიში?
- საკუთარი სხეულით ტკობა.

† რომელი ადამიანია ყველაზე ღარიბი?
- ვისაც ყველაზე მეტად უყვარს ფული.

† რომელი ადამიანია ღმერთთან ყველაზე ახლოს? - გულკეთილი.

† რომელი ადამიანია ყველაზე სუსტი? - სხვებზე გამარჯვებული.

† რომელი ადამიანია ყველაზე ძლიერი? - საკუთარი თავის დამმარცხებელი.

† რა დაუუპირისპიროთ უბედურებას? - სიხარული.

† რით უნდა ვძლიოთ ტანჯვას? - ცოდნით და მოთმინებით.

† ჯანმრთელ სულს რა გამოარჩევს? - ცოდნა.

† რა არის ავადმყოფი სულის მიმანიშნებელი? - უიმედობა.

† რა მახასიათებელი აქვს არასწორ ქმედებას? - გაღიზიანება.

† რა მახასიათებელი აქვს კეთილ ქმედებას? - სიმშვიდე.

* * *

შენ განისაზღვრები შენი მოთმინებით, როდესაც არაფერი არ გაგაჩნია და შენივე საქციელით, როდესაც შენ ყველაფერი გაქვს.

* * *



მადლობის წერილი

ორიოდე წლის წინ გავეცანი იოგის ფენომენს. თავდაპირველად ჰათჰა იოგით დაგკავდი და ვინაიდან ახალი ნამშობიარები ვიყავი საკეისრო კვეთით, მაწუხებდა ზედმეტი წონა და მშობიარობის შემდგომი დეპრესია. ფეხი ვერ ავუწყვე სწრაფ რიტმს, შემდეგ გავიცანი სანდომიანი ქალბატონი დალი ფარადაშილი, რომლის მეშვეობით შევაბიჯე სხვა სამყაროში აგნი იოგაში. პრაქტიკულ სავარჯიშოებთან ერთად დიდი ინტერესი მქონდა მიმელო მეტი ინფორმაცია, ჩავწვდომოდი მის თეორიულ ასპექტებს. ასე გავხდი საზოგადოება „ოქროს საწმისის“ წევრი.

ნაღვლის ბუშტის ოპერაციის (ლაპარასკოპიული კვეთა) შემდეგ მაწუხებდა ტკივილები – სპაზმების სახით. მედიტაციების შედეგად ჩემი მდგომარეობა გაუმჯობესდა, სულ უფრო და უფრო ნაკლებად მახსენებს თავს ტკივილი, რომელთან ერთადაც ხელიხელ ჩაკიდებული წლებია, რაც მოვაბიჯებდი; თანდათან უმტკივნეულოდ ვემშვიდობები ტკივილს, ვძლევ დეპრესიას. ყველაფერ ამაში კი მეხმარება საოცარი ადამიანი, უკვდავების მოძღვრების ავტორი ბატონი თამაზ თავაძე, რომლის სევდიანი ღიმილი მაიმედებს, მაფიქრებს და მაფხიზლებს.

მე ვარ საზოგადოებაში, რომლის დევიზია:

ბრძოლა! მხოლოდ საკუთარ თავთან!!!

პატივისცემით,
ნინო ფინჩაძე

* * *

„მე ვთხოვე ხეს: მომიყევი რაიმე ღმერთზე... და ხე აყვავდა“...

რანინდრანათ თავორი

მე ვთხოვე ნაკადულს: „მომიყევი რაიმე ღმერთზე“...

და ნაკადული არაკრაკდა, ამღერდა და მისი ჰანგები არაკებად გადმოიდგარა...

მე ვკითხე მდელოს: „შენც მომიყევი რაიმე ღმერთზე“...

და მდელო მწვანედ აბიბინდა და ჭრელი ყვავილებით გადაიპენტა...

მე ვკითხე ღრუბლებს:

„შენ რას მომიყევი ღმერთზე?“...

ღრუბელი გაიშალა, თეთრ ქათქათა ქულად გადაიქცა... და გადმოაყარა არემარეს ულამაზესი თეთრი ფიფქები რომლებსაც ყველგან მოჰქონდათ ღმერთის სახელი...

მე შევხედე ცას და ვთხოვე:

„შენც თქვი რაიმე ღმერთზე“...

ცა გაცისკროვნდა, გასაოცარი ლურჯი ფერის გახდა და მასში გამოანათეს ვარსკვლავებმა სხვადასხვა ფერებში...

მე შევხედე მზეს... მზე უფრო მეტად აგიზგიზდა, აელვარდა. თავისი მწველი სხივები პირდაპირ გულში გამომიგზავნა, თვითონაც ამ სხივებს ჩამოჰყვა და მეც თან გამიყოლია...

... და იქ დავინახე აყვავებული ხეც, ამღერებული ნაკადულიც, ჭრელად გადაპენტილი მდელოც, ქათქათა ღრუბელიც და ვარსკვლავებით მოჭედილი ცის კამარაც...

ბელა ლექაური

* * *

მადლობის წერილი

2011 წლის ივნისში ჩემს მეუღლეს სრულიად მოულოდნელად დაუდგინდა პანკრეასის სიმსივნის დიაგნოზი ღვიძელში წასული მეტასტაზებით.

ახლობლის რჩევით მივედი ბატონ თამაზთან, შევიძინე წიგნი “აგნი იოგა ექიმებისათვის”, მაგრამ ჩემმა მეუღლემ უარი მითხრა ვარჯიშების გაკეთებაზე. ჩემთვის ეს ყველაფერი იყო უდიდესი სტრესი, რის ნიადაგზეც (ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ) დამეწყო სისხლდენა. ერთი თვის შემდეგ დამიდგინდა დიაგნოზი: საშვილოსნოს ყელის ავთვისებიანი სიმსივნე.

ამ დროს ხელთ ჩამივარდა “ოქროს საწმისის” ვარჯიშის ჩანაწერი სახელწოდებით „ცეცხლოვანი სუნთქვა“ და დავიწყე კეთება ყოველგვარი შედეგის მოლოდინის გარეშე, ისე, სხვათა შორის...

ორი თვის შემდეგ, 2011 წლის 6 ოქტომბერს, ჩამიტარდა ოპერაცია. ოპერაციის დროს ქირურგი გამოვიდა საოპერაციოდან და ჩემს ქმარ-შვილს განუცხადა, რომ გაკვეთის შემდეგ მათ ვიზუალურად ვერ დაინახეს წარმონაქმნი და ამიტომ გადაწყვიტეს, რომ ფართო მასშტაბის ამოკვეთა აღარ ჩაეტარებინათ. მე ამ ფაქტმა ძალიან გამაოცა და სულ ვფიქრობდი, რომ თუკი გასინჯვის დროს დაინახეს ეს ქსოვილი, რომელიც არ მოეწონათ და მაშინვე მომახსენეს ამის შესახებ, გაკვეთის შემდეგ რა მოხდა? რატომ ვერ იპოვეს? მაგრამ პასუხი ვერ მივიღე...

ამის შემდეგ გავიდა 3 წელზე მეტი და მე ფსიქოლოგიური პრობლემებით დავიწყე ვარჯიშებზე სიარული საერთო ჯგუფში. მქონდა უძილობა, შიშები, შფოთი, დაძაბულობა გულ-მკერდის არეში, ბეჭებსა და თავში. ჩემს თავში ხდებოდა “ჭექა-ქუხილი,” სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, დაუსრულებელი პულსაციით. ეს იყო

აუტანელი მდგომარეობა. ვერ მიშველა ვერც ეკლესიამ, ვერც ნევროპათოლოგმა, ვერც ფსიქიატრმა, ვერც დიანეტიკაზე სიარულმა და ვერც ექსტრასენსმა. ასე განსაჯეთ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღრიცხვაზეც კი ვიყავი. მენატრებოდა სულიერი და ფიზიკური სიმშვიდე.

იოგაზე მივედი იმ გადაწყვეტილებით, რომ თუ ესეც არ მიშველიდა, დამეკრეფა გულზე ხელი. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა, თანდათან გამოვედი მდგომარეობიდან და შევიგრძენი ის სიმშვიდე, რომელზეც ვოცნებობდი.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამიუმჯობესდა მხედველობა და კუჭ-ნაწლავის მდგომარეობა. სიარულითაც უკეთესად დავდივარ (გაკეთებული მაქვს ორივე მენჯბარძაყის ენდოპროტეზირება).

ოპერაციის შემდგომ დროდადრო გავდიოდი სამედიცინო კონტროლს და როგორც წესი, ყოველთვის მქონდა სხვადასხვა სახის ცვლილებები. ვარჯიშის დაწყებიდან 4 თვის შემდეგ ჩავიტარე მორიგი კონტროლი და ჰოი, საოცრება! არანაირი ცვლილებები! და მხოლოდ მაშინ, 4 წლის შემდეგ მივხვდი, თუ რატომ ვერ დაინახეს ვიზუალურად ოპერაციის დროს წარმონაქმნი. ეს იყო “ცეცხლოვანი სუნთქვის” შედეგი. მას შემდეგ უფრო მეტი ენთუზიაზმით გავაგრძელე ვარჯიშები.

2016 წელის 26 იანვარს, უშუალოდ გაკვეთილზე, დამეწყო შარდის ბუშტის მწვავე შეტევა, ანუ ორგანიზმმა „ამოყარა“ სიღრმისეული პრობლემები. ინსტრუქტორის დახმარებით გამოვედი მდგომარეობიდან და სახლში წავედი ყოველგვარი ტკივილის გარეშე. მეორე დღეს დავესწარი ინგლისურის გაკვეთილს და სახლში დაბრუნებისთანავე დამეწყო შარდის ბუშტის საშინელი ტკივილი და მას შემდეგ სრული 5 თვე სახლიდან არ გამოვსულვარ, აივანზეც კი ვერ გავდიოდი. მე მაქვს გადატანილი 5 მოტეხილობა და 3 ოპერაცია, მაგრამ მსგავსი რამ მე არ

განმიცდია. ეს იყო სრული ჯოჯოხეთი – ძლიერ გახშირებული შარდვა ძლიერი ტკივილებით. მოგახსენებთ, რომ შარდის ბუშტის პრობლემა მაქვს თითქმის 20 წელი, მაგრამ სხივური თერაპიის შემდეგ უფრო გამიმძაფრდა. ინსტრუქტორის რეკომენდაციით ჩემს მკურნალობას შეადგენდა ქაფქაფა წყლით სავსე პლასტიკატის ბოთლი, რომელსაც არ ვიშორებდი 24 საათის განმავლობაში. დამეწყო უსაშინლესი ოფლიანობა, ვიწურებოდი ოფლში, დღეში უთვალავჯერ ვიცვლიდი ტანსაცმელს, ღამეში – სამჯერ მაინც. დროდადრო მეყინებოდა სხეული წველამდე და ისეთ შეგრძნება მქონდა, რომ ვცივდებოდი და ვკვდებოდი. ერთხელ, მახსოვს, ღამის 1-ლი საათიდან დილის 5სთ-მდე გაუთავებლად ვიმშრალედი ოფლიან სხეულს და არ შრებოდა. ვიმშრალედი, ისევ ოფლიანდებოდა, ვიმშრალედი, ისევ ოფლიანდებოდა... ოფლიანობამ და ხშირმა შარდვამ ძალიან დამასუსტა, ფეხზე ვეღარ ვიდექი, ძლივს დავლასლასებდი, არაქათი არ მქონდა. ჩემს მდგომარეობას ამძიმებდა ის ფაქტორიც, რომ მარტო ვიყავი. მთელი 5 თვის მანძილზე შარდის ბუშტი ვერ თბებოდა, ვერც შიგნიდან და ვერც გარედან. ისე დამდალა ამ მდგომარეობამ, რომ სიცოცხლე აღარ მინდოდა. როგორ არ მიწევდნენ რეკომენდაციას ახლობლები, რომ დამეღია ან გამეკეთებინა რაიმე გამაყუჩებელი, მაგრამ არ გავიკეთე არანაირი წამალი, რადგან არაერთგზის მქონდა ნაცადი მრავალი წამალი მრავალი წლის მანძილზე და სულ ფუჭად. სამაგიეროდ, მე მჯეროდა, მწამდა, რომ ვარჯიშებით გამოვიდოდი მდგომარეობიდან. იოგას ინსტრუქტორთან მქონდა სატელეფონო კავშირი: მამხნევებდა, მაძლევდა კონკრეტულ რჩევებს და ძალიან მეხმარებოდა... მქონდა სასოწარკვეთილების მომენტებიც, მაგრამ ვარჯიშებს მაინც ვაგრძელებდი და დღე და ღამე ვვარჯიშობდი. უძლურების მომენტებში გულში ვმღეროდი. მაინც არ

დავნებდი ჩემს რთულ მდგომარეობას და გამარჯვებამდე ვიბრძოლე.

ივლისში ისევ განვაახლე ვარჯიშებზე სიარული. თავდაპირველად ცხრა პლელი მჭირდებოდა – ზოგი ქვემოდან, ზოგი ზემოდან მეფარა... ახლა უკეთესად ვარ.

მადლობა ბატონ თამაზს, მადლობა იოგას...

რუსუდან ჩიტიშვილი

* * *

სადღეგრძელო

„მიადწიო ისეთ წარმატებას, რომ საუკუნეებს გადაწვდეს შენი კვალი ერისა და კაცობრიობის აღმშენებლობის სამსახურში – აი, ესაა მშვიდობისა და კაცთმოყვარეობის უზენაესი მიზანი!“

აგნი იოგას აფორიზმი

ქართულ ენაში მრავალმა სიტყვამ დაკარგა თავისი პირვანდელი შინაარსი, რადგან დავიწყებას მიეცა მათი წარმომშობი ისტორია და ტრადიციები. არადა, ლექსიკაშია ჩადებული ერის სულიერი ძალა, არსი და თვითმყოფადობა! სიტყვათა მარაგის სახით ვკარგავთ სულიერ ღერძს და სანაცვლოდ გვრჩება სიცარიელე!

ქვეყანა თავისი, კულტურით, ადათ-წესებითა და ისტორიით ისეთივე ცოცხალი ორგანიზმია, როგორც ყოველი ჩვენთაგანი, შეუძლებელია დასწეულდეს ერთ-ერთი ასპექტი და ეს არ აისახოს დანარჩენებზე.

თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, თუ რა შინაგანი ძალის, კულტურისა და ზნე-ჩვეულების მატარებლები იყვნენ წინა და შუა საუკუნეების ქართველები:

სერგეი ესენინი ცისფერყანწველებს საქართველოში მოუწვევიათ და მოგვიანებით ტაბახმელაში წაუყვანიათ საქეიფოდ. იქვე მინდორში გლეხები მუშაობდნენ. პოეტმა

მეგობრებს მათი სუფრასთან მიპატიჟება შესთავაზა.

ადათ-წესის თანახმად, გლეხებმა სასმისი გამოართვეს და დაილოცნენ. დიან, დაილოცნენ, რადგან ქართველი კაცისთვის ღვინო წმინდათაწმინდა სასმისი იყო, ხოლო ერთმანეთის დღეგრძელობა, იგივე - დალოცვა!

პირველმა ასეთი სადღეგრძელო წარმოსთქვა:

- გვერდზე მიდექ თამარ მეფის ნატერფალი არ წაშალო!

იმათი დიდება იყოს, ვისაც აქ გაუფლია, კვალი დაუტოვებია, ხატი და სანთელი უდიდება!

მეორე გლეხმაც არ დააყოვნა:

- ღმერთმა დალოცოს, ვინც ჩვენს შემდეგ სუფრას გაშლის, ჩვენ გაგვიხსენებს, მშვიერსა და მწყურვალს პურსა და ღვინოს მიაწოდებს!

ჯერი მესამე გლეხზე დადგა:

- საითაც წავიდეთ, დაუღალავი მზის მადლი არ მოგვეშალოს!

და სასმისი თანამოძმეს გადააწოდა:

- გაუმარჯოს ხარის ქედს, გუთნის ღვედს, ცის ნამს, დედამიწის პირის გახსნას და მშობიარე დედაკაცს!

ამ სადღეგრძელოების მოსმენისას ესენინი ატირებულა, ფეხზე წამომდგარა და უთქვამს: „**მე, რუსეთის დიდ პოეტს ამ გლეხებთან თავი ბაღლი მგონია!**“...

* * *

„მე ომის შემდეგ, რუსეთში ვცხოვრობდი და როდესაც 1949 წელს საქართველოში ჩამოვედი, 10 წლის ბიჭუნა გამაოცა ქართველთა ვაჟკაცობისა და რაინდობის სულისკვეთებამ...“

ასე იზღებოდა ყოველი ქართველი საქართველოში?”

/ბატონი თამაზ თავაძის მოგონებებიდან/

* * *

ნონ მახხანაის წერილი მთავარ ნონს ქართველ მეომართა შესახებ

„ისინი იმდენად ძლიერნი არიან, რომ მათ არ ეკარებათ სუსტი თვისებები. ისინი იმდენად ძლიერნი არიან და ისე საოცრად ფლობენ საკუთარ თავს, რომ უარყოფით აზრებს ან უარყოფით განწყობას არ იკარებენ მტკიცე და ურყევი დადებითი ხასიათის გამო და ასე იცავენ საკუთარ სხეულს, რადგან არ აკარებენ მას უარყოფით განწყობას, რამეთუ კარგად იციან, რომ ყოველივე უარყოფითი მომაკვდინებლად მოქმედებს სხეულის სიძლიერეზე. მათ სიძლიერეს ვერ ეკარება სუსტი თვისებები - სისასტიკე, მრისხნება, შეუბრალებლობა, რადგან მუდმივად კარგად მყოფნი არიან, მუდმივ კმაყოფილებას განიცდიან - აი, ესაა მათი გასაოცარი თვისებები. ადამიანური სისუსტეებისაგან შორს უჭირავთ თავი და აი, ამიტომ მტრებსაც კი უყვართ ქართველები და არ უჩნდებათ მათი განადგურების სურვილი.“

სისასტიკითა და მრისხანებით ცნობილი მტრები გრძნობენ მათ ძლიერებას. მათი ძალა აგებულა იმაზე, რომ მათ თავიანთ თავში დაიმორჩილეს შური, მრისხანება და სისუსტისაგან შობილი სისასტიკე.

უშიშარნი და მოსიყვარულენი, სისასტიკისა და მრისხანების დამმარცხებელნი, იმდენად ძლიერნი არიან, რომ განწყობა-ხასიათი არ უფუჭდებათ, ამიტომაც კაცთა კვლის სურვილი არასოდეს არ უჩნდებათ. ქართველები ყველაფერს სიყვარულითა და ცოდნით აკეთებენ. მრისხანებით ცნობილი მეომრები მათთან საქმის დაძაბვას თავს არიდებენ, რადგან კარგად იციან მათი ძლიერების შესახებ. ქართველები თვლიან, რომ კაცთა კვლა, მრისხანება და სისასტიკე - სისუსტეა კაცისა და ეს იმ დროს, როცა ყოველი აქ მოყვანილი ავი თვისება, სხვათა ერთა სივრცეში, პირიქით - სიძლიერის ნიშნადაა მიჩნეული, რადგან ითვლება, რომ ადამიანთა დამორჩილება ზუსტად

ამ თვისებების ძალით ხდება. მხოლოდ ქართველები თვლიან, რომ ყოველი ამ თვისების გამოვლინება სისუსტეა რაინდისა და ამიტომაც, ამარცხებენ მათ საკუთარ თავში. ქართველთა ნდობა შეიძლება და აუცილებელია კიდევ; და რაც მთავარია - მათ კაცის გატყვევის სურვილი არასოდეს უჩნდებათ.”

ისტორიული წყაროს მოწოდებისთვის მაღლობას ვუხდით ბატონ გიორგი შერგილაშვილს!

* * *

მომდევნო ეპიზოდის მონღოლების ბატონობის ხანას უკავშირდება...

დამპყრობლები ამოდ ცდილობდნენ ავღანეთის აუღლებელი ციხე-სიმაგის „არწივის ბუდის“ გატყვევას. ბოლოს ქართველთა ლაშქარით ალყა შემოარტყეს და იერიში დილისთვის დაგეგმეს, მაგრამ ბრძოლის დილას მონღოლთა ნოინი ყელგამოჭრილი იპოვნეს. კანონის თანახმად, ქართველთა ათასეული უნდა გაენადგურებინათ დალატისათვის, მაგრამ ზოგი მონღოლი ვერ იჯერებდა მათ დალატს და გადაწყვეტილების მიღება გაუჭიანურდათ. ქართველი მეომრები წარბშეუხრელად ელოდნენ თავიანთ განაჩენს, არცერთს არ უფიქრია თავის მართლება, რადგან **თავს მხოლოდ დამნაშავეები იმართლებენ!** ამ დროს მოხდა სასწაული რამ: ბუჩქნარიდან ასასინი გამოქანდა შეშლილი თვალებით. მას ნოინის მოჭრილი თავი ჯერ კიდევ ხელთ ეპყრა; მკვლელობა შურისძიების მიზნით ჩაუდენია და ბუჩქნარში მიმალულა, რომ მოგვიანებით შეუმჩნეველად გაპარულიყო, მაგრამ მთვლემარეს ქალღმერთი გამოცხადებია და უთქვამს - თუ მართლა რაინდი ხარ, წადი და ჩაბარდი. რა ვაუკაცობაა, შენს სიმხდალეს ათასი უდანაშაულო კაცი შეეწიროსო... ასასინის მიერ ქალღმერთის აღწერილობაში, ქართველმა თავადებმა, წმინდა მარიამი იცნეს...

აწმყო, შობილი წარსულისაგან, მშობელია მომავლისა!

ყოველგვარი უმნიშვნელო ნაკლოვანება ისე სწრაფად ზრდის ადამიანში ფესვებს, რომ იგი თვალის დახამხამებასაც ვერ ასწრებს, და დიდია საზღაური უმოქმედო დუმილისა, რომელიც ხელს უწყობს ყოველივეს ბოროტებით, რომელსაც გაუცხოება ეწოდება.

დადგა ჟამი განახლებული ცნობიერებისა, რომელიც ზრდის ადამიანის პასუხისმგებლობის ხარისხს და ანიჭებს მას ახალ ვალდებულებას, რომელიც თავის მხრივ ღვთიური უფლებების საფუძველია.

ვალდებულება გულისხმობს, ადამიანის მიერ ყველა უარყოფითი მოვლენის გაცნობიერებას, რომლებსაც იგი შემდგომში აღმოფხვრის, თუკი სიკეთის ქმნის საშუალებას აღარასოდეს გაუშვებს ხელიდან.

ღვთიური უფლება კი, თავის მხრივ, გვაჯილდოვებს უნაკლო ჯანმრთელობით, სრულყოფილებითა და უკვდავებით. განა ღვთის შვილი სხვაგვარად როგორ წარმოვიდგინოთ?!

გზა, რომელსაც მიუყვება ბატონი თამაზ თავაძე უმოკლესია ზემოთ აღწერილ მიზნამდე და სინათლე, რომელიც მის ფათერაკებით აღსავსე გზას ანათებს შეუფასებელი სულის მარგალიტია. ხოლო ნიჟარას რომლიდანაც ცოდნის მარგალიტები მოიპოვება, - მსოფლიო ერებისა და ცივილიზაციების სიბრძნე ეწოდება. ამ გზაზე ბატონი თამაზი გულუხვად უზიარებს თავის “საგზაღს” ყველა მის თანამგზავრსა და დახმარებისთვის მოსულთ, იმ საგზაღს რომელიც წარმოადგენს ცოდნას ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ღვთისა და განგების წყალობით ერთ-ერთი მსურველთაგანი მეც ავლმოვჩნდი. მაშინ, როდესაც ჩემმა უმეცრებამ და სიმდაბლემ გაუსაძლისი დეპრესიისა და

პიროვნული გაორების წინაშე დამაყენა, ნევროზი დამემართა. ნევროზი ჩემი ერთადერთი პრობლემა მეგონა და არ ვიცოდი, რომ თურმე იგი მოულოდნელ საშინელ დაავადებას მოასწავებდა, რაც ჩემს შემთხვევაში ტუბერკულოზის სახით გამოვლინდა. მარცხენა ფილტვის დიდი ნაწილი მოიცვა დაავადებამ. ამას დაერთო კუჭნაწლაგის პრობლემა, რაც სწორი ნაწლაგვიდან სისხლის დენითა და მასში აუტანელი ტკივილით გამოიხატებოდა. ყველა ამ “სიკეთესთან” ერთად დამეწყო ენის ქსოვილების რღვევა... ენა თითქმის გაშავდა. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ შიშა და პანიკას შეუძლია ბოლო მოუდოს ადამიანს, მაგრამ დანამდვილებით შემოდელია ვთქვა, რომ თუ ოდესმე ვყოფილვარ უშიშარი ეს იყო მაშინ, როდესაც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მდგომს, ბატონ თამაზის პიროვნული თანადგომა და შეუფასებელი ცოდნა მანიჭებდნენ საკუთარი ძალების შესაძლებლობათა რწმენას!!! ცოდნა კი გულისხმობდა ადამიანის შინაგანი სასიცოცხლო რესურსების სრულფასოვან ამოქმედებას “ოქროს საწმისის” ვარჯიშების მეთოდით. სამედიცინო მკურნალობის გაძლიერების მიზნით ჩვენ გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ნერვულისა და ზოგადად ადამიანის სრული რესურსის ამუშავებით შევეჭიდეთ დაავადებას. ყველაზე კრიტიკულ მომენტებში, მაშინ როდესაც უნარო ვიყავი ნებისმიერი ქმედებისათვის, მივმართავდი სიტყვის ძალას და გამუდმებით ვიმეორებდი მტკიცებით ფორმაში – “სიცოცხლე, სიცოცხლე, სიცოცხლე”!..

ყოველივე ეს არნახულად აჩქარებდა და აძლიერებდა მედიკამენტოზური მკურნალობის ეფექტს, რასაც ტუბდისპანსერში ვღებულობდი. მიღებული წამალი უფრო სწრაფად და სრულფასოვნად აღწევდა დაავადების კერების სიდრმეში. ამასთან ერთად უმაღლე მოწესრიგდა

საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციონირება და იოგას ვარჯიშებმა დამიცვეს ანტიბიოტიკური მკურნალობის გვერდითი მოვლენებისგანაც... ვარჯიშებმა და მედიტაციებმა მკურნალობა არნახულად დააჩქარეს და სრული განკურნების ფაზაში გადაიყვანეს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ტუბდისპანსერის ყველა ექიმს და, რა თქმა უნდა, ჩემს მასწავლებელს, – ბატონ თამაზ თავაძეს.

გარდა ამისა, ჩემს ცხოვრებაში მრავალჯერ ყოფილა ისეთი კრიტიკული შემთხვევები, როდესაც მასწავლებლის ცოდნას ჩემთვის ხსნა მოუტანია. ერთ-ერთი ასეთი კრიტიკულ შემთხვევათაგანი განსლავთ ავტო ავარია.

2007 წელს წერეთლის გამზირზე დამეჯახა ავტომანქანა ისეთი სიჩქარით, რომ მეორე დილას რენიმაციის განყოფილებაში მოვედი გონს და ისე მძიმედ ვიყავი, რომ არაფერი მახსოვდა. მხოლოდ ლოგიკური დასკვნების შემდეგ მივხვდი იმას, თუ რა შემემთხვა. შესაბამის აპარატზე ვიყავი შეერთებული და თავის არეში ჭრილობაზე ნაკერები მედო. სიტუაციის გაცნობიერების შემდეგ გამახსენდა ცოდნა რომლითაც წინასწარ ვიყავი მომზადებული ბატონ თამაზისაგან და დავიწყე საკუთარი თავის კრიზისიდან გამოყვანა. აქ განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის, რომ მედიცინამ მე გადამარჩინა, სიცოცხლე შემინარჩუნა გონს მომიყვანა, და ჩემის მხრივ სამედიცინო მკურნალობას მე თვითონ შევუწყვე ხელი და შედეგმაც არ დააყოვნა... მეორე დღესვე სახლში გამომწერეს გაოცებულმა ექიმებმა... ცხადია, რომ **ოქროს საწმისის მედიცინასთან სიმბიოზის შედეგი გახლდათ ეს ჩემი ასეთი სწრაფი განკურნება.** დავემორჩილე ექიმების სამკურნალო რეჟიმს, რაც ერთთვიან წოლით რეჟიმს ნიშნავდა, მაგრამ მე აქაც მივუსადაგე სამედიცინო მკურნალობას ვარჯიშები და ერთ კვირაში დავდექი ფეხზე. (ამ შემთხვევის გარდა, რაოდენ უცნაურიც არ

უნდა იყოს, კიდევ 2 შემთხვევა გადამხდა თითქმის იგივე სიმძლავრის დარტყმით და რაღა თქმა უნდა ორივე შემთხვევაში ინტენსიურად ვიშუშავე “ოქროს საწმისის” ვარჯიშებით...) გასაგებია, თუ რამხელა მისიას კისრულობს საქართველო, თუკი მედიცინა და „ოქროს საწმისი“ ერთიან სამკურნალო სისტემას შექმნიან.

აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია მიღებული ჯანმრთელობის მადლი, მაგრამ აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ, – რათა შეუმჩნეველი არ დარჩეს ეს ფაქტი, – ის, რომ სამედიცინო მკურნალობა და ოქროს საწმისი ერთად, უნიკალური სიმბიოზია და ყოველი ადამიანი იძენს საკუთარი თავის რწმენას და უშიშარობას, ყოველ განსაცდელში გამარჯვების იმედს, რაც ნებისმიერი მკურნალობის გადამწყვეტი ფაქტორია.

შეუძლებელია, სრულყოფილ საკუთარ თავს და არ სრულყო გარემო. ამ კანონის თანახმად მეც დაგკავდი მკურნალობის პრაქტიკით დიდი სიხარულითა და ბედნიერების განცდით. ამიტომ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მზადყოფილ მკითხველს შევთავაზო სამყაროსეული კანონის გამოყენება, რომელიც ერთ დროს საკუთარ ცხოვრებაში გამოვიყენე მაშინ, როდესაც ადამიანი თვითონ ქმნის საკუთარ ნათელ მომავალს:

ადამიანი რჩება განგების წინაშე პირისპირ და განიცდის არნახულ, ენით აღუწერელ ტანჯვას, რომელიც გამოწვეულია მისი უსუსურობით და ისღა დარჩენია გააგზავნოს გზავნილი სივრცეში, გამომხატავი მისი იშუამინდელი მღვთმარეობისა, მსგავსად ბოთლში ჩადებული წერილისა, რომელსაც გემის ჩაძირვისას აგდებენ ოკეანეს ზვირთებში. ამ დროს ქვეცნობიერი მოქმედებაში მოდის და უკანასკნელი იმედის სახით, რომელსაც საკმაოდ ხშირად მოაქვს ხსნა, აწერინებს იმ მომენტისათვის ყველაზე საჭირო სიტყვებს, რადგან **რაც დაწერილ არს უნდა**

ასრულდეს... მეამბოხე თავის გზავნილს წარმოსახვის ტილოზე გრძნობების მეღნით გამოსატყავს:

“შემთხვევითი შეხვედრის ურთიერთობა შემოდგომის მზეა, რომელიც მსუბუქად და სუსტად გათბობს და ხანმოკლეა როგორც ნოემბრის ბოლო დღეები. ჩაესვენება ჰორიზონტზე მზე, შესცქერი მის ჩაძირვას, გინდა ჩაეჭიდო სხივებს რათა გადაარჩინო კავშირი, მაგრამ ისინი ხელში გაწყდებიან და შედეგად მნათობი მთლიანად ქრება მხედველობის არედან. შემდეგ დგება ცივი საღამოს ბინდი, ნაცრისფერი და ცარიელი ვით სიმარტოვის ბუნებრივ ფერებში გამოსატყავა.

ახლა, გრძნობის თვალებით, რომლებიც ერთმა პატარა მუზამ მაჩუქა, შევცქერი სიცარიელის სურათს, რომელშიც ზურგიით ვდგავარ და აღმოსავლეთისაკენ ვიყურები, რადგან ვიცი რომ იქიდან ამოვა ის მზე, რომელიც გაანათებს სურათს ფერად ფერებში, გაათბობს და შეავსებს ნახატში არსებულ სიცარიელეს, ადამიანის შინაგანი განწყობა რომ არის აღწერილი.”

აი, ასეთი წერილი გაგგზავნე მომავალში მაშინ, როდესაც უმეცრების ბნელეთმა მოიცვა ჩემი სინამდვილე და პასუხმაც არ დააყოვნა... ჩემს ცხოვრებაში შემოვიდა ფილოსოფიური განთიადი თავისი ცისკრის ვარსკვლავით იოგასთან ერთად...

სიკეთეზე, რომელიც მთელ კაცობრიობას მოუტანა ბატონმა თამაზ თავაძემ, შემიძლია უსასრულო საუბარი, მაგრამ ამჯერად ნათქვამით დავეყაბულდები და ქართველი ერის მოამაგის სიტყვებით დავასრულებ მადლობის წერილის პირველ ნაწილს, რაც მრავალწერტილით დასრულებას ნიშნავს:

“თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:

ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად სტირსა.

ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა.

თავისასა ცნობისაგან ჩავარდება კაცი ჭირსა.”

* * *

მოგესხენებათ, რომ დღეს კაპიტალისტურ ეპოქაში ვიმყოფებით და ეს ფაქტი ქმნის სრულებით ახალ რეალობას, რომელშიც ადამიანის ყოველგვარი პასიური და ლოიალური მდგომარეობა სოციუმში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენათა მიმართ დიდ დანაშაულს, თუ არა - შეცდომას წარმოადგენს. პირველ რიგში იმიტომ, რომ უკონტროლო პროცესი წარმოიქმნება, რომელიც კაცობრიობას დანაშაულებრივს ხდის.

დღევანდელობაში სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ადამიანის ჯანმრთელობის საკითხი, იმდენად რამდენადაც უამრავი დაავადება პროგრესირებს და

მიმართ. ამას, კიდევ ემატება მსოფლიო ჯანდაცვის სისტემის გლობალური კომერციული სტრატეგია. ადამიანის, როგორც პაციენტის ინტერესები სულ უფროდაუფრო იზღუდება ჩვენს მიერვე შექმნილი ურჩხულის, - ფარმაცევტული ინდუსტრიის ზეგავლენის მიერ, ისე როგორც სამედიცინო სფეროს წარმომადგენლობის მიერ, ასევე სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისა და მსოფლიო ეკონომიკის არაჯანსაღი მიმართავი ბერკეტების არსებობის გამო.

მკურნალი ექიმი, უპირველეს ყოვლისა, პაციენტში ნდობასა და განსაკუთრებული სათნოების შეგრძნებას უნდა იწვევდეს. ასეთი დამოკიდებულება ექიმსა და პაციენტს შორის, უკვე განკურნების ეფექტის მატარებელია.



მნიშვნელოვნად ახალგაზრდავდება. სხვაგვარად, რომ ვთქვათ ევოლუციას განიცდის და უშეღავათო ხდება გაუცნობიერებელი და თვითღინებით მიმავალი კაცობრიობის

რა თქმა უნდა ამგვარი რეალობის შესაქმნელად კონკრეტული პირობების არსებობაა საჭირო. ისეთი პირობებისა, როდესაც მკურნალი მაქსიმალურად

განთავისუფლდება საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებისგან, რაც პირველ რიგში გულისხმობს სათანადოდ შრომის ანაზღაურებას (მომავალში შესაძლოა ექიმს შემოსავალი განესაზღვროს ჯანმრთელ პაციენტთა კონტინენტის გათვალისწინებით). ამით მეურნალი განთავისუფლდება მგლური კონკურენციის მარწუნებისაგან და შეძლებს სრულებით ადასრულოს ჰიპოკრატეს ფიცი.

სამედიცინომეცნიერებათა ორიენტირებული ჯანმრთელ ადამიანზე ჯანსაღი და ბუნებრივი მეთოდების გამოყენებით, სულ უფრო აქტიური და მოთხოვნადი გახდება, რაც ყველა სიკეთესთან ერთად გამოიწვევს კაცობრიობის ფსიქოფიზიოლოგიური განვითარების დაჩქარებას და სულიერ ზრდას. ამ მეცნიერებათა შორის იოგა კონკურენციის გარეშეა და ღრმად მწამს, რომ კლასიკური მედიცინის მომავალი მასთან სინთეზის გარეშე ვერ შედგება. დღეს, როდესაც მედიცინის ადმინისტრირების განმსაზღვრელ ტერმინებში რენტაბელურობა და რეკლამა ფიგურირებს, შეუძლებელია პაციენტსა და ექიმს შორის უპირობო ნდობა არსებობდეს. სამწუხაროდ ადამიანები ამას არ ითვალისწინებენ და ძველებურად ბრმად ემორჩილებიან მეტად ბუნდოვან მეურნალობის მეთოდებსა თუ მედიკამენტოზურ თერაპიას.

ზემოთ აღნიშნული პრობლემის მრავალი მიზეზი არსებობს, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი პიროვნების ცნობიერების დონეა. როდესაც თითოეული ადამიანი არ სრულყოფს საკუთარ თავს სულ უფრო მეტი და ახლებური ცოდნის მოძიებით, რაც ბუნებრივად ხდის მას ერთიანი საზოგადოებრივი ორგანიზმის უმოქმედო ნაწილად, იგი ამკვიდრებს მოუქნელობის ტენდენციას. ანუ ადამიანი კარგავს უნარს მიიღოს სწორი გადაწყვეტილება, მაშინ როდესაც საქმე ეხება მის და მისთვის საყვარელ ადამიანთა ჯანმრთელობის

საკითხს, რადგან მის ცნობიერებაში არ არსებობს ალტერნატიული, ან თუნდაც შეთავსებადი ვარიანტები მეურნალობის მეთოდებისა.

შესაძლო საშუალების აღუქმელობის გამო, თუმცა ის არსებობს იოგას სახით, უიმედო ადამიანი ეჭიდება ხავსს. ავადმყოფთა სასოწარკვეთილი მოქმედება, რომელიც მათთვის მხოლოდ მარცხის მომტანია, ვილაცთათვის შემოსავლის წყაროა. ამ მოქმედებათა სიაში დღეს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია ქიმიოთერაპიას. მკაცრი დიაგნოზისგან შეშინებული ადამიანი დაუფიქრებლად ეშვება უიმედო თერაპიის მორევეში ისე, რომ არც კი ფიქრობს ალტერნატივაზე ან თუნდაც - დამხმარე საშუალებაზე. ქიმიოთერაპიისგან მიღებული ზიანი გაცილებით მეტია, ვიდრე მოჩვენებითი შვება, რომლითაც ავადმყოფს ხელოვნურად უქმნიან მეურნალობის ილუზიას მაშინ, როდესაც იოგის მედიტაციურ სისტემას ძალუძს არამხოლოდ ქიმიოთერაპიის ზიანის აღმოფხვრა, არამედ ადამიანის სრული განკურნება. ამის არაერთი მაგალითი არსებობს ჩვენს რეალობაში კონკრეტულად კი - საქართველოში. ამ წერილის ავტორი გახლავართ მსგავსი შემთხვევების მომსწრე, რამაც დამაკისრა ვალდებულება ვთქვა, ის რაც სათქმელია და ამით შევიტანო მცირედი წვლილი ადამიანთა ცნობიერებაში არსებული უძრავობის ყინულის დაძვრაში.

ფაქტების სიმრავლე და შედეგების ხარისხი გაიზრდება მაშინ, როდესაც ზემოთ ნახსენები საკითხები თანმიმდევრულად და უმტკივნეულოდ გადაწყდება. ამისათვის, საჭიროა გადაიდგას პირველი ნაბიჯები და თითოეულმა მოქალაქემ მეტი ღრო დაუთმოს პრობლემაზე ფიქრს, მეტად ინფორმირებული გახადოს საკუთარი თავი აღნიშნულ საკითხში, გამოიკითხოს ადამიანთა გარემომცველ წრეებში არსებული ინფორმაცია და ფაქტები,



გაანალიზოს უშუალოდ ავადმყოფის პოზიციიდან დანახული რეალობა და ხედვა, ასევე აუცილებელია შეისწავლოს დაავადების შესახებ არსებული არამხოლოდ კლასიკური მედიცინის ცოდნა და ხედვები, არამედ აღმოსავლური მედიცინის მიდგომა, მათ შორის კი განსაკუთრებით - იოგის. მოპოვებული ცოდნის დაჯამების შედეგად, თანდათანობით თითოეული ადამიანის პოზიცია საკითხთან დაკავშირებით სულ უფროდაუფრო მეტად დაიხვეწება და მართებული შეიქნება, რაც გამოიწვევს ერთიანი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. ამით კი საზოგადოების ერთიანი ორგანიზმი არაცნობიერი მდგომარეობიდან, ცნობიერისკენ დაიწყებს გარდაქმნას. მანამდე არსებული უკონტროლო და თვითდინებით მიმდინარე პროცესები თანდათანობით მართვადი და კონტროლირებადი გახდება.

ველოუციის გზაზე დამდგარი ცნობიერი საზოგადოება აღძრავს საკითხს: **ვებრძოლოთ არა დაავადებას, როგორც შედეგს, არამედ მის გამომწვევ მიზეზს (მიზეზებს),** ვინაიდან ნებისმიერი დაავადება იწყება ადამიანის ბუნებრივი ფსიქო-ფიზიოლოგიური მდგომარეობის

დარღვევით. იოგას ფილოსოფიის თანახმად, დაავადების მიზეზი ყოველთვის უნდა ვეძებოთ ადამიანის ცნობიერების დონესა და სულიერ მდგომარეობაში. ადამიანის სრულყოფილების ორი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი - ცნობიერება და სულიერება ვითარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი აცნობიერებს თვითშემეცნების გზის აუცილებლობას, როგორც ძირითად მისიას დედამიწაზე დაბადებისა.

სამყაროში ყოველივე ფასეული, რაც შექმნილა და შეიქმნება, მხოლოდ და მხოლოდ გაცნობიერებული მოქმედების შედეგია. ამიტომ ნუ გვექნება ილუზია იმისა, რომ ვიღაც შეძლებს ჩვენი გასაკეთებლის გაკეთებას, თუნდაც ეს იყოს პროფესიონალი ექიმი ან მეცნიერი. მათ შეუძლიათ მხოლოდ დახმარება და არა პრობლემის გადაჭრა. პრობლემას, რომელიც საერთო-საკაცობრიო ძალისხმევითაა გადასაჭრელი, ცალკეული სოციალური კუთვნილების ჯგუფები ვერ დასძლევენ. მხოლოდ თანამშრომლობა და არა განცალკევება შეგვაძლებინებს გლობალური პრობლემების დაძლევას. თანამშრომლობა კი იწყება ურთიერთადიარებითა და ცოდნის გაზიარებით, რაც სამწუხაროდ დღეისდღეობით არ ხდება.

სულ ახალი და ახალი დაავადებანი ამხელენ მათ მიმართ თანამედროვე მედიცინის უძლურებას, როგორც სისტემას, რომელიც ამოფარებულია ოდესღაც ობიექტური რეალობით გამართლებული ავტორიტეტის უკან.

სათქმელი კიდევ ბევრია, ამიტომ მიაპყარით გულისყური და ისმინეთ!!!

დაფიქრდით...

ზაქარია ტატინაშვილი

მადლობის წერილი

მე სიკვდილ-სიცოცხლის გზა გავიარე და ხსნას მაინც მივაგენი...

როდესაც ვიგრძენი, რომ ჩემი ჯანმრთელობა უეცრად შეირყა და სწრაფად გავექანე უფსკრულისაკენ, მოვიარე ყველა ექიმი და ბოლოს, საშველი რომ აღარ ჩანდა, მივედი ფსიქოლოგ გივი მაზმიშვილთან. ვიჯექი განწირული, შეფუთული, უმწეო და ვგრძნობდი როგორ იღუოდა სიცოცხლის ძაფი...

ერთხელ სეანსზე, უკვე სასოწარკვეთილს, ჩამესმა ხმა წინა რიგებიდან (მაზმიშვილმა, ჩემდა ბედად, დაიგვიანა): ვის გინდათ მისამართი?! ეს იყო სვეტლანა გაბრიჩიძე - აღამიანი, რომელმაც ონკოლოგიური დაავადების გამო ცხრა ოპერაცია გადაიტანა და მისი მკურნალობა შეუძლებელი გახდა. იგი განწირული იყო სასიკვდილოდ, როდესაც გაიცნო და მოარჩინა იოგამა თამაზ თავაძემ... აღარ მახსოვს როგორ აღმოვჩნდი შუა რიგებიდან პირველ რიგში (არადა სიარულს ძლივს ვახერხებდი) და ხელიდან გამოვტაცე მისამართი ჩემს მხსნელს...

მახსოვს როგორი გულისხმიერებითა და სრული იმედით მიმიღეს მაშინდელ იოგას ცენტრში ჩუბინაშვილის ქუჩაზე. ისიც მახსოვს, რომ კიბეზე ასვლა არ შემეძლო, არადა სულ ორი საფეხური იყო შესასვლელთან, ჩემთვის კიბეს ერთი საფეხური დაუმატეს...

...მე არ მახსოვს რა მოხდა, მაგრამ იოგას ვარჯიშებმა თამაზ თავაძის სისტემით სასწაული მოახდინა...

...მინდა გავიხსენო ერთი საგულისხმო მომენტი. თ. თავაძესთან მკურნალობის შემდეგ სახლში მივდიოდი ჯანმრთელი და ფრთაშესხმული და უეცრად დავინახე ფეხით მიმავალი ჩემი მხსნელი ქალბატონი, რომელმაც მისამართი გაახმოვანა მაზმიშვილის სეანსის წინ. იგი თავჩადუნული მიდიოდა ქუჩაში და ვიკივლე:

„გამიჩერეთ, გამიჩერეთ... ჩავდივარ!“ გაოგნებულმა მძლოლმა მანქანა გააჩერა უხმოდ, თითქოს იგრძნო, რომ რაღაც სასწაული ხდებოდა. ...ჩამოვედი, დავეწიე ქალბატონს, გადავკოცნე. უსაზღვრო მადლობა გადავუხადე და ვუთხარი მოსულიყო ჩუბინაშვილის ქუჩაზე... მაგრამ იცით, ჩამქრალი თვალებით შემომხედა, ზრდილობიანად მითხრა – მოვალა, - და მას შემდეგ აღარ მინახავს?!

ხალხო! დღეს თ. თავაძის იოგას ცენტრი ყველაფერს კურნავს და თვალები გაახილეთ! ბედნიერება არ გინდათ? ბედნიერება, რომელსაც თავად შესძენთ საკუთარ თავს!!!

ქეთევან ბასილაშვილი



* * *

სიტყვის „გა-კვეთილი“

„რა ენა ნახდეს, ერთი ფაერეს, ნაერხოს ჩირქი ჭადარსა ნმინდას“...

გრიგოლ ორბელიანი


სამწუნაროდ თუ საბედნიეროდ, ჩვენ იმ რეალობაში ვცხოვრობთ, როდესაც ერთი ცდილობს თავი დაიმკვიდროს და ინტეგრირდეს დასავლეთთან. სამწუნაროა, იმდენად რამდენადაც, ხშირ შემთხვევაში თავგზააბნეული ხალხი „ახალი კულტურისა“ თუ საკუთარი თავის მოპოვებას იმ ფასეულობათა უარყოფით და შებღაღვით ცდილობს, რომლის შესანარჩუნებლად წინაპარმა სისხლი ღვარა. საკუთარ ფესვებს მოწყვეტა და ხიბლში ჩავარდნა რა სავალალო შედეგებითაც მთავრდება, ნათლად ჩანს მადლობის წერილებსა და ჩვენს სტატიებში. „ერთი გულადი, პურადი“ ღღეს სნეულია (არ შეგეშინდეთ ჩვენი დიაგნოზის!!!) ერთმანეთის სიძულვილით და აბა, სხვა როგორ უნდა შეიყვაროს?! მშობლიური ენა და ადათ-წესი – ეს არის ერის სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღეცა და იმუნიტეტიც!

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება!“ - შეგვაგონებს ილია ჭავჭავაძე. ენის დანიშნულებას ჯეროვნად აფასებდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამქაშებიც. სწორედ ეროვნულობის მოსპობის მიზნით აკრძალეს რესპუბლიკებში მშობლიურ ენაზე სწავლება. მადლობა ღმერთს! ქართული ენის სიწმინდის შენარჩუნების სადარაჯოზე ისეთი დიდი მამულიშვილები იდგნენ, როგორც ივანე ჯავახიშვილია.

ღირსი მამა იოანე-ზოსიმე „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ -ში წერს:

„ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს“... „და ესე ენაი მძინარე არს ღღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ქვიან“.

ქართული ენის უნიკალურობაში აღვილად დავრწმუნდებით თუ ჩავუღრმავდებით ლექსიკური ერთეულების აგებულებას. მაგალითისთვის, განვიხილოთ სიტყვა „სიყვარული“, რომელიც არსებითი სახელია და დაესმის კითხვა – რა? მაგრამ თუ მისი მოქმედებაში მოყვანა (გაცოცხლება) გვსურს ანუ ზმნად გადაკეთება, მაშინ უნდა მივანიჭოთ პირი და ვაუღლოთ ანუ მივიღებთ „მიყვარხარ“. ახლა დავმარცვლოთ - „მი-ყ-ვარ-ხარ“. „მი“ – იგივე „მე“ სვანურად და „მა“ – მეგრულად; „ყ“ – „ყოფნა“. იმისათვის რომ მიყვარდეს, მე უნდა ვიყო და პირიქით, თუ მე მიყვარს, მაშასადამე მე ვარ. აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ ასო-ბგერა „ყ“ განსაკუთრებით ახასიათებს ქართული ენის თავისებურებას და თითქმის ყველა იმ სიტყვის შემადგენელი ნაწილია, რომელიც სიცოცხლის და დაბადების იმპულსს ატარებს (სიტყვა, სამყარო, ყლორტი, ყანა, ყაყაჩო, წყალი, წყარო, მოყვასი, ყვავილი, ყვავი – ლეგენდის თანახმად, ხანგრძლივი სიცოცხლით ხასიათდება, ყორანი – ინგლისის სამეფო ტახტის მარადიულობის სიმბოლოა, ყვრიმალი, ყელი და სხვა). თუ ყოფნას ვაუღლებთ, მივიღებთ ვარ, ხარ... სიტყვა „მიყვარხარ“ ერთადერთია, რომელშიც ვარ და ხარ ხვდებიან ერთმანეთს. იმის მინიშნებას, ხომ არ ცდილობს ქართული, რომ ადამიანების ჰარმონიული თანაარსებობის ერთადერთი გზა ურთიერთ სიყვარულია?! კერძოდ, სადაც არის „მე“ და „შენ“ იქ წარმოიქმნება ძალა „ჩვენ“ (ძალა ერთობაშია) და სისრულის მისღწევად ადამიანს რჩება ერთი ნაბიჯის გადადგმა საკუთარ ცნობიერებაში „მათი“-ის აღიარებისათვის. ამგვარად, მივიღებთ სიცოცხლის ფუნდამენტურ ოთხეულს: „მე“, „შენ“, „ჩვენ“ და „ისინი“, რომელიც წარმოადგენს თვისობრივ კვადრატს და სიცოცხლის პირამიდის საფუძველს. ასეთი „კვადრატი“ პითაგორიელთა საფიცარი იყო, რადგან ის წარმოადგენს გულის სიმბოლოს.



ახლა, განვიხილოთ „მეგობარი“. იგი დასაბამს იღებს სიტყვა „გობიდან“ და წარმოიშვა უძველესი ქართული სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციიდან. ძველად, ერთი ოჯახის წევრები საერთო გობიდან მიირთმევდნენ; პურის ჭამის დროს შემოსწრებულ სტუმარსაც საჭმელს საერთო გობიდან სთავაზობდნენ ნდობისა და პატივისცემის ნიშნად. სტუმარიც მიირთმევდა ოჯახის წევრებთან ერთად და ხდებოდა „მეგობარი“ ანუ ერთი გობიდან დაპურებული. დღემდე უღალატო ანუ სანდო ადამიანს „მეგობარს“ ვუწოდებთ. უპირველეს ყოვლისა, მეგობარს პურის ჭამის რიტუალის დაცვა ევალებოდა: ოჯახის წევრები წრიულად მიუსხდებოდნენ გობს. უხუცესი პირველი იღებდა ყველაზე შეუხედავსა და პატარა ლუკმას, ასევე იქცეოდნენ ასაკის მიხედვით ჯერ მამაკაცები, შემდეგ ქალები და ბალები (ასევე ასაკის მიხედვით), ბოლოში სულ პატარა რჩებოდა, რომელსაც საუკეთესო ლუკმა ხვდებოდა წილად. საქართველოში, ისევე როგორც კორეაში, ბავშვში ხედავდნენ ერისა და ქვეყნის მომავალს, ამიტომ უხუცესიც კი ფეხზე დგებოდა მის წინაშე. ასე ლაღად იზრდებოდა პატარა შვიდ წლამდე, ცხოვრების მომდევნო ეტაპზე მოზარდი გარკვეულ რიტუალს გადიოდა, შემდეგ ადათი მასაც ავალდებულებდა უფროსების მორჩილებასა და პატივისცემას.

აი, რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი, იმისა თუ როგორ იცავს და ინახავს ენა ადათს, ხოლო ადათი ერის მომავალს!

მადლობის წერილი

აი, უკვე 23 წელია, რაც საზოგადოებაში მოვედი თამაზ თავაძესთან და თუმცა ეს ჯანმრთელობის პრობლემებით არ იყო განპირობებული, მდგომარეობა გაცილებით გამიუმჯობესდა მასთან მიღებული ცოდნის შედეგად, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერ-ზნეობრივი განზომილებითაც.

როგორც ყველას, მეც მქონდა ჩემი ზეობისა და დაცემის წლები, მაგრამ ეს ხომ ამ ურთულესი იოგას გზის სირთულეებია და აბა, იოლი საიდანდა უნდა ყოფილიყო. ამ გზიდან მქონდა გადახვევებიც, მაგრამ ჩემი მიზანი თანდათან გამოიკვეთა იმ მიზანთან შედარებით, რომლითაც მე საზოგადოებაში მოვედი თავდაპირველად, და აჰა, მე უკვე დანამდვილებით ვიცი თუ რა მინდა მივიღო ამ ცხოვრებიდან. სიცოცხლის გაკვეთილებს ვითვისებ და ვსწავლობ მათ მთელი სიმტკიცით. ამაში მე მიწიერი მასწავლებელი თ. თავაძე მეხმარება და ზეცაში კი - ელენე ბლავატსკაია და რეჩინების დიადი ოჯახი. ამჟამად მე 50 წლისა ვარ, მაგრამ წლების განმავლობაში ვარჯიშებმა 35 წლის ასაკის მხნეობა და ჯანმრთელობა დამიბრუნეს. ბავშვობიდან დაბალწნევიანს, ასაკში მაღალი წნევები დამჩემდა და დღეს სრულიად ნორმალური წნევა მაქვს და თავის ტკივილები საერთოდ დამავიწყდა. ნაადრევი ჭადარაც უკან იხევს და თმა საგრძნობლად გამიმუქდა. წიგნს უსათვალოდ ვკითხულობ და შორსაც კარგად ვხედავ. ხელის კანს ბავშვური ხარისხი დაუბრუნდა, გამეწმინდა სახეც და ტუჩებმა ლურჯი ფერი იცვალეს ვარდისფერზე. სოცოცხლს 25 წლის გოგოსავით აღვიქვამ და დიდი იმედით შევჰყურებ მომავალს და როდესაც ვინმე ჩემს ასაკს შემახსენებს, გულს უკვე აღარ მტკენს, რამეთუ სიცოცხლის ინტერესი დღითიდღე იზრდება ჩემში. მე ყოველთვის მიყვარდა მოგზაურობა, სიმღერა, ცეკვა და იოგას მადლით დღესაც ხალისიანად

მ ე დ ე ა

ვაკეთებ ამას. ორი თვის წინ დავიწყე დღეში 5 კილომეტრის მანძილზე სიარული და საოცარ სიმსუბუქეს მივადწიე, რაც დიდი სიხარულის მომტანი მუხტი ყოფილა და ასეთ დატვირთვებს დიდი პოტენციალი ჰქონია.

ჩემი, როგორც პროფესიონალი ასტროლოგის დონე საოცრად გაღრმავდა თ.თავადის დახმარებით, შევძელი სალექციო კურსის წაკითხვა და უნიკალური ასტროლოგიის წიგნის თანაავტორობა. მომავალში ვაპირებ ავადმყოფთა მკურნალობასაც.

ეს წერილი მინდა მასწავლებელთა მიმართ ჩემი საყვარელი ციტატით დავასრულო:

„ადამიანი მოკვდავი ღმერთია და ღმერთი - უკვდავი ადამიანი!“

აი, ესაა ჩემი ცხოვრების მთელი მიზანიც. დიდი მადლობა ჩემს მასწავლებელს!

სვეტლანა გუბიევა



კუთხუმი

კაცობრიობა გასაოცარი სიჯიუტით განაგრძობს უარყოფითი ენერჯის წარმოქმნას, რომელიც დედამიწის გარშემო მჭიდრო სარტყელს ქმნის და ბლოკავს განახლების ენერჯიას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იქმნება დაძაბულობა ამ ორ ენერჯიას შორის, ერთი ცდილობს დედამიწაზე არსებული განუკითხაობის შენარჩუნებას, მეორე კი - ხელი შეუწყოს დედამიწაზე ცვლილებებსა და ევოლუციას.

პლანეტის ბინადარნიც ორ ნაწილად არიან გახლეჩილი, თქვენ შეხვდებით მათ, ვისი ცნობიერებაც განუწყვეტლივ იზრდება და მათაც, ვინც ძველი სტერეოტიპებისა და მდაბიო მასობრივი ცნობიერების მოზღვაგებას განიცდიან.

სამყაროსეული ენერჯის ერთადერთი წყარო ღვთაებრივია, რომელიც თქვენთან კრისტალური სიმით მოედინება და თქვენ თავისუფალი ნების თანახმად იყენებთ მას: ხარჯავთ თქვენი ეგოისტური მისწრაფების დასაკმაყოფილებლად ან ნეგატიური გრძნობების შესანარჩუნებლად, დამკვიდრებული მავნე ჩვევების გამოსაკვებად, რითაც ხმას აძლევთ გარდასულსა და ძველს. ამით თქვენს ენერჯიას მიმართავთ პლანეტის გარშემო უარყოფითი სარტყელის გაძლიერებისკენ.

ცვლილებებისა და ევოლუციის ენერჯიის შეხვედრა ადამიანთა მიერ შექმნილ უარყოფით ენერჯიებთან იგივეა, რაც ორი სხვადასხვა მუხტის მქონე ღრუბლის შეხვედრა. თქვენ კარგად იცით, თუ რა ხდება ამ დროს ატმოსფეროში: დაინახავთ ელვას და გაიგონებთ ჭექა-ქუხილის ხმას. მსგავსი ხდება დედამიწაზეც, როდესაც ორი საპირისპირო პოტენციალის, ძლიერი ენერჯიის მუხტი ხვდება ერთმანეთს - განშირებული კატაკლიზმები, სტიქიური უბედურებები, გრიგალები და ცუნამი.

თქვენ მიგაჩნიათ, რომ სტიქიები ბრმა და

უმართავი ბუნების მოვლენებია, მაგრამ ეს ასე როდია. როგორც წესი, ჩვენ ვახერხებთ შესქელებული უარყოფითი ენერჯიების ლოკალიზებას მათი ჩასახვის ადგილებში. ამიტომ, სტიქიური უბედურებებისაგან ზარალდებიან მხოლოდ ის რაიონები, სადაც ადამიანები ხელს უწყობდნენ უარყოფითი ენერჯეტიკის ფორმირებას თავისი მდაბიო ცნობიერებით.

უსაყვარლესნო! დროა დაეთხოვოთ იმ შეხედულებას, რომ შეგიძლიათ უპასუხისგებლად ცოდვათა ჩადენა, იქნება ეს არაღვთიური აზროვნება თუ გრძნობა. შეუძლებელია, შემდეგ მშვიდად ჩამოსხდეთ, ცოტაოდენი ილოცოთ და დაფაროთ ანუ ტრანსმუტაცია მოახდინოთ იმ კარმისა, რომელიც თქვენ და თქვენმა ახლობლებმა შეჰქმენით.

რა თქმა უნდა, ლოცვის სარგებლიანობა უდაოვო და ეჭვგარეშეა. ამ საკითხზე არც კი შეიძლება კამათი, მაგრამ მოცემულ ვითარებაში, უსაყვარლესნო, ლოცვა საკმარისი როდია.

რა აზრი აქვს, ჯერ ქმნიდე უარყოფით ენერჯიას და შემდეგ ებრძოდე მას?

დადგა ჟამი გაცნობიერებული მოქმედებისა დღე-ღამის განმავლობაში, თქვენ უნდა აფასებდეთ ყოველ მოქმედებას, მუდმივად უნდა აკონტროლებდეთ საკუთარ აზრებს და გრძნობებს. ჩანასახშივე, თქვენი ნებისმიერი უარყოფითი აზრი ფესვებიანად უნდა იქნეს ამოგლეჯილი თქვენი ცნობიერებიდან. დაიცავით საკუთარი თავი ყველაფრისგან, რაც ხელის უწყობს თქვენში ნეგატიური აზრებისა და გრძნობების არსებობას.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ შვილებს, არ დატოვოთ ისინი მარტო დიდი ხნით დღის განმავლობაში. გახსოვდეთ, მცირეწლოვან ასაკში თუ როგორ მიმართულვასა და ცოდნასაც მისცემთ სამყაროში მოქმედი კანონების შესახებ, ისეთივე შედეგებს მიიღებენ თქვენი ზრდასრული შვილები და შეძლებენ

პასუხისმგებლობით ემსახურონ დედამიწის ევოლუციას. ყოველი თქვენთაგანი ვალდებულია იზრუნოს პლანეტის მომავალზე და მასზე განვითარებულ მოვლენებზე უახლოეს რამდენიმე თვეში.

გახსოვდეთ, რომ ის დაძაბულობა, რომელიც განიმუხტა აზიის სამხრეთით მომხდარი კატაკლიზმით გასული წლის ბოლოს, ისევ იბადება და, შესაბამისად, ყოველი თქვენი უარყოფითი მოქმედებით, აზრითა და გრძნობით თქვენ აძლიერებთ მას.

ეცადეთ მთელი დღის განმავლობაში შეინარჩუნოთ შინაგანი სიმშვიდისა და ჰარმონიის მდგომარეობა. ნუ დაივიწყებთ იმას, რომ თქვენს გვერდით სხვა ადამიანები ცხოვრობენ. თუ თქვენ დიდ ქალაქში ცხოვრობთ, თქვენი აურით ათასობით ადამიანს ეხებით და მუხტავთ თქვენი ენერჯით ანუ თქვენს შინაგან ჰარმონიულ მდგომარეობას უწილადებთ მათ.


იგივე ხდება უარყოფითი ენერჯიის მატარებელ ადამიანთან შეხვედრისას; იგი მეხის მატარებელ ღრუბელსა ჰგავს და ეძებს მსხვერპლს, რომ განიმუხტოს უარყოფითი ენერჯიისგან.

დაიცავით თქვენი შინაგანი სამყარო ნებისმიერი სახის უარყოფითი ენერჯიის შემოჭრისგან. განსაკუთრებული ზრუნვა გამოიჩინეთ შვილების მიმართ.

შეიძლება თქვათ, რომ თქვენზე არაფერია დამოკიდებული და ყველაფერში ხელისუფლებაა დამნაშავე, რომელიც სათანადოდ არ ზრუნავს ქვეყანაზე და არ გაძლევთ ღირსეულად ცხოვრების საშუალებას.

ნება მომეცით არ დაგეთანხმოთ, ყველაფერი ამ სამყაროში ვიბრაციების შესაბამისად ლაგდება და თქვენ მოგეცათ ის ხელისუფლება, რომლის მმართველობასა და პოლიტიკასაც მხარს უჭერს მოსახლეობის დიდი ნაწილი.

თქვენ გამუდმებით ენერჯიათა მიმოცვლაში იმყოფებით ათასობით



ადამიანთან და ამგვარად, თქვენ მათთან მიმართებაში კარმის ურთიერთმიმოცვლას განიცდით. თქვენი აზრით, როგორ ვლინდება ოჯახის, ქალაქის, ქვეყნისა და პლანეტის კარმა? წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც მთლიანად განთავისუფლდა თავისი პირადი კარმისაგან. როგორ ფიქრობთ, რა დაემართება მას მომავალში, ამადლდება?

სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთი ადამიანი ამადლდეს, მაგრამ გაგზავნა დაგარწმუნოთ, რომ ადამიანი, რომელიც პირადი კარმისაგან განთავისუფლდა, იძენს სულ სხვა - ზეცნობიერებას, რომლის საშუალებით იგი ხვდება, რომ შეუძლებელია გადარჩე მხოლოდ შენ. ცნობიერების ახალ დონეზე ადამიანმა იცის სინამდვილე, რომ ღმერთი ყოვლისმომცველია და უფრო მეტად გრძნობს ყოველი არსებულის ერთიანობას. ამიტომ, უფრო რეალურია, რომ ზეადამიანი თავისუფალი ნებით განაგრძობს დედამიწაზე განსხეულებას. იგი ყოველდღიურად იზიდავს გარშემოყოფ ადამიანთა უარყოფით ენერჯიას და

საკუთარ აურაში გადაამუშავებს მას. ღრუბლის მსგავსად, იგი გარშემომყოფთა აურებთან შეხებაში შედის და განტვირთავს მათ ძლიერი უარყოფითი მუხტისგან ანუ თავის თავზე იღებს და ანეიტრალებს მათ. ხდება ის, რასაც თქვენ ქალაქის, ქვეყნისა თუ პლანეტის კარმის ტრანსმუტაციას უწოდებთ.

უსაყვარლესნო, ძალიან ბევრია თქვენზე დამოკიდებული, თქვენს თანხმობაზე ემსახურეთ ჰარმონიის, წონასწორობის შენარჩუნებას. თუ თქვენ გრძნობთ უმიზეზო სევდას, სიხარულის ნაკლებობას, მიზეზი უარყოფითი ენერჯის გავლენაში უნდა ეძებოთ, რომელიც დიდი რაოდენობით დაგიგროვდათ აურაში. იგი იმდენად არის დამძიმებული, რომ საჭიროა საკუთარ თავთან მარტო დარჩენა, ბუნებაში გასეირნება, შინაგანი ჰარმონიისა და სიმშვიდის დაბრუნება.

ისწავლეთ თქვენი შინაგანი მდგომარეობისა და ცნობიერების დისჰარმონიის გამომწვევი მიზეზების გამოცნობა.

დღე-ღამის განმავლობაში, მხოლოდ მაშინ ხართ ევოლუციის სამსახურში, როცა ცნობიერების სიმშვიდის გარკვეულ დონეს აღწევთ; თავისმხრივ, ეს მდგომარეობა საშუალებას გაძლევთ საკუთარ თავზე აიღოთ და გადაამუშაოთ ქალაქის, ქვეყნისა და პლანეტის კარმა.

და ეს ძალზე მნიშვნელოვანი მსახურებაა, უსაყვარლესნო. დღევანდელი რეკომენდაციების სახით, მე აგისხენით ის მექანიზმები, რომელთაც თქვენ, როგორც სამყაროს სამსახურში მდგომი ადამიანები გამოიყენებთ.

უკვე ყველაფერი იცით თქვენი მსახურების შესახებ, შეგიძლიათ დროული ზომების მიღება თქვენი ვიბრაციებისა და ენერჯის აღსადგენად. უაღრესად ფაქიზად მოექცით თქვენს ორგანიზმს და თუკი მოწყენილობა დაგეუფლებათ, მოიძიეთ თქვენთვის ყველაზე მისაღები ხერხი, რომლითაც აღადგენთ შინაგან ჰარმონიასა და სიმშვიდეს. ზოგისთვის ეს იქნება მედიტაცია ან ლოცვა, სხვისთვის ბუნებაში გასეირნება და სიმშვიდე, მშვიდი მუსიკის მოსმენა ან ბავშვებთან თამაში.

არ მისცეთ თავს უფლება გონების უარყოფით მდგომარეობაში ხანგრძლივი ყოფნისა. ჩაახშეთ და ჩააქრეთ ყოველი უარყოფითი ემოცია და ვიბრაცია, როგორც კი ისინი იჩენენ თავს თქვენში. საშუალება არ მისცეთ მათ მთლიანად მოიცვან თქვენი არსება.

და გახსოვდეთ, რომ უკიდურეს შემთხვევაში, თქვენ გაქვთ საშუალება დახმარებისათვის მიმართოთ ამაღლებულთა დასს. ჩვენ ყოველთვის გავუწევთ დახმარებას ჩვენს ერთგულ მსახურებს კოსმიური კანონის ფარგლებში.

მე ვარ კუთხუმი, - თქვენი ძმა!

19.05.2005წ.

(თეოსოფიაში ცნობილი, როგორც დროის-მიღმიერი სიბრძნის ერთ-ერთი მასწავლებელი. გზავნილი მიიღო ტ.მიკუშინამ; თარგმანი თ.თავაძისა)

* * *

* * *

„პირველი ყლუპი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სასმისიდან, თქვენ გადაგაქცევთ ათეისტად, თუმცა სასმისის ფსკერზე ღმერთი გელოდებათ!“

ვერნერ კარლ ჰაიზენბერგი
(ფიზიკოსი, კვანტური მექანიკის ფუძემდებელი)

ჭეშმარიტად ნიჭიერი ადამიანი არასდროს იღბუდება ცალმხრივი განვითარებით და სრულყოფს საკუთარ თავს, როგორც ინტელექტუალურ, ასევე შემოქმედებით თუ სულიერ ასპარეზზე. ალბერტ აინშტაინი (თანამედროვე თეორიული ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი, საზოგადო მოღვაწე და ჰუმანისტი, ფიზიკაში 300-ზე მეტი ნაშრომისა და ასევე ისტორიისა და ფილოსოფიის დარგში 150-მდე წიგნებისა და სტატიების ავტორი) წერილში ქალიშვილისადმი საოცარი სიფაქიზითა და სიზუსტით აღწერს იმ უძლიერეს ძალას, რომელსაც ჰქვია -

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

მე, როდესაც მსოფლიოს ფარდობითობის თეორია შევთავაზე, ძალზე ცოტას თუ ესმოდა მისი და რასაც ახლა გაგიმხელ კაცობრიობისთვის გადასაცემად, შენც გაუგებრობისა და ცრუ წარმოდგენების წინაშე დაგაყენებს. გთხოვ, შეინახო ეს წერილი მანამდე, სანამ საზოგადოება არ იქნება მზად მის მისაღებად, თუნდაც ათწლეულების განმავლობაში დაგჭირდეს ლოდინი.

არსებობს ძალზე ძლიერი ძალა, რომელსაც მეცნიერებამ დღეს ვერანაირი ოფიციალური ახსნა ვერ მოუძებნა. ეს ძალა საკუთარ თავში შეიცავს და მართავს ყველა დანარჩენ ძალასა და მოვლენას

მთელს სამყაროში. ეს სამყაროსეული ძალა - სიყვარულია.

როდესაც მეცნიერები ეძებდნენ სამყაროს ერთიან თეორიას, მათ დაივიწყეს ყველაზე ძლიერი, უხილავი ძალა. სიყვარული სინათლეა, რომელიც ანათებს ყველას - ვინც გასცემს და ვინც იღებს მას. სიყვარული - მიზიდულობაა, რადგან აიძულებს ადამიანს იგრძნოს ლტოლვა სხვის მიმართ. სიყვარული - ის ძალაა, რომელიც განამრავლებს საუკეთესოს ჩვენში, გვაკეთილშობილებს ჩვენ და კაცობრიობას აძლევს იმის საშუალებას, რომ არ ჩაიძიროს ბრმა ეგოიზმში. სიყვარულისათვის ვცოცხლობთ და სიყვარულისათვის ვკვდებით. სიყვარული ღმერთია და ღმერთი სიყვარულია! ეს ძალა ყველაფერს ხსნის და სიცოცხლესაც ის ანიჭებს აზრს. ეს ის ცვლადია, რომელსაც ჩვენ ძალიან დიდხანს უგულებელვყოფდით, ალბათ იმიტომ, რომ გვეშინია სიყვარულისა.

სიყვარულის ჩასაწვდომად, მე მარტივი ჩანაცვლება გავაკეთე ჩემს ცნობილ განტოლებაში. თუ $E = mc^2$, მაშინ - ენერგია მსოფლიოს გადარჩენისათვის შეიძლება მიღებულ იქნას m - სიყვარულიდან გამრავლებული c^2 - სინათლის სიჩქარის კვადრატზე. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიყვარული წარმოადგენს ყველაზე დიდ ძალას, რამეთუ მას საზღვარი არა აქვს.

მხოლოდ სიყვარულით შეგვიძლია ავხსნათ სიცოცხლის შინაარსი, შევინარჩუნოთ მშვიდობა და დავეხმაროთ ჩვენს ცივილიზაციას გადარჩენაში.

შესაძლოა, ჯერ არ ვართ მზად, შევქმნათ საკმარისი სიმბლავრის „სიყვარულის ბომბი“, რომლითაც სრულიად მოვსპობთ სიძულვილს, ეგოიზმსა და სიხარბეს, ანუ ყველაფერ იმას, რაც პლანეტას უდაბნოდ გადააქცევს. და მაინც, ყოველი ცალკეული ინდივიდი საკუთარ თავში ატარებს პატარა, მაგრამ საკმარისად ძლიერ გენერატორს სიყვარულისა, რომლის ენერგიაც საგსე-

ბით საკმარისია განთავისუფლებისათვის. როდესაც ჩვენ ვსწავლობთ ამ უნივერსუმის ენერჯის გაცემასაც და მიღებასაც, ჩემო ძვირფასო ლიზელ, ჩვენ ვადასტურებთ იმას, რომ სიყვარული ყველაფერს ამარცხებს და უნარი აქვს სძლიოს ყველაფერს, იმიტომ რომ სიყვარული სიცოცხლის კვინტესენციაა.

მე ღრმად განვიცდი, რომ ვერ შევძელი გამომეხატა, რაც ჩემს გულშია... იმ გულში, რომელიც მთელი სიცოცხლე ასე წყნარად ძებნის ჩემს მკერდში შენთვის. იქნებ ეს იმდენად დაგვიანებულია, რომ ბოდიშის მოხდას აზრი აღარ აქვს, მაგრამ დრო ხომ ფარდობითია. მე მინდა გითხრა, რომ მოყვარხარ და გმადლობ შენი დახმარებისთვის, რომელმაც საბოლოო პასუხი მაპოვნინა.

შენი მამა, ალბერტ აინშტაინი



თამარ დედოფალი - გურჯი ხათუნი

თამარ დედოფალი (გურჯი ხათუნი) - თამარ მეფის შვილიშვილი გახლავთ. რუსუდანის ასული - თამარი სელჯუკიანთა სასულთანოს დედოფალი იყო „გურჯ ხათუნად“ წოდებული, რომელსაც უმღეროდა აღმოსავლეთის პოეზია.

მოხდა ისე, რომ მე-13 საუკუნის საქართველოს უმძიმესი პოლიტიკური მდგომარეობის გამო თამარ მეფის შვილიშვილი, რუსუდანის ასული თამარი სელჯუკიანთა სასულთანოს დედოფალი გახდა. იგი დიდი პატივით მიიღეს თავისი მეუღლის ქვეყანაში. უზომოდ შეყვარებულმა სულთან ყაისედინ ქაიხოსრო მეორემ გადაწყვიტა სიმბოლურად წარმოეჩინა თავისი დიდებული ქართველი მეუღლის თამარის, ანუ როგორც მას სიყვარულით უწოდებდა „გურჯი ხათუნის“ პიროვნება. 1236 წელს გამოსცა სახელმწიფოს ახალი ფული-მონეტა, რომელზეც ამოტივრული იყო ფაფარაყრილი ღომი და სხივოსანი მზე. მზის დისკოში ნატიფი და მშვენიერი ქალის თამარის სახე იკვეთებოდა. ასე შეიქმნა აღმოსავლეთში ცნობილი ემბლემა „შირ-უ-ხურში“, მზე და ღომი, რომელიც შემდგომ სელჯუკთა სხვა სულთანებმაც გამოიყენეს, მოგვიანებით კი სპარსელებმაც გაითავისეს. ასე, რომ ქრისტიანი, ლაღად აღზრდილი ქართველი მეფის ასულისთვის ისლამის სამყაროში ცხოვრება მძიმე და არასასურველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ „სიტურფით აღმატებულსა“ და გონებაგამჭრიახ, მტკიცე ხასიათის მქონე თამარს უადრესად დიდი ავტორიტეტი მოუპოვებია სულთანის კარზე. თავისი ქველმოქმედებით, „სათნოებითა და უბიწოებით“, დიდსულოვნებით, „დატაკთა მფარველობითა“ და „ღვთის მოშიშობით“ იმდენად შორს გაუთქვამს სახელი, რომ იგი ლეგენდებისა თუ „წმინდანთა ცხოვრების“ აღმწერის თხრობის ობიექტად ქცეულა. თუმცა დედამისის, რუსუდანის შესახებ

ამას ვერ ვიტყვით. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს – რუსუდანმა სიძესა და ქალიშვილს მათთან სტუმრადმყოფი ბიძაშვილის დავით ულუს შესახებ მისწერა: „მოჰკალით ჩემი ძმიშვილი, მანდ რომ დიდი ხანია გიზითო“. ლაშა-გიორგის შვილის დავით ულუს მოკვლით რუსუდანს სურდა თავისი შვილის დავით ნარინისათვის ტახტისაკენ გაეკაფა გზა. როცა სიძე-ქალიშვილმა სასტიკი უარი შემოუთვალეს, მაშინ გაავებულმა რუსუდანმა ფარულად სიძეს გაუგზავნა თავისი ასულისა და დავით ულუს შესახებ ცილისმწამებლური წერილი, რასაც სულთან ყაისედინის აღშფოთება მოჰყვა. მან „უპატიოდ განითრია ცოლი თვისი, მოფხურითა თმათა და ფერხითა ძლიერად უხეთქნა პირსა მისსა მშვენიერსა“. ცემით სისხლი ადინა, სალოცავი ხატები დაუღეწა და სიკვდილით დაემუქრა თუ ქრისტეს სჯულს არ დატოვებდა.

დედის ამ ვერაგობამ ჭეშმარიტად მორწმუნე თამარი აიძულა მეუღლისთვის ანგარიში გაეწია, მაგრამ თამარ დედოფალს ორთოდოქსალური ისლამი და მისი დოგმები არასოდეს მიუღია. მან იწამა ისლამში არსებული ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც შედარებით ახლოს იყო და ენათესავებოდა მის მორწმუნე ქრისტიანულ სულს. ეს იყო სუფიზმი, რომლის დამაარსებელი და სულისჩამდგმელი იყო აღმოსავლეთის უდიდესი პოეტი და მოაზროვნე ჯალალ ედ-დინ რუმი-მეველანა. შემდგომში იგი იქცა „გურჯი ხათუნის“ სულიერ მეგობრად. ჯალალ ედ-დინ რუმის აზრით, ადამიანი არის სამყაროს დამაგვირგვინებელი ეტაპი. იგია კოსმოგონიური უწყვეტი წრიული მოძრაობის ცენტრალური წერტილი, სადაც მთავრდება განსხეულება და სრულყოფა ხილვადი სამყაროსი და საიდანაც იწყება სრულქმნა და ამაღლება ღვთიური სულისა. ამიტომაც, უნდა გიყვარდეს და პატივს სცემდე ადამიანს. ვიდრე მოგკვდებით უნდა

გავიგოთ ერთმანეთის ყადრი და უნდა შევიყვაროთ ერთმანეთი.

აღმოსავლეთის ეს დიდი მოაზროვნე პირველი იყო, ვინც აღიარა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა. თამარ დედოფლის შესახებ იგი თავის ერთ ეპისტოლეში წერდა: „მწყალობელი და დიდსულოვანი, საეჭვო საქმეთაგან განრიდებული, ჭეშმარიტი ღმრთისმოყვარე, ქალბატონთა ღირსება, მათ შორის ყველაზე უმწიკვლო და ნამუსიანი კეთილბუნებიანი და სათნოსმყოფელი, მომავლის მჭვრეტელი, სიკეთის მთესველი“...

როცა თამარ დედოფლის მეუღლე სულთანი ყაისედინი ქაიხოსრო მეორე მოკლეს თუ გარდაიცვალა, ქვეყნის განმგებლობა ხელთ იგდო სულთანის მრჩეველმა და ვეზირმა სულეიმან ფერვანამ და სელჯუკიანთა ტრადიციების მიხედვით მისი მეუღლე დედოფალი თამარი – გურჯი ხათუნი გახდა. მასაც თავდავიწყებით შეჰყვარებია თამარ დედოფალი და მის ყოველ ბრძანებასა თუ თხოვნას უსიტყვოდ ასრულებდა. იგი ეთაყვანებოდა „ქვეყნიერების დედოფლის“ სულიერ მამას ჯალალ ედ-დინ რუმსაც, რომელიც მათ სამფლობელოში ქალაქ კონიაში დასახლდა და დიდ ზეგავლენას ახდენდა აღმოსავლური ფილოსოფიური და პოეტური აზროვნების განვითარებაზე.

ჰეგელი თავის „ესთეტიკაში“ მრავალჯერ იმოწმებს ჯალალ ედ-დინ რუმის, ხოლო „სულის ფილოსოფიაში“ მას მშვენიერსა და აღმატებულს უწოდებს. გოეთეც დიდ პატივს სცემდა აღმოსავლეთის ამ გენიალურ პოეტს. ჩვენთვის კი საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ უდიდეს მოაზროვნეებამდე ექვსი საუკუნით ადრე ჯალალ ედ-დინ რუმის გენიალობასა და სიდიადეს თამარ დედოფალიც გრძნობდა და აღიარებდა. ამიტომაც, აირჩია იგი თავის სულიერ მამად და მეგობრად, მფარველობდა მის ოჯახსა და შთამომავლობას. სელჯუკების საისტორიო წყაროების დადასტურებით,

ჯალალ ედ-დინ რუმის ნახატი სურათის შექმნისა და მისთვის თურბეს ე.ი. აკლდამის აშენების ინიციატორი, სულისჩამდგმელი და დამფინანსებელი იყო თამარ დედოფალი, “გურჯი ხათუნი”, რომელსაც დიდად აფასებდა აღმოსავლეთის პროგრესული საზოგადოებრიობა. ჯალალ ედ-დინ რუმის გრანდიოზული აკლდამა 21-ე საუკუნეშიც ქალაქ კონიის არქიტექტურული მშენებებაა.



* * *

სუფისტური მოძღვრება

ღმერთი ვიდრე სხეულს შექმნიდა, შვიდი ათასი წლით ადრე შექმნა გული და თავისი არსებიდან ორიოდ გოჯის მანძილზე ატარებდა მას. ვიდრე გულს შექმნიდა, შვიდი ათასი წლით ადრე სამშინველი შექმნა და მოათავსა თავისი ინტიმური ურთიერთობის ბაღში. ვიდრე სამშინველს შექმნიდა, შვიდი ათასი წლით ადრე ცნობიერება შექმნა და მოათავსა საკუთარ ცნობიერებაში. შემდეგ ცნობიერება ჩადო სამშინველში, სამშინველი - გულში და გული მოათავსა სხეულში. მერე მიუჩინა ადამიანს მასწავლებლები და დაუნიშნა გამოცდები. შედეგად, სხეულმა ისწავლა ლოცვა, გულმა ისწავლა სიყვარული, სამშინველმა მოძებნა ღმერთი და ცნობიერება დამშვიდდა ღმერთში...

* * *

აგნი იოგა, ცისქვეშეთი, 431

ურუსვატიმ იცის, რომ შეიძლება მივადწიოთ მიწიერი სიკეთის მქონე ექტოპლაზმის მიმოცვლას უზენაესი ენერჯიების სანაცვლოდ. უმაღლესი სფეროების ბინადრებს შეუძლიათ ისარგებლონ ექტოპლაზმის ნაწილაკებით და განამტკიცონ ჩვენი სასიცოცხლო სუბსტანცია. ასეთნაირად შეიძლება დარწმუნდეთ, რომ ბუნებრივად მიმდინარე უზენაესი ურთიერთობა არ არის ზიანის მომტანი, რადგან ამ დროს ივსებით მაღალი სუბსტანციით. ამგვარი ურთიერთობისათვის საჭიროა იცოდეთ, თუ როგორ შეუერთდეთ უმაღლეს სფეროებს. ყოველი არაჯანსაღი ხრიკი მოიტანს ძალების კარგვას, რადგან მიიზიდავს ყველაზე ზნედაცემულ თანამთხოვნელებს. თავად ადამიანი შესანიშნავად გრძნობს, თუ როდის იქცევა უღირსად და ვიღაცას ტკივილს აყენებს.

ძველად აღმზრდელები ეუბნებოდნენ ბავშვებს, რომლებიც უღირსად ცელქობდნენ: „შენ ანგელოზს ნუ ატირებო“ და ასეთი შეხსენება გულის კუნჭულამდე სწვდებოდა მათ. მართლაც, ყოველი უღირსი საქციელი ვიღაცისათვის ტანჯვაა და რა ამადლებულ ურთიერთობაზეა საუბარი, თუკი ბუნებრივი კანონები ირღვევა? ადამიანებს ჰგონიათ, რომ მათთვის ყველაფერი დასაშვებია: მკლეელობა, ტყუილი, ძარცვა და თავის მოტყუებით სხვისი დაზიანება, მაგრამ დაფიქრებულა ვინმე იმაზე, თუ რა ღემონები მიდიან ამ დანაშაულზე?!

პლატონი ამბობდა, რომ „ადამიანებმა უნდა იზრუნონ უხილავ დამხმარეთა შეძენაზე“.

* * *

ინდიგოს თაობა

ინდიგოს თაობა – ეს ახალი მოდგმა კაცობრიობისა, მოაბიჯებს დედამიწაზე 1881 წლიდან ანუ მერწყულის ეპოქის დასაწყისიდან, და თანამედროვე ადამიანი იოლად დაინახავს ცხოვრებაში უამრავი ისეთი სიახლის შემოჭრას, რომლებიც კონტრასტს ქმნიან ერთ განზომილებაში გაყინული კაცობრიობის ცივილიზაციასთან. 1881 წლიდან იწყება აღმოჩენები ფიზიკასა და მეცნიერების სხვა დარგებშიც და იბადება მეექვსე რასის განსხეულება – ნიკოლა ტესლა, ადამიანი – ღმერთი, ჭეშმარიტი ზევსი, რომელიც უნიკალურად ფლობს მეექვსე ეპოქის მეექვსე ძალას – ელექტროლობას და ვით ზევსი, გაუგონარი ძალის ელევებს გზავნის მთელს დედამიწაზე და საიდუმლოდ ტუნგუსის მეტეორიტის მსოფლიო ექსპერიმენტს აწარმოებს ყველგან.

ეს ტერმინი შემოიღო ამერიკელმა ფსიქოლოგმა და ბიოენერგეტიკოსმა - ნენსი ენ ტეპმა, რომელმაც პირველმა დაადგინა ასეთ ბავშვთა მუქი ლურჯი ნათება ანუ აურა. თანამედროვე გენეტიკოსებმა იციან, რომ ამგვარ ბავშვთა გენეტიკაში დნმ-ს ახასიათებს შეცვლილი სტრუქტურა, რადგან თუ ჩვეულებრივი ადამიანის დნმ-ში გააქტიურებულია მხოლოდ 20 კოდონი (გენეტიკური ინფორმაციის ერთეული), ინდიგოს რასის ბავშვებში ამოქმედებულია 24-დან 35-მდე კოდონი, რაც ასეთ ბავშვებს უნიკალურ თვისებებს ანიჭებს: ისინი პრაქტიკულად არ სწეულდებიან – მათ უნივერსალური იმუნიტეტი გააჩნიათ და ტვინის ორივე ნახევარსფეროც აქვთ განვითარებული, რაც მათ პარანორმალური თვისებების სრულიად შეუზღუდავ სპექტრს ანიჭებს

– იქნება ეს ტელეკინეზი, ტელეპატია, ლევიტაცია, წინასწარმეტყველება, მკურნალობის უნარი თუ მრავალი სხვა, რაც ნიკოლა ტესლას მსგავსი ადამიანების მოდგმის მოსვლას ნიშნავს დედამიწაზე. ასეთ ბავშვებს და არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ იმ ადამიანებსაც, ვინც იოგას “ოქროს საწმისის” სისტემით ვარჯიშობს, აქვთ ინტელექტუალური კოეფიციენტი 129 და მეტი; მსგავსი კოეფიციენტი 1881 წლამდე 10 000-დან მხოლოდ ერთს თუ ექნებოდა.

ინდიგოს თაობა, როგორც უკვე ვთქვით, მეექვსე რასაა და ეს მხოლოდ ის პატარები კი არ არიან, რომლებიც ახლა იბადებიან ქვეყანაზე, არამედ ისინიც, ვინც თავის დროზე დაკნინდა, მაგრამ არ გადაგვარებულა და იოგას “ოქროს საწმისის” სისტემით ვარჯიშობს და იწმინდება რა დროის დანალექებიდან, იბრუნებს თავის “ბავშვურ” საგანძურს, იმას, რაც გაუკუღმარებულმა დრომ თუ იდეოლოგიებმა წაართვეს მას.

მეექვსე რასა სხვადასხვა კუთხით აიხსნება და რადგან ჩვენ ელევზინის მისტერიების გაცოცხლების გზას დავადექით, მაშინ ბერძნული მითოლოგიით გავხსნათ ეს საიდუმლოებანი.

...ძველი დროის უზენაესი ღმერთი – კრონოსი (კრონოსი, ქრონოს, ქრონოპეტრი, საათი, დრო...) გეასა და ურანის (მიწისა და ზეცის) შვილი იყო. მას ექვსი შვილი ჰყავდა. რა თქმა უნდა, რომ რიცხვი ექვსის აქცენტი, მეექვსე რასის აღსანიშნავად მომყავს.

აი, კრონოსის ეს ექვსი შვილიც:
ჰესტია,
დემეტრა,

ჰერა,
აიდოსი,
პოსეიდონისი,

ზევსი! (ანუ მიწიერი ნიკოლა ტესლა!!!)

და განა ელექტრობამ არ დაამარცხა კრონოსი, დრო, როდესაც ათასწლეულების ევოლუცია ელვისებურად დაჩქარდა მისი მეშვეობით; ელექტრობა ხომ მეექვსე რასის პრიორიტეტია - დაწყებული განათებით და დამთავრებული გამოთვლითი ტექნიკითა თუ ელექტრო-ინფორმაციული კომუნიკაციებით, როგორც უკვე მთელს კოსმოსთან, ასე მთელს დედამიწაზე მის ბინადართა შორის.

რა თქმა უნდა, საჭიროა ინდოეთის მაგალითის მოშველიება, რათა გასაგები გახდეს ის, თუ როგორ იქმნება მეშვიდე, ღვთაებრივი რასა.

ამ საკითხს რამდენიმე მიდგომა ესაჭიროება.

პირველი მიდგომა – ბუნების მიმართ მსჯელობა:

ბუნებას ახასიათებს ლოგიკა და სიყვარული. მხოლოდ ნუ ვიფიქრებთ იმას, რომ ბუნების ლოგიკა პრიმიტიულია. არა, ბუნების ლოგიკა ის საიდუმლოებაა, რომლის წვდომაც წარმოადგენს ადამიანის გონების გამოცანას და ამ გამოცანის ამომხსნელი ის ღმერთკაცები არიან, რომელნიც 21-ე საუკუნის მიჯნაზე მოეველინენ კაცობრიობას და ეს ღმერთკაცებია: აინშტაინი და ნიკოლა ტესლა!

მეორე მიდგომა: ადამიანის მიმართ მსჯელობა:

ადამიანთა მოდგმას ახასიათებს განვითარების შვიდი საფეხური:

I - ლოგიკა. იგი ჰომოსაპიენსის, ანუ მოაზროვნე ადამიანის დასაწყისია;

II - ფიზიკა ანუ ბუნების და მისი კანონების შემსწავლელი მეცნიერება;

III - ანალიზი ანუ ისევე ფიზიკა, რომელიც შეისწავლის რა ბუნებას, აღმოაჩენს ბუნების სხვადასხვა მიმართულებით მიმავალ

ლოგიკას და ეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ნაირსახეობებში ვლინდება - იქნება ეს ქიმია, გენეტიკა თუ მათემატიკა, ასტრონომია, ასტროლოგია თუ ნანოტექნოლოგია... ყოველი არსებული ხელოვნების, მეცნიერების თუ სხვა შემოქმედებითი დარგი ანალიზის ნაყოფია, ანუ ყოველი მათგანი ფიზიკის ღვიძლი შვილები არიან;

IV – სინთეზი, ასევე ლოგიკურად ბუნებრივი დარგია, რომლის არსებობა ანალიზითაა შობილი და ფაქტიურად, მასთან პარალელურად თანაარსებობს - ანალიზი ხშირად სინთეზით მთავრდება;

V – იოგა. დიახ, ეს ის აბსოლუტურად ბუნებრივი და აუცილებელი ეტაპია, რომელიც სინთეზის ანუ IV საფეხურის შემდეგ ბადებს ადამიანის მეცნიერულად დასაბუთებულ საკუთარი თავის შეცნობისა და სრულყოფის აუცილებლობას. იოგა ღრღინის მოთხოვნილება ხდება, როგორც ყველაზე დიდი მეცნიერება, რომელიც აჯამებს რა ლოგიკას, ფიზიკას, ანალიზსა და სინთეზს, აღმოაჩენს ადამიანში იმ გრანდიოზულ, პარანორმალურ ძალებს ბუნებისა, რომელთა ფლობისა და მართვის საკითხების მიმართ იბადება სამართლებრივი საკითხები. ასეთი სამართლებრივი საკითხების გამო, აინშტაინმა და ნიკოლა ტესლამ არ გაუხსნეს მოუშზადებელ კაცობრიობას ბუნების ძალების მათთვის ცნობილი ის კანონები, რომლებიც ზიანს მოუტანდნენ კაცობრიობას, და მას, კაცობრიობას, დღესაც აკლია იოგას მიერ შობილი ეს მეცნიერება, რომელიც თავის მხრივ, შემდეგ, მეექვსე საფეხურს წარმოადგენს.

VI - ეთიკა. იგი აწესრიგებს ადამიანს - საკუთარ თავში იოგას მეცნიერული მეთოდებით აღმოჩენილი ძალების მიმართ და იოგი უკვე შეუზღუდავად ვითარდება, რადგან მის მიმართ ბუნების ძალთა მორჩილება საფრთხეს როდი უქმნის კაცობრიობას, არამედ პირიქით, იგი

ბუნების, იგივე ღმერთის მსახური ხდება და ამ საფეხურით მთავრდება ადამიანის სულიერი განვითარების გზის ის ერთადერთი ტესტი, რომლის შედეგადაც ბუნება თვითონ უხსნის მას თავის მეშვიდე საფეხურს და ფიზიკა გარდაიქცევა -

VII - მეტაფიზიკად. თუმცა ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსი, ფრენსის ბეკონი წერს: „თუ ფიზიკა ბოლომდე შესწავლილი, იგი არავითარი მეტაფიზიკა აღარაა, არამედ - ნამდვილი ფიზიკა!!!“

მესამე მიდგომა - სამყაროს მიმართ მსჯელობა:

სამყარო შვიდი ფენომენითაა გამოვლენილი, რომელთაც სათავეში მოძრაობა უდგას. გავიხსენოთ ჩვენი სულმნათი ილია: „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა თერგო!“ მაშ, ასე:

1. მოძრაობა;
2. ბგერა;
3. სინათლე;
4. სითბო;
5. შეკავშირების ძალები;
6. ელექტროლობა (ზევსი - ნიკოლა ტესლა);
7. მაგნეტიზმი (იესო ქრისტე).

უკვე იოლია სამივე პრინციპის ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გაკეთება, რასაც მკითხველს ვუტოვებთ მისი პირადი შემოქმედებისა და ულამაზესი აღმოჩენებისათვის; ჩვენ კი მხოლოდ ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს განვიხილავთ:

მეტაფიზიკა ესადაგება მაგნეტიზმს და ორივე ერთად ბუნებაში დამალულ იმ უხილავ პროცესებს ეკუთვნის, რომელთა გარეშე ბუნების ჩვენდამი დედობა შეუძლებელი იქნებოდა.

თუ ელექტროლობა - ზევსი სრულყოფილება და უზენაესად ეთიკური აზროვნებაა, მაშასადამე, მეექვსე რასის ეპოქის მსვლელობისას უნდა მოხდეს ელექტროლობის მაგნეტიზმში, მეტაფიზიკასა და ტრანსცენდენტალიზმში

გადასვლა. პირველი, რაც გვაფიქრებს, არის ის, რომ ელექტროლობა და მაგნეტიზმი განუყოფელია ერთმანეთისაგან და რა საჭიროა მათ შორის განვითარების მთელი ეპოქის აუცილებლობა?

ღიანს! ამაღლებული აზროვნება შეამზადებს კაცობრიობას და მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ამ მაგნეტიზმის - სიყვარულის ადამიანთა სივრცეში გაჩენა, როდესაც ტესლას ელექტროლობაზე მბრძანებლობა (მაღალეთიკური აზროვნება), მისი მემკვიდრის, მაგნეტიზმის მბრძანებლობით, სიყვარულით დასრულდება. აქ უკვე შეიძლება ამ გამოცანის (ადამიანთა სივრცეში მაგნეტიზმის აუცილებლობის) ახსნა რაღაც განსაკუთრებული, მსოფლიო მნიშვნელობის უზენაესი კულტურით და ეს უმთავრესი გამოცანაც აიხსნება...

...აიხსნება იმით, რომ დედამიწაზე არსებობს ქრისტიანობა!!! და ქრისტიანობა მიზიდულობის ის ძალაა, რომელსაც **სიყვარული** ჰქვია!!! ეს სიყვარული შესაძენია, მის შეძენას დიდი დრო სჭირდება. მართალია, კომპიუტერში ელექტროლობა არნახულად ეხმარება კაცობრიობას, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ელექტროლობას მუდამ თან სდევს მაგნეტიზმი, კომპიუტერმა სიყვარული როდი იცის. ასეა ქრისტიანობაც - იგი ჯერ ინფორმაციულ დონეზე მუშაობს და მაგნეტიზმის არსის, სიყვარულის ადამიანთა გულებში მასიურ აღზრდას მთელი ეპოქა ესაჭიროება.

ათონის მთის მიტროპოლიტს, იეროფეი ვლახოსს შესანიშნავად აქვს დაწერილი და გააზრებული ის, თუ როგორ მოახდენს ქრისტიანობა ახალ საფეხურზე ასვლას.

ყოველ შემთხვევაში, ვიდრე არსებობს ქრისტე და ქრისტიანობა, კაცობრიობა დაცულია აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!!!

თამაზ თავაძე

* * *

ჩვენი ჟურნალის წინა ნომრებში მკითხველი უკვე გაეცნო სიყვარულის ათი საიდუმლოდან პირველ ოთხ: აზრის, პატივისცემის, ჩუქებისა და მეგობრობის ძალას. გთავაზობთ ამ ციკლის გაგრძელებას!

* * *

საიდუმლოება მეხუთე - შეხების ძალა

მეორე დილით ახალგაზრდა კაცი უკვე ქალაქის საავადმყოფოში მიემგზავრებოდა, რათა სიიდან კიდევ ერთ ადამიანს - დოქტორ პიტერ იანგს შეხვედროდა, რომელიც საავადმყოფოს მთავარი ქირურგი გახლდათ. იგი მაღალი, ლამაზი შავკანიანი მამაკაცი იყო, კუპრივით შავი, მზინავი, მოკლედ შეჭრილი თმებით და ღრმა ყავისფერი თვალებით. როცა ექიმის კაბინეტში შევიდა, დოქტორი იანგი წამოიმართა, სტუმარს შეეგება და თავისი რბილი ხელებით ძლიერად ჩამოართვა ხელი.

- გამარჯობათ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, - სთქვა ექიმმა.

- გაგიმარჯოთ, - უპასუხა ახალგაზრდა კაცმა, - მადლობას მოგახსენებთ, რომ ჩემთვის დრო გამოძებნეთ.

- გმადლობთ თქვენ, - სთქვა დოქტორმა და შესთავაზა მას დამჯდარიყო.

- რას მიირთმევთ, ჩაის თუ ყავას?
- ჩაის, თქვენი ნებართვით.

- ახლავე, - უპასუხა დოქტორმა, კარი გააღო და მდივანს სთხოვა ჩაი ორი პერსონისთვის, - თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ ბრძანეთ, როდის და რა ვითარებაში შეხვდით მოხუც ჩინელს, - სთქვა დოქტორმა იანგმმა.

როცა თხრობა დასრულდა, შემოიტანეს ჩაი. დოქტორმა ერთი ფინჯანი ახალგაზრდა კაცს მიაწოდა.

- მე კი მოხუც ჩინელ ჯენტლმენს თხუტმეტი წლის წინ შევხვდი, - თქვა, თავის მხრივ, დოქტორმა იანგმა. - მაშინ ის-ის იყო ქირურგის კვალიფიკაცია მომანიჭეს და ვიცოდი ყველაფერი, ყოველ შემთხვევაში, მე მეგონა, რომ ყველაფერი ვიცოდი. მე მხოლოდ ჩემი სამუშაო მაძარდებდა: გავჭრა პაციენტი, მოვაცილო პრობლემა და გავკერო იგი. მე ეს ძალიან კარგად გამომიდიოდა, მხოლოდ ერთი კია, რომ არასოდეს ჩამოვმჯდარვარ ავადმყოფის საწოლთან მასთან სალაპარაკოდ.

- მართლა? რატომ? - იკითხა ახალგაზრდამ.

- იმიტომ, რომ მე ეს დროის კარგად მიმაჩნდა, - იყო პასუხი, - უჯდუ ავადმყოფს და ესაუბრო მას, ეს ხომ მედღების საქმე იყო. მე სტაჟიორ ექიმებს ვუწყრებოდი კიდევ, თუ ისინი ზედმეტ დროს უთმობდნენ პაციენტებს. ალბათ გაგეცინებათ, საჭირო იყო უჩვეულო მოხუც ჩინელთან საუბარი, რათა შემეგნო ჩემი შეცდომა, რომ კარგი ქირურგის ესტატობა მის ხელებში კი არა, არამედ მის გულშია...



ახალგაზრდა ყურადღებით ისმენდა და დოქტორი იანგიც განაგრძობდა, - ერთხელ შემოვლას ვაკეთებდი. იმ დილით არაფერი უჩვეულო არ ხდებოდა, სანამ

ერთ პალატაში არ შევიხედე. იქ დავინახე ავადმყოფის საწოლზე ჩამომჯდარი მოხუცი სანიტარი, რომელსაც ავადმყოფის ხელი ეჭირა. - თქვენ თქვენი საქმე უნდა აკეთოთ, - ვუთხარი მე მას მკაცრად.

იგი ნელა შემობრუნდა ჩემსკენ და მე არასოდეს დამავიწყდება იმ მოხუცის სახის გამომეტყველება. მისი მუქი ყავისფერი თვალები პირდაპირ მე მიცქეროდნენ, როცა მპასუხობდა.

- კი უნდა ვაკეთო ჩემი საქმე, მაგრამ თუ თქვენ თქვენსას არ აკეთებთ, ვიდაცამ ხომ უნდა გააკეთოს თქვენი გასაკეთებელი საქმე?

რა თქმა უნდა მე ძალიან განვირისხდი.

- ახლა, მე მომისმინეთ ... - დავიწყე მე და ვიდრე დავამთავრებდი, მან ხელი ასწია და ჩურჩულით მითხრა:

- მხოლოდ ახლა არა, გეთაყვა, ამ ლედის დახმარება სჭირდება.

მე საერთოდ გავცოფდი. „როგორ ბედავს ეს სანიტარი ჩემთან ასეთ საუბარს“, - გავიფიქრე. ამ პაციენტს განუკურნებელი კიბო სჭირდა. ჩვენ მას არაოპერაბელური სიმსივნე აღმოვუჩინეთ ტვინში.

- ეს ქალბატონი მალე... - მაგრამ ვიდრე სიტყვა დავამთავრე, მოხუცმა კვლავ ჩურჩულით მითხრა:

- გეთაყვა, ახლა არა...

პალატის კარებთან დაველოდე. მზად მქონდა უამრავი სიტყვა... „მე, შენ, გიჩვენებ ვინა ვარ“, ვფიქრობდი ჩემთვის, მაგრამ როცა იგი გამოვიდა და სრული დარწმუნებით მითხრა:

- ექიმო, ლედი იცოცხლებს...

ენა ჩამივარდა და ძლივს ამოვიღულლე:

- ამით რისი თქმა გასურთ? მას ხომ არაოპერაბელური სიმსივნე აქვს ტვინში...

- ოდესმე თუ გქონიათ შემთხვევა: როცა პაციენტი იკურნება და თქვენ კი გეგონათ, რომ იგი დაიდუპებოდა? - იკითხა მან.

- რა თქმა უნდა - ვუპასუხე მე, - მაგრამ... თქვენ როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაში, რა იყო განკურნების მიზეზი?

- არანაირი წარმოდგენა არა მაქვს, - ვუპასუხე მე გაღიზიანებით, - ეს ანომალური მოვლენები გახლავთ.

- არა, ექიმო, - მიპასუხა მან, - ეს სასწაულია, რომელსაც სიყვარული ახდენს! სიყვარული ყველაზე ძლიერი სამკურნალო საშუალებაა მთელს სამყაროში, ნებისმიერ წამალზე ქმედითი. ქირურგი სიყვარულის გარეშე უბრალო მექანიკოსია და არა ექიმი.

ხელში ქაღალდი შემომაჩეჩა და მითხრა:

- თუ თქვენ გინდათ ნამდვილი ექიმობა, ამ ხალხს უნდა შეხვდეთ. მე დავხედე ქაღალდს, რომელზეც ათკაციანი სია ეწერა თავისი ტელეფონის ნომრებით და როცა თვალები მოვაშორე ქაღალდს, მოხუცი აღარ იყო. ისე ვიყავი გაბრაზებული იმით, რაც მოხუცმა მითხრა, რომ პირდაპირ აღმინისტრატორთან წავედი. მინდოდა მოხუცი მენახა და მეთქვა ყველაფერი, რასაც ვფიქრობდი მის თავაშვებულობაზე. აღმინისტრატორმა ჩანაწერი ვერ მოიძია ჩვენთან მომუშავე მოხუცი ჩინელის შესახებ. ჯერ ვიფიქრე, რომ შეცდომა ჩანაწერებში იყო ან კომპიუტერს შეეშალა, ზოგჯერ ასეც ხდება... ხან რა და ხან რა, მაგრამ არსად ხსენებაც კი არ იყო მოხუცი ჩინელის არსებობის შესახებ. მეც თავი დავანებე... მხოლოდ მეორე დილამდე.

- რატომ მეორე დილამდე? - იკითხა ახალგაზრდამ.

- მედლამ დამირეკა, რათა სასწრაფოდ მივსულიყავი ავადმყოფთან. ქალბატონი - არაოპერაბელური თავის ტვინზე სიმსივნით საწოლზე იჯდა, მას მაღა დაბრუნებოდა. მოხუცმა მითხრა, რომ თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა. მე საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი, მას სულ ორი დღის უკან სრულიად უსაფუძვლოდ გაუკეთდა ოპერაცია თავის ტვინზე და ბოლო თვეები გულისრევა და თავბრუსხვევა აწუხებდა. ავადმყოფმა მადლობა გადაამხადა და თქვა, რომ ალბთ ოპერაცია წარმატებული იყო, რადგან თავს კარგად გრძნობს. ეს წარმოდგენელი იყო, ჩემს თვალწინ

სასწაული მოხდა და როგორც ექიმს არ მჯეროდა. ვერ წარმომედგინა, რა გააკეთა მოხუცმა ჩინელმა ისეთი, რომ ლედი გააჯანსაღა. ამ კითხვაზე პასუხის მიღების მხოლოდ ერთ გზა მქონდა - დამერეკა და შევხვედროდი ყველა იმ ადამიანს, რომელთა სიაც მან ხელში შემომაჩვენა. რა თქმა უნდა, სიაში მითითებული ყოველი ადამიანი იცნობდა მოხუც ჩინელს და მათაც მიამბეს ჭეშმარიტი სიყვარულის საიდუმლოებებზე. მანამდე არასოდეს მსმენია მათ შესახებ და ძალიან სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი.

როგორც სამკურნალო საშუალებასა და დანიშნულებაზე. სამედიცინო ინსტიტუტში არ უსწავლებიათ, რომ სიყვარულსა და ჯანმთელობას შორის არსებობს უძლიერესი დამოკიდებულება, რომ სათნოება და ალერსი ჯანმრთელობის უბადლო მექანიზმებია და ეს მართლაც ასე ყოფილა, მოხუცი აბსოლტურად მართალი იყო - სიყვარული უძლიერესი სამკურნალო საშუალებაა! მე მაშინ მივხვდი, რომ ჩინელმა მოხუცმა - უბრალო ადამიანმა მოარჩინა ჩემი პაციენტი და



არადა, ცნობისმოყვარეობა მკლავდა, გამეგო როგორ მოახერხა უიმედოდ დაავადებულის მორჩენა იმ ჩინელმა. არასოდეს არ მიფიქრია სიყვარულზე.

მისთვის მთელი სამყარო გახდა.
- ეს დანამდვილებით ასეა? - იკითხა ახალგაზრდა კაცმა.
- დიახ, ეს ასეა, - სთქვა დოქტორმა

იანგმა - სიყვარული გულის სიუხვეა და მთელი სიბრძნე იმაში კი არაა, მხოლოდ უხვად გასცე, არამედ იმაში, რომ გასცე დროულად, ხომ იცით, როცა მადლი იგვიანებს, იგი კარგავს თავის გემოს. ამ მიმართულებით ცდები იქნა ჩატარებული, მაგალითად, გამოკვლევებით დადგინდა კეთილი ურთიერთობების მქონე ოჯახებში დაავადება ათი პროცენტით უფრო მცირეა, ვიდრე არეული ურთიერთობების მქონე ოჯახებში. პაციენტები, რომლებიც გრძნობენ, რომ ისინი უყვართ, უფრო სწრაფად და საიმედოდ იკურნებიან.

- ეს წარმოდგენელია, - აღმოხდა ახალგაზრდა კაცს.

- რა თქმა უნდა, - უპასუხა დოქტორმა იანგმა. - მით უფრო სასიხარულოა ჩემნაირი ადამიანებისათვის, ვინც მკურნალობით ვართ დაკავებულნი. ამ საიდუმლოებების აღმოჩენის შემდეგ, ჩემს ცხოვრებაში ცვლილებების აღმოჩენა დავიწყე.

- მაინც რა ცვლილებების აღმოჩენა? - იკითხა სტუმარმა.

- სხვადასხვა დარგის: გამომჯობესდა ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, შეყვარებულთან ურთიერთობა, პაციენტებში უკვე ადამიანებს ვხედავ და არა მათი ავადმყოფობის ისტორიის ჩანაწერს, რადგან ჩემი ყველაზე ღირშესანიშნავი აღმოჩენა მედიცინის დარგში - ალერსიანი შეხების ძალაა.

- რა საერთო აქვს სიყვარულთან შეხების ძალას? - იკითხა ახალგაზრდა კაცმა.

- ალერსიან შეხებაში არის წარმოდგენელი ძალა. იგი აკავშირებს ადამიანებს ერთმანეთთან, ამსხვრევს მათ შორის ჯებირებს ისე, როგორც სხვა ვერაფერი და ჩვენ ყველანი ვრეაგირებთ მასზე. ალერსიან შეხებაში არის ძალა, რომელიც სასწაულებს ახდენს და ეს ძალა სიკეთეა. ყველაფერს გაუძლებს ადამიანი, გარდა სიკეთისა. სიკეთის წინაშე ყველა მორჩილია, იგი მადლითა და სიყვარულით

ავსებს გულს. მართალია, პირველი ნაბიჯები მიჭირდა, ალერსიანი შეხებისას გარკვეული ძალისხმევა მჭირდებოდა, მაგრამ მერე პროფესიული, ექიმის სათნო თვისებად გადამექცა. აქ ერთი რამ შევნიშნე ჩემთვის მეტად მოულოდნელი: შევამჩნიე, რომ ალერსიანი შეხებით სხვის ტანჯვას ვგრძნობდი და ბედნიერი ვიყავი იმით, რომ მას ვაქარწყლებდი ლანცეტის გარეშე.

არც ისე დიდი ხნის წინათ, ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში ჩატარდა მეტად საინტერესო ექსპერიმენტი, ყოველი ოპერაციის წინ, საღამოობით, მთავარი ქირურგი პაციენტებს ნახულობდა, რათა ყოველ შეკითხვაზე პასუხი გაეცა და ოპერაციის საერთო ხასიათი აეხსნა მათთვის. ქირურგს ვიზიტის რამდენიმე წუთის განმავლობაში პაციენტის ხელი ეჭირა თავის ხელში. დაიჯერებთ, რომ ეს პაციენტები სამჯერ უფრო სწრაფად იკურნებოდნენ, ვიდრე სხვა ავადმყოფები?

როცა ჩვენ ზრუნვით ვეხებით სხვას, იცვლება როგორც ჩვენი, ასევე მისი ფიზიოლოგიაც, მცირდება სტრესის ჰორმონების რაოდენობა, განიმუხტება ნერვული სისტემა, იზრდება იმუნიტეტი, რა თქმა უნდა, იცვლება ემოციური ფონი და განწყობა. ექიმის უხილაგი, თეთრი ხალათი მისი სიკეთეა, რომელიც არასოდეს არც იცვითება და არც ცილდება ექიმს, რამდენი ხილული თეთრი ხალათიც არ უნდა გაცვითოს მან. როცა სამსახურის მერე ხალათს იხდის, სიკეთის ქათქათა თეთრი, უხილაგი ხალათი მაინც აცვია მას. ეს მისი პროფესიონალიზმის უმაღლესი თვისებაა.

აი, როცა ეს ყველაფერი შევიტყვე-საავადმყოფოს პალატებში დავენერგეთ პროგრამა „ალერსიანი შეხება“. ვინც კი ავადმყოფთან მუშაობდა, ყველას წავახალისებდით ავადმყოფის ალერსიანი შეხებისა თუ გადახვევისათვის. ეს პროგრამა იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ ფსიქიატრიულ განყოფილებაშიც

გავრცელდა. მასხენდება ერთი პაციენტი ბიჭუნა ცერებრალური დამბლით, იგი ინვალიდის ეტლით გადაადგილდებოდა. როცა მას შევხდი, გული ამიჩუყდა, ალერსიანად ჩავიხუტე გულში და... ბიჭუნა ატირდა, რაღაცეებს მეუბნებოდა და თვითონაც გულში ჩამიკრა. პერსონალმა ერთხმად აღიარა, რომ ამ სამი წლის განმავლობაში ბავშვმა პირველად დაილაპარაკა.

– ეს გასაოცარია, – თქვა ახალგაზრდა კაცმა აღტაცებით.

დოქტორმა იანგმა გაუღიმა მას.

– ფსიქოლოგიის ფაკულტეტი იმდენად დაინტერესდა ალერსიანი შეხების ძალით, რომ მათ ხალხმრავალ ქუჩაზეც დადგეს ექსპერიმენტი:

ტელეფონის ჯიხურთან იდგა ქალბატონი და გამგლელ-გამომგლელს დასარეკად ხურდას სთხოვდა. ძალიან ცოტამ თუ გაიღო მოწყალება. მაშინ იგივე ქალი, ვიდრე დასარეკად ხურდას მოითხოვდა, ჯერ ქალებს თუ მამაკაცებს ხელზე ეხებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ წამიერი დუმილის შემდეგ, თითქმის ყველა უწვდოდა ხურდას. გამოდის, რომ სიკეთე მშვენიერებაა მოქმედებაში ანუ უპირატესობის ერთადერთი ნიშანი. მოკლედ რომ ვთქვათ, გული გამეხსნა და მივხვდი, რომ სიკეთე არის ის ერთადერთი ენა, რომელზედაც მეტყველებს მუნჯი და რომელიც ესმის ყრუს... თქვენ უკვე გესმით, რომ ალერსიანი შეხება, ჩახუტება, ხელებით კონტაქტი ძალზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გასცე და მიიღო სიყვარული, რაც იგივე მკურნალობაა. იგი ფიზიკურად გვცვლის ჩვენ, ასევე ვიცვლებით გონებრივად და ემოციურადაც.

აი, ამგვარად ვიყენებ პროფესიაში და არა მხოლოდ პროფესიაში, ალერსიან შეხებას, რათა უხვად გავცე და მივიღო სიყვარული.

ახალგაზრდა კაცმა დასტურის ნიშნად

თავი დაუქნია ექიმს და გვერდზე გაიხედა. მან გულისტკივილით გაიხსენა, თუ რამდენად დაუკლია სიყვარული ოჯახის წევრებისთვის, ახლობლებისთვისა და მეგობრებისთვის. იგი ჩვეულებისამებრ, გადაკოცნიდა დედას; სხვათა შორის, ართმევდა ხელს მამას, მაგრამ მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ყველაფერ ამას აკლდა ნამდვილი გრძნობა, ალერსი და სიყვარული, აკლდა ის სითბო, რომელსაც სიკეთე ჰქვია.

– ეხებოდე და ეხვეოდე უბრალო საქმე როდია, – ამოიხსრა მან და კვლავ შემობრუნდა დოქტორ იანგისაკენ.

– რატომ? – გაიკვირვა დოქტორმა იანგმა, – უბრალოდ, ხელები უნდა გაშალო იმის შემდეგ, როცა გულს გახსნი და მერე გადაეხვიო ახლობელს, მეგობარს... ეს ყველას შეუძლია.

– კი მაგრამ, რა იცი როგორ მიიღებს ამას ის სხვა? ხომ შეიძლება ხელი გერას ან მტრულად გიპასუხოს?

– არა უშავს, მართლაც შეიძლება, რომ პირველი რეაქცია სიამაყე იყოს – სადაც სიამაყეა, იქ სიყვარული დუმს და თქვენც გაიმეორეთ მცდელობა და სიამაყე გაჩუმდება და სიყვარული ამეტყველდება, – უპასუხა დოქტორმა იანგმა, – ამ შემთხვევაში, უფრო მეტი მიზეზი გაქვთ, დაამსხვრიოთ ჯებირები. გახსოვდეთ, რომ სიყვარულისათვის საჭიროა სითამამე. უნდა გარისკოთ, უნდა იყოთ მზად, რომ ხელსაც კი გკრავენ ან ტკივილს მოგაყენებენ, მაგრამ უფრო ხშირად კი – გაიმარჯვებთ. ადამიანები გაგახსენდებიან. თუ ჩვენ სხვისგან დაველოდებით პირველ ნაბიჯს, აბა, რას მივიღებთ? საშინელ სიმარტოვეს და გათიშულობას.

საჭიროა, გაუშალო საკუთარი ხელები ადამიანებს და დაინახავ, რომ შენივე გული იხსნება. ეს უკვე შენგან დამსახურებული ჯილდოა, სიყვარულის სამკურნალო ენერჯია, რომელიც ალერსიანმა შეხებამ გაადვილა...

იმავე საღამოს, შეხვედრის შემდეგ, ახალგაზრდა კაცმა დიდი ინტერესით და გულმოდგინებით გადაიკითხა დოქტორ იანგთან ვიტიზის დროს გაკეთებული ჩანაწერები:

...ჭეშმარიტი სიყვარულის მეხუთე საიდუმლოება – ალერსიანი შეხების ძალაა.

ალერსიანი შეხება – ეს სიყვარულის უძლიერესი გამოვლინებაა, რომელიც ანგრევს ყოველგვარ ბარიერს და აძლიერებს ურთიერთობას.

ალერსიანი შეხება ცვლის ფიზიკურ და ემოციურ მდგომარეობას და ადამიანები უფრო იოლად ეზიარებიან სიყვარულს.

ალერსიანი შეხებით შეიძლება მოაჩინოთ სწეული და გაუთბოთ ადამიანს გული.

როცა გაშლი ხელებს – გულიც გაიშლება...



სულის ძახილი

სული ავწიე ზეცად,
ზღაპარს ვაღარე მთვარე;
სიტყვა ვაქციე ლექსად
და გავათენე ღამე.

* * *

...დროს ვარსკვლავებში დაგარქვი ცეკვა
და მერე აზრებად ავუშვი ცაში...

* * *

მოდით, მზის სხივებით ლექსი დავწეროთ,
გრძნობების ველზე გაფუშვით გზნებით.
იქნება ვინმე გადაეყაროს, მასაც შემო-
ხვდეს გზად, როგორც ღმერთი!

* * *

გადაივლიან ფიქრები ჩემი,
გზად გაჰყვებიან ოცნებას ფარად;
მიადგებიან ზღაპრულ სამყაროს
და დაიწყება სიახლე მარად!

* * *

ხან მიწისა ვარ, ხან - ცისა,
მუდამ დამყვება ხმა ღვთისა.
მომეფერება სამყარო
და გამიძღვება გზას დიდსა.

* * *

ხათუნა ელიაშვილი



სიყვარული(ბედნიერება)

უბინობი სიყვარული 250Hz

გულითადი სიყვარული 150Hz


თანაგრძნობა 147Hz

ერთობა 144Hz

მადლიერება 50Hz

მადება 46Hz

ობტაინისი 38Hz



გაღიზიანება 3,5Hz

თვითშეზღვევა 3Hz

უბინატექსობის გრძნობა 1,9Hz

ქედმაღლური უყურადღებობა 1,5 Hz

შრობსწაება, სიამაყე 0,9Hz

სიცრუე, წყენა 0,6-3,5Hz

შიში, დანაშაული 0,2-2,2Hz

შიში (სიკვდილი)

